

# ლიტერატურული გაზეთი

№2 (330) 3 - 16 თებერვალი 2023

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

გიორგი ლობჯანიძე


## ნესტანი

მთვარე ელავდა იმ საღამოთი,  
 თუ ბნელში ტურის თვალები კვესდა,  
 უნდა ჩაიცვა ქაჯთა სამოსი,  
 ქაჯთა ციხეში რომ მისწვდე ნესტანს.  
 სხვაგვარად ალბათ ვერ ეღირსები  
 ქვეყნის მნათობთან სულიერ ქორნილს,  
 თუ ქაჯებივით არ მოიქცევი,  
 როგორც იმათი სისხლი და ხორცი.  
 მიუვალა ციხე უკარო,  
 სადაც სოფლის მზე უწყალოდ აჭერს,  
 დამსგავსებია თურმე ნესტანს,  
 აღარ ერჩევა დარჩეულ ქაჯებს.  
 ნუთუ ეს მზერა მისი მზერაა,  
 ეს ყელი,  
 შუბლი,  
 ანდა ეს ტანი...  
 სად არის, ღმერთო,  
 ნეტავ რა იქნა?  
 სად გაქრა ჩემი  
 თეთრი ნესტანი...


\*\*\*

მინდოდა,  
 სანჩო ვყოფილიყავ,  
 არარსებული,  
 ოცნების მხარის გუბერნატორი,  
 სულერთია, რომელ მხარეში,  
 არარსებულს არა აქვს ზუსტი გეოგრაფია.  
 მე კი ღმერთმა  
 მოსიარულე  
 ქარის წისქვილად გადამაქცია,  
 რომ დადის და თავში იცემს  
 ხელებს ვაებით,  
 მოთქვამს თავის უიღბლობას,  
 გადაჰყურებს ქვეყნის დაქცევას.  
 და ქვეყნად ერთი დონ კიხოტეც კი არ შემყრია,  
 რომ იდეისთვის შემბრძოლებოდა.  
 ყველა მებრძოდა  
 გამორჩენისთვის,  
 ისე, როგორც გუბერნატორს,  
 და არა — როგორც ქარის წისქვილს,  
 ვინც ვიყავი,  
 სინამდვილეში...

IV-V



ნინო სადღობელაშვილი



\*\*\*

ერთი თამაში მოვიგონე:  
 სადაც წავალ, ყველა ქალაქში  
 მამაჩემს ვეძებ.  
 არც რუკა მაქვს,  
 არც საძიებო ნიშნები ვიცი,  
 სიზმარშიც კი არ მინახავს  
 არაფერი დანამდვილებით,  
 უწესებო თამაშია —  
 ველური და მხიარული,  
 როგორც ზაფხულში ჩარჩენილი  
 ბავშვის  
 შარიანი თავგადასავალი.  
 აი, ამ ზღურბლზე,  
 ახლა რომ დავაბიჯე,  
 შეიძლება მამაჩემიც იდგა,  
 წამით გალაკნის კედელს გახედა,  
 რაღაც გაახსენდა და  
 კაფეში შესვლა გადაიფიქრა.  
 ან ბალი, სადაც ისე შემასწრო,  
 კვალი ველარსად ვიპოვე,  
 ან ეს ავტობუსი,  
 რომელშიც მხოლოდ იმიტომ ვზივარ,  
 რომ იქნებ მამაჩემის ქურაზე გადაუხვიოს?..  
 ხანდახან მაკინწყდება, რას ვთამაშობ,  
 მხრებში მოხრილ მგზავრს ვაჩერებ და  
 ვეკითხები,  
 კიდევ ბევრი დარჩა გათენებამდე?  
 მერე ამასაც ვივინყებ,  
 ყველა ქალაქი  
 თავის ხმაურიან მუცელში მითრევს,  
 მოგზაურობა  
 უცხო აბების ყლაპვას ემსგავსება —  
 არ იცი, როგორ ხარ, რა გჭირს,  
 რა გიშველის,  
 გათიშვამდე ლამაზია გაუგებრობა,  
 რომელშიც ხარ,  
 რომელშიც, ახლა კი არა,  
 დაბადების წუთიდან აღმოჩნდი!..  
 სანამ ისევ არ იპოვი  
 ნაცნობ ნაფეხურს,  
 ჩადგამ ფეხს — დაატოლებ,  
 ისევ მოგინდება ძველი თამაში,  
 არც რუკა მაქვს  
 არც საძიებო ნიშნები,  
 მაგრამ ბავშვის სიჯიუტით იცი —  
 ის შენამდე აქ უკვე იყო,  
 ეს ადგილი შენთვის მონიშნა,  
 მუჭით ცეცხლიც დაგიტოვა —  
 სხვა გზებამდე გასათბობად,  
 გასანათებლად.

VIII

გიორგი ბალახაშვილი

## არყოფნის ანგელოზი

როცა არყოფნის ანგელოზი ჩამოფრინდება  
 და შენს ლოგინთან წამოჯდება, სანამ სიზმარში  
 დედა ზამთრისთვის  
 მურაბების შეკვრას გიხარშავს,  
 კომპებსაც კობტად ჩაამწკრივებს  
 ოქროშინდებთან,  
 ნუ გაიღვიძებ, ნუ იჩქარებ, გთხოვ, ნუ შეკრთები,  
 ეცადე, დიდხანს გაიგრძელო ბოლო სიზმარი,  
 ფერიცვალების მზეც დაგიცდის — ნაივლისარი,  
 კიდევ სამი დღე დაიძინე, რადგან ეკვდერი  
 სავსეა ჯერაც სხვა გვამებით, ჭირისუფალით,  
 სავსეა ჯერაც სხვა არყოფნის ანგელოზებით,  
 სავსეა ეზოც ტირიფებით და მიმოზებით  
 და ყველა ტირის. ტირის. ტირის. ტირის უფულო  
 და ფულიანიც. ყველა ტირის. ტირის და ტირის.  
 მშვიდად იძინე. დაისიზმრე შენი არყოფნა.  
 შენივე თავი არყოფნაში კარგად ამყოფე.  
 სავსეა ეზო. მიმოზები უმზერენ ტირიფს...

IX



„მივიდა ხომალდის მეთაური და უთხრა: რა დროს ძილია...“

ბიბლია, იონა წინასწარმეტყველი.

იონა სინარქულიძე ჩოხატაურში და სოფელ ამაღლებში ცუდს ვერავინ იტყოდა, თუმცა ისიც ჩვეულებრივი ადამიანი იყო და ნაკლი მასაც უამრავი ჰქონდა და ერთი ის იყო, რომ ყანის თოხნა არ უყვარდა — არც თვითონ დადიოდა ნადში, არც არავის ეძახდა. თოხნის დროს, არავინ იცის, საიდან მოდიოდა ერთი რუსი, იგორა. გარკვეული საფასურის ნაცვლად ის თოხნადა იონას ყანას, ორჯერ, ორი კვირის შუალედში, პირველი თოხი — მარგველა და მეორე თოხი — მოროდი. მეორე ყანას სასუქსაც უყრიდა, ამონიუმის გვარჯილას, სამ შეკვრას და მიდიოდა ისევ. თვითონ იონას შუადღით სანადო მოსაკითხის ნაღებაც ეზარებოდა, რა მარონიებს ახლა ამ სიტყვებით, იტყოდა და მეზობლის ბავშვს, დათუნას ატანდა.

წელსაც პირველი თოხი უწევდა უკვე იონას ყანას და ამოვიდა იგორა. წვეთი-კუსკოთო — იონამ უთხრა. არაო, ჭმული ვარო — გურული აქცენტით უპასუხა იგორამ და პირდაპირ ყანისკენ დააღო თავი.

მზე შუბის ტარს კარგა ხნის წინ იყო აცილებული.

— ე, კაცო, არ ყოფილა დათუნა სახლში, დედამის ოზურგეთში ნოყუვანია ბაზრობაზე, სირცხვილია, ნოულე იმ კაცს საქმელი! — ეჩხუბებოდა იონას მეუღლე ნანა.

— რას დააპორნიალებს იმ ბაღანას აქეთ-იქეთ? როის ამოვო?

— არ ვიცი, როის ამოვო, ე, კაცო, ადექი ზედ!

— შენ იცი, ღმერთმა ჩრდილი რეიზა შექმნა, ძალიან რომ დაცხება, აილე ლეჟანკა და ნამონეჟი!

— ღმერთმა ის არ გითხრა, კაცს ამ სიტყვებში, მშვიერს რამე რო დეემართოს, რა პასუხს გამცემო?

— არაფერი არ უთქვია ასეთი, ჰოდა, არაფერი არ დეემართება იმას, ვიცი მაი მე!

— საიდან იცი ვითომ?

— შენ არ მიკითხავდი ბიბლიიდან იონა წინასწარმეტყველზე, ჰოდა, ვიცი-თქვა! რაგა მაინც და მაინც ჩემს ყანაში მეღებება ბოლო?

— რაცხა არ მახსოვს წინასწარმეტყველური ნიჭი გამოგვიჩინოს როისმე!

— გითხარი ნუხელ, ა, ნახე, ხვალ თუ არ გათენდეს-თქვა! არ გათენდა?

— კიდე კარგი, არ გისმენენ სანყალი დედაშენი და მამაშენი!

— გიჩივი მე და თუ არ გჯერა, ნაი შენ!

— არ გრცხვინია, იმ უცხო კაცთან მართო რომ მიმოტყანაში?

— ნუ გეშინია, ძლივს დაბანცალობს, არაფრის თავი არ ექნება იმას!

— კაცი გქვია ახლა შენ?

— ღმერთო, რა ჩემ ფეხს დასანვავად ევეთრიე იმ წელს ბახმაროში! ვერ ვიჯევი სახლში?

— რატომ ხელი არ მომტყდა, წერილი რომ გამოგიგზავნე, რომელი წესტანი ვიყავი ან ვითომ შენ მყავდე ტარეილი!

— ხო, მახეკიე ახლა მკვდარი ვეფხვები და ლომები...

შორიდან რომ მოგესმინა ნანასთვის და იონასთვის, ჩხუბობენო, იფიქრებდი, ახლოს მოსულს ანდაზა გაგახსენდებოდათ ერთი, ცოლ-ქმრის ჩხუბი რეგვენს ნამდვილი ეგონაო. მზე და მთვარე ერთმანეთისთვის ამოსდითო, მეზობლები ამბობდნენ ისანასა და იონაზე. ერთი დარი ჰქონდა ორნივეს, მეათე წელი იყო, დაქორწინებულები იყვნენ და შვილი არ ჰყავდათ.

...იონას სამხედრო ასაკმა რომ მოუწია, იმ პერიოდში საბჭოთა ჯარები ახალი შეყვანილი იყო ავღანეთში, რაიონის კომისარი მამის ძმაკაცი იყო და, მიშველეთ, აი, ბაღანე ავღანეთში არ გოუმვანო — შეეხვეწა. იმან საქართველოში ვერ დავტოვევ, მაგრამ მეზობელ რესპუბლიკას გაგახერხებ სადმეო და იონა ჩოხატაურის კომისარიატიდან პირდაპირ აზერბაიჯანში გაუშვეს ტაქსით. საბჭოთა კავშირი კი ერქვა, მაგრამ კონსტიტუციით სხვადასხვა ქვეყანა იყო მაინც — არც მანამდე და არც მას მერე ახალწვეული ტაქსით წასულიყო ჯარში, თან ერთი ქვეყნიდან მეორეში, მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს.

იონას სამხედრო ნაწილში ქართველი არავინ დახვდა, მაშინ ასეთი წესი იყო, ქართველებს რაც შეიძლება შორს, ძირითა-

დად, ციმბირში ან შორეულ აღმოსავლეთში აგზავნიდნენ, ვინმეს სახლში დაბრუნების სურვილი ნაკლებად რომ გასჩენოდა. დიდი ნაწილი არ იყო, ხუთას კაცამდე, სამხედრო საწყობებს ყარაულობდნენ — აქედან გაჰქონდათ იარაღი პირდაპირ ავღანეთში. ვაგონებს ხშირად კედლებზე მიწერილი წერილები ჩამოჰქონდა, რომელთა შორის ზოგი ქართულად დანერვილიც იქნა. „ქართველი ხართ ვინმე?“ — ასეთი წერილი ნახა ერთხელ ვაგონის შიგნითა კედელზე, ახალი წარწერა იყო ამკარად და „კიო“ — იონამაც მიანერა, რომელიც აზრზე არ იყო, როგორ მოხვდა ამ ნაწილში, თორემ შერცხვებოდა აუცილებლად.

ლევან ლორია

რეისი ლონდონი — ამაღლება

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან



ამაღლებელმა ბიჭებმა, ვისაც უკვე გავლილი ჰქონდა სამხედრო, წინასწარ დაარჩევს იონა, ჯარში ვინმე რამეს გეტყვის, ეგრევე დაარტყი, მით უმეტეს, თუ პირველი ორი ასო „იო...“ თქვეს და „ტვაიო“ დააყოლეს, მაგენი ყველა სიტყვაზე იგინებთან და ურტყა უნდა, თუ არა დაგჩაგრავენო. ჰოდა, ულანუნებდა ყველას, ვინც „იო“-თ დაწყებული ეტყოდა რამეს, არადა სახელიც იო-თი ეწყებოდა და ჯერ კიდევ კარანტინში ყოფნისას ჩუმ-ჩუმად, ისე, რომ არ გაეგო, გადარეულს ეძახდნენ, გმირი კი მაშინ გახდა, კარანტინის გაყლის შემდეგ, ნაწილში გადასულმა კუნთებდაბერილ რუს სტარშინას, სპორტის ოსტატობის კანდიდატს კრივში, ხელი რომ დაარტყა და გათიშა.

სჯობს, თავიდან მოვყვეთ ეს ფრიად მნიშვნელოვანი ამბავი: ერთ კვირა დღეს, როცა ნაწილი ისვენებდა, ყაზარმიდან ყვირილის ხმა გაიგონა და რა ხდებოდა, იქედან გამოსულ ჯარისკაცს ჰკითხა. სტარშინას ჩექმები ცუდად გაუმინდესო — უპასუხეს. ყაზარმაში შესულმა დანახა, რუსს ორივე ხელი ყელში ჰქონდა ნაჭერილი ერთი გალეული ყაზახისთვის და წყლით ნახევრად სავსე ბოთლივით აჭანჭყარებდა. იონა ამ ყაზახთან ერთად კარანტინში იყო ფიცის მიღებამდე. ჰოდა, გამოესარჩლა, გაუშვი ხელიო, რუსს უთხრა. იმან გამოხედა, „იო“-ს თქმა კი მოასწრო და იონამ სად დაარტყა, რომელ წერტილში, ვერც მაშინ მიხვდა და ვერც მერე გაიხსენა — ყბაში აპირებდა, მაგრამ რუსმა ინსტიქტურად თავი დანია, თუმცა დარტყმის აცილებება ვერ მოასწრო და საფეთქელთან მოხვდა იონას მუშტი. ამის მერე ჯერ თვალები გადაატრიალა, მერე თვითონაც გადატრიალდა და შუა ყაზარმაში მოადინა ბრაგვანი. მოვკალი ეს უპატრონი მგონიო — გაიფიქრა იონამ. ჯარისკაცები ჯერ გოცებულები უყურებდნენ ძირს გაშლილ სტარშინას, მერე გონს მოვიდნენ და სამი გრაფინი წყალი გადაასხეს თავზე. როგორც იქნა, რუსმა თვალები გაახილა. რომ შენიშნეს, მოცოცხლდაო, გაიქეცი, ქართველოო — იონას უთხრეს, ის კი მშვიდად იდგა და ოდნავ გახარებული დაჰყურებ-

დამჯდარი კაცის დარტყმა არ იკადრა. ელოდა, როდის ადგებოდა, თან ფიქრობდა, რას მიზამს, დიდი-დიდი, მომკლას ამ დედა ანატორებმაო და სულ გაიხსენა ყველაფერი, რაც თვრამეტ წელიწადში ჰქონდა ჩატეული, არადა რა დასჭირდა? ხუთი წამი ალბათ, ეს ხუთი წამიც პატარა ბიჭი იყო და ამაღლების ორლობებში დარბოდა. მიბრუნდა ისევ აზერბაიჯანში. რუსმა უყურა ცოტა ხანს, მერე უთხრა, ქართველო, მე შენ არ დაგარტყამ, იმიტომ კი არა, რომ ვიცი ქართველებს ცხელი სისხლი გაქვთ, უბრალოდ, მაინტერესებს, ნორმალური თუ ხარო და გაიცინა. დაშტერდა აი უპატრონოო — იონამ გაიფიქრა. რუსმა კი სიცოლი შეწყვიტა და ნამოდგა, თან საუბარს აგრძელებდა: იმ შენს ყაზახ ძმაკაცს კი უთხარი, სამსახური სამსახურია და უფროსის ბრძანება უნდა შესრულდესო. იონასთვის ის ყაზახი ისეთივე ძმაკაცი იყო, როგორც ყველა დანარჩენი ნაწილში, მაგრამ არაფერი უთქვამს.

საღსამალათი რომ გამოვიდა გარეთ, მთელმა ნაწილმა ამოისუნთქა. ის ყაზახი მოვარდა, წამო რა, ნამცხვარზე და რძეზე დაგპატიუებ, დღეს კვირაა, საჩაიეში რძე იქნებაო. იონამ, ახლა არ გამეცინოს, თორემ რას იფიქრებენო და სიცოლიც შეიკავა და ყაზახთან ერთად ნახევარი ლიტრი რძეც გმირულად დალია და შაქრიანი თაფლაკერიც დააყოლა, თუმცა რაც დედის რძეს მოსწყდა, იმის მერე ვერ იტანდა რძეს და არც ნამცხვრის მოყვარული იყო დიდად.

ამის შემდეგ ისეთი პოპულარული გახდა იონა, ნაწილთან ახლოს მდებარე სოფლებიდან ბავშვები ექსკურსიაზე მოჰყავდათ, ეს არის ის ქართველი, სტარშინა რომ ნოკაუტში გაგზავნა ერთი დარტყმითო. ნაწილის უფროსი უკრაინელი იყო და ქართველებს დიდად მოყვარე. იონასთვის საყვედურიც არ უთქვამთ, გალახული რუსი სხვა ნაწილში გადაიყვანეს. იონა კი სერჟანტი გახდა და ოცი კაცის უფროსი — საკუთარი თავის ჩათვლით. მერე სხვა ქართველებიც ჩავიდნენ ნაწილში. ჯარისკაცები სხვადასხვანაირად ახვედრებდნენ იონას ამბებს: რუს სტარშინას ყბა მოტყებო,

ათი კაცი ერთად ცემაო, მეთაური ის არი-სო. ერთი კია, ნაწილში არავინ არავის ჩაგრავდა ამის მერე, მით უმეტეს ქართველს ვინ გაუბედავდა სიტყვის ხმაამალა თქმას, იონა გაიგებსო.

გავიდა ორი წელი. სანამ საბუთებს გაუფორმებდნენ, ნაწილის უფროსმა, დარჩი, პრაპორშიკის წოდებას მოგცემთ, ბინა გექნება სამხედრო ქალაქში და მაღალი ხელფასიო, მაგრამ იონამ იუარა, ორსართულიანი სახლი მაქვს ამაღლებებში, რად მინდა თქვენი ბინაო. მერე ტაქსი დაიქირავა ისევ და ისე დაბრუნდა ჩოხატაურში, როგორც წავიდა.

ეზოში ჩასულს მთელი სამეზობლო იქ დახვდა თავმოყრილი. ეხუტებოდა და კოცნიდა ყველა. ჭიშკართან ცხენი რომ დანახა, გაიფიქრა, ვინმე მეზობელია ალბათ ცხენით მოსულიო. ცხენს თეთრი ზოლი გასდევდა ცხვირზე და ალივით მენამული ფერის იყო, ამდენი ხალხის შემყურე მოუსვენრად ცქმუტავდა და ლაგამს აწვალებდა. ბოლოს დას და დედ-მამასაც რომ ჩაეხუტა, მამინ იკითხა, ვისია ეს ცხენი? შენო, მამამისმა. ზაფხულობით ბახმაროში დაყავდათ იონა და მისი უფროსი და მაიკო. ის გაახსენდა იონას, როგორ თხოვა ერთი საფერისცვალებო დოღის შემდეგ მამას, ცხენი მიყიდეთ — მასაც მოუნდა დოღში მონაწილეობის მიღება და გამარჯვება. მამამ სათამაშო, ბორბლებიანი ხის ცხენი რომ უყიდა, ცრემლი წამოუვიდა, მე ნამდვილი ცხენი მინდოდაო, არადა, კლასში არ დადიოდა ჯერ. ეს გაახსენდა ახლა და თვალცრემლიან მამასაც იგივე ახსენებოდა. ცხენს ალია დაარქვა და მთელ დღეებს ჩოხატაურის იპოდრომზე ჯირითში ატარებდა, ბავშვობის ოცნების ახდენა უნდოდა იონას.

ბახმაროში ფერისცვალების დოღზე დაინახა ნანამ პირველად იონა, ცხენზე ამხედრებული. „ვინა თქვა არსენა მოკვდაო“ — გაიფიქრა და რალაცნაირი საამო ფრთხილი იგრძნო გულში. ყველას გაუსწრო ალიამ, ფინის ხაზი გადაკვეთა, მერე შებორძიკდა, წინა ფეხებზე დაიჩოქა და იონა რომ გადმოხტა, მამინლა ნაიქცა და იქვე დალია სული. უყურებდა ნანა, როგორ ტიროდა ცხენის თავთან დაჩოქილი იონა და თვითონაც ატირდა. იცოდნენ იონას ფიცხი ხასიათი, ვერავინ ბედავდა ახლოს მისვლას. ნანა მივიდა და მხარზე დაადო ხელი. მივსამიძმრეო — მეგობარ გოგონებს და გაბრაზებულ ძმას, ალექსას უხსნიდა მერე. ნანას ხელის შეხებაზე იონას თითქოს ელვამ დაუარა მთელ ტანში. თავი ასწია და იმანაც მაშინ პირველად დაინახა ნანა. იონა ოცდაერთის იყო მაშინ, ნანა — ოცის და მეოთხე კურსზე სწავლობდა პედაგოგურზე, ნანას ძმა ალექსა კი ოცდაათს იყო უკვე მიტანებული.

დაჯილდოების ცერემონიაზე არ მისულა, სახლში მიუტანეს პრემია და ათმანეთიანი ბროლის საკანფეტე, რომელიც იქვე მიამსხვრია ჭიშკარს — ალიას ვუგზავნო სამოთხეშიო, ფულით კი სამეგრელოში შეიძინა უხედი ულაყი, ზურგზე მოექცა და ალექსანდრე მაკედონელივით გააჭენა მზისკენ, ცხენს საკუთარი ჩრდილის რომ არ შეშინებოდა. მერე მოიკითხა, ის გოგო ვინ იყოო. მეორე დღესვე გადავიდა ამაღლებადან მზიანში. ნანას სახლთან თოხარი-კით ჩაატარა ახლად გახედნილი ცხენი. უკან ყეფით მოსდევდნენ სოფლის ძაღლები. ნანას მამას დიდი თანამდებობა ჰქონდა რაიონში და დიდი სახლი სოფელში, ძმა კი გურიამი პირველი მერსედესით იწონებდა თავს და ფორალობის კენ უწევდა გული. შენიშნა იონამ, ფარდა რომ გადანიშნა მეორე სართულის ფანჯარაში და ნანას მოჰკრა თვალი. უკან, ამაღლებებში, დაბრუნებულს ამბავი დაახვედრეს, ოზურგეთის რაიკომის მდივნის შვილს მოსწონს ნანა, მალე ნიშნობას აპირებენო. გული დასწყდა. მეორე დღეს ადრე დილით იონას ვილაც ბიჭმა წერილი მოუტანა, ნანამ გამოგიგზავნაო. ქალაღზე სამი სიტყვა ეწერა მხოლოდ: „დღეს ორ საათზე“. იონამ წერილს რომ მოკიდა ხელი, ის ელვა და ცეცხლი იგრძნო ისევ, ფერისცვალობას რომ ჩაეღვარა მთელ სხეულში.

ორ საათზე ცხენის ფლოკების და ძაღლების ყეფის ხმაზე მიხვდა ნანა, იონა მოდისო. ჭიშკრიდან გავიდა და ორ წუთში ცხენზე იყო უკვე. უკან მისდევდნენ ძაღლები, ალექსა მერსედესით და კიდევ ერთი მანქანით — ალექსას ძმაკაცები საბჭოთა „მ6“-ით. იმ ბიჭმა, ვინც წერილი მიუტანა

იონას, ალექსა გააფრთხილა, დღეს ორ საათზე ნანა რაცხას აპირებო — შეშინდა, ვაითუ, გაიგოს ალექსამ, მე რომ ვარ გარეული საქმეში და მეორე წერილი ალექსამ არ წამალეზინოს მთლად იქეთა სოფელში. ძალღები მალე ჩამორჩნენ. სოფელს რომ გასცდნენ, მაშინ გადაასწრო ცხენს მერსედესმა და ვინრო ადგილას ჩადგა გარდვიგარდმო. ერთ მხარეს ადიდებული ყურეფა მიაგორებდა ტალღებს, მეორე მხარეს კლდე იყო დამრეცი, უკან კი დადევნებული მეორე მანქანა მოადგა. მარტო რომ ყოფილიყო, ცხენიანად გადაეცვებოდა იონა მანქანებს, მაგრამ ახლა ნანა ეჯდა წინ, რომელიც, გვერდულად მჯდომარე, ისედაც ძლივს იკავებდა თავს. ალვირი მოსწინა, ძლივს გააჩერა დაოთხებული ცხენი. ალექსა გადმოვიდა მანქანიდან, ხელში ნაგანით. ჩადიო — იონამ ნანას უთხრა. არა, მოგკლავსო — ნანამ და სიფრიფანა სხეულით შეეცადა იონას დაფარვას. იონა ცდილობდა, ცხენიდან ჩაესვა გოგო. ნანა უძალიანდებოდა, არ ჩადიოდა. ხედავდა ალექსა ამას ყველაფერს და ჰაერში გაისროლა. დაფრთხა ახლად გახედნილი ცხენი, ყალყზე შედგა. მოახერხა იონამ და ნანა ჩამოსვა მინაზე, თვითონ კი თავი ვერ შეიმავრა და ჩამოვარდა ცხენიდან ისე, რომ ალვირისთვის ხელი არ გაუშვია. ალექსამ ქამარში გაიჭო ნაგანი და მანქანაში ჩაჯექო, უთხრა დას. ნანა იონასთან მივარდა და წამოდგომაში დაეხმარა. რა დროს შევრცხვიო — გაიფიქრა იონამ და ძლივს აიტანა მინიდან წელი. ძმები ხართ, მაგრამ ანი ჩემი საქმე მაქვს ამ კაცთან — ძმაკაცები გააბრუნა ალექსამ. ისინი რომ წავიდნენ, დაჯექი, თუ არა ვესვრიო — ნანას უთხრა და ისევ ნაგანისკენ წაიღო ხელი. ნანამ ტირილი დაიწყო, მაგრამ მანქანისკენ არ წასულა, პირიქით, ცდილობდა, იონას აფარებოდა წინ, იონა კი ცდილობდა, თვითონ აფარებოდა ქალს. გაიცინა ალექსამ:

— მორჩით ახლა ამ ძიძგილაობას!  
 გაჩერდა ნანა. იონა წინ დაუდგა გოგოს, თქმით კი არაფერი უთქვამს.  
 — შენ ამაღლებელი იონა არ ხარ, რუს სტარშინას ყბა რომ მოტეხე ჯარში? — ჰკითხა ალექსამ.  
 — კი, ის იონა ვარ!  
 — სად მიდიოდით?!  
 — ქვიანში!  
 იცოდა ალექსამ, ქვიანი სოფელი რომ იყო ლანჩხუთის რაიონში.  
 — ქვიანში რაი გინდა?  
 — ჩემი დაია იქ გათხოვილი!  
 — კაია, შენი დაი რომაა იქ გათხოვილი, დამალაპარაკე ერთი ჩემს დას, შეიძლება? ნანა გვერდით დაუდგა იონას.  
 — ამ კაცს მზიანდნენ ქვიანში მიჰყვები? — კითხა ალექსამ.  
 — ხო, მიყვები! — ჩურჩულით თქვა ნანა და თავი დახარა.

— ერთი წლის მერე მასწავლებელი ხდები ქალი, აი უნდა ასწავლო ბაღებს? — თქვა ალექსამ და ისევ იონას მიუბრუნდა.  
 — შენო ის ამაღლებელი იონა არ ხარ, ჯარში რომ ტაქსით წახვედი და ტაქსით დაბრუნდი?  
 — კი!  
 — რა ვქნა ახლა, ტაქსი სად გიმოვნოთ და აგერ, ა, მანქანა და დაჯექით, აბა, ორივე და ჩამოყალიბდით, ამაღლებებაში მიდიხართ თუ ქვიანში?!  
 სახე გაუნათდა იონას, ქვიანში მელოდებიან, ვერ მოვატყუებ ჩემს დას, ცხენით წავალ წინ და თქვენ მანქანით გამოყვეითო. ცოტაც და უცნაურ მგზავრებს დაინახავდა კაცი ოზურგეთი-ლანჩხუთის გზაზე, წინ ცხენით იონა და უკან მერსედესით — ალექსა და ნანა...

ეს ყველაფერი ახსენებოდა და ჩაეძინა იონას.  
 სიზმარში ხედავს, ჩვეულებრივი იონა კი არა, იონა წინასწარმეტყველია თითქოს და აბობოქრებულ ზღვაში მოქცეული ეუბნება მგზავრებს. „აღმიქით და შთამაგდეთ მე ზღუასა მაგას, და დასცხრეს ზღუა ესე თქუენ ზედა, რამეთუ ჩემ გამო იყო ყოველი ესე ჭირი თქუენ ზედა“. მგზავრებმა ზღვაში კი არა, წელამდე ყანაში შეაგდეს თითქოს. ყანის შუაგულში ერთი ხე იდგა, მის ჩრდილს შეაფარა თავი იონამ, წამოწვა, დავიძინებო, მაგრამ იქ უკვე ჩვეულებრივი იონად გადაიქცეულს წამდვილი იონა წინასწარმეტყველი გამოეცხადა თითქოს და ეუბნება: „ადე, შე ზარმაცო, უცხოხს არ ათოხნიო ყანა, შენი თუ მოსავა-



ლი გნადდეს უხვი და გსურს, განმრავლდე და ლაღობდეს შთამომავალი შენი“.  
 გაეღვიძა. ალექსა ედგა თავზე, სიძე, შე ძველო, კაია შუადღის ძილი? ადექი, გაკეთდა ქვეყანაო — ეუბნებოდა და იცინოდა. ცოტა ხანს უყურა იონამ, მერე ეუბნება:

— ალექსა, ძამა, შენ უცხო ხო არ ხარ ჩემთვის?  
 — უცხო რაფერ ვარ? — სახლისკენ მიბრუნდა ალექსა, — ნანა, გამოხედე ამ შენს ქმარს, მთლად დაწყობილი არასდროს არ იყო, ახლა მთლად გააბდლებულა.  
 — ყანის თოხნა იცი? — ეკითხება ისევ იონა.  
 — არ მიცდია, მარა რავა არ მეცოდინება!

წავიდეთ მაშინ ყანაშიო — თქვა იონამ, მერე ალექსასთვის თოხი მეზობელს გამოართვა, უსიტყვოდ მოკიდა ნანას გამზადებულ საჭმელს ხელი და ყანისკენ წავიდა. ალექსაც თან მიჰყვა.  
 ყანაში ჩასულმა ჯერ ასაღილა რუსი, მერე, აი, შენ ფული, რაც დაგპირდი, აგერ საგზალიც, ანი ჩემი ყანა მე თვითონ უნდა ვთოხნო, თავისუფალი ხარ რუსოო — იგორას უთხრა. რაც გათავისუფლდნენ ეს ქართველები, დაშტერდნენ უფრო თუ უფრო

დაჭკვიანდნენო — თავის თავს ჰკითხა რუსმა. პასუხი ვეღარ მოიფიქრა, იონას ყანიდან მოკლე გზა იცოდა სოფლის მთავარ გზამდე და, „ბაკაკი წყალში კიკინებსო“, ესლა თქვა და ისე წავიდა, უკან არც მიუხედავს. იონამ და ალექსამ კი მუშაობა გააჩაღეს, ხან თოხით, ხან ხელით აცლიდნენ სარეველა ბალახს აბიბინებულ ყანას, დროდადრო ნადურსაც შემოსძახებდნენ. ორი საათი ისე იმუშავეს, არც დაუსვენიათ, იონამ მხოლოდ მაშინ მიიხედა, ნაცნობი მზერა რომ იგრძო ზურგზე, ნანა გადასულყო ყანაში, რად დააგვიანდათო და გაკვირვებული უცქერდა ყანაში მომუშავე ქმარსა და ძმას...

სალამოს ვანამზე ჰკითხა იონამ ალექსას, რაცხა საქმე გექნებოდა შენ და არც კი გკითხეო.  
 — კაი გამახსენე, სიძე... — გაიცინა ალექსამ.  
 — აბა, თქვი თუ რამე შემიძლია!  
 — უნდა მიშველო!  
 — თქვი, კაცო, აქ არ ვარ!  
 — ნენამ გამომაგზავნა თქვენთან, სათხოვარი აქვს და თვითონ ვერ გკადრათ, შენ სირცხვილი არ იცი რაია და კი ეტყვიო... — თქვა ალექსამ.



ესმოდა ნანასაც, რას ამბობდა ალექსა და ისიც მოუჯდა სუფრას და შეფიქრიანებულმა ჰკითხა ალექსას:  
 — რაია ასეთი სათხოვარი, რომ დედამ ვერ თქვა?!  
 — ჩემს საყვარელ სიდედრს, ქალბატონ ფაციას, რამე უნდოდეს და არ შევუხრულო?! — გაიჯგმა იონა.  
 — შორიდან დავიწყო თუ ახლოდან? — ჯერ დას გადახედა ალექსამ, მერე სიძეს.  
 — სიდანაც გინდოდეს! — უკან არ იხედა იონა.  
 — შუიდან სჯობია, აი, ცოლიკოური დასალევი მაქ! — თქვა ალექსამ  
 — ე, კაცო, თქვი!  
 — მოკლედ, სიზმარი უნახავს ნენას, წმინდა წინო გამომეცხადა, ძუძუს წყარო უნდა დალიონ შენმა სიძემ და და ქალიშვილმა და ეყოლებათ შვილიო!  
 — კარგადაა დედა?! — შეფიქრიანდა ნანა.  
 უცებ იონას თავისი სიზმარი გაახსენდა, მაგრამ ამაზე არაფერი უთქვამს, ესლა ჰკითხა:  
 — სადააო აი ძუძუს წყაროო?  
 — მერე გავიკითხეთ, ჯვრის მონასტრის დაბლა ყოფილი, სვეტიცხოვლის მხარეს — ხეებში ჩამალული თურმე, გზიდან არც ჩანს. ბილიკი ჩადის თურმე საცალფეხო მონასტრიდან. ფულიც გამომატანა, გზაში დაჭირდებათო და სასტუმროში მოისვენონ ან თბილისში და ან მცხეთაშიო.  
 — სად დაილალა ნეტა, რომ დაისვენოს!  
 — ჩაერია საუბარში ნანა, თუმცა ეტყობოდა, აშკარად ესამოვნა ეს ამბავი.  
 — რაის ფული, გაფიცებ ყველაფერს, ეს ფული უკან წაიღე... — იუკადრისა იონამ.  
 — გაგიჟდი შენ, გინდა მომკლას შენმა სიდედრმა? დამაფიცა, აი ფული, იცოდე, უკან არ წამოიღო ან არ მიისაკუთრო, თუ არა ჩემს კუბოს გაგატანიებ სახლიდანო...  
 — კარგადაა, ბიჭო, დედა? — ისევ იკითხა ნანამ.  
 — რა ვიცი, კარგადაა, მგონი, გადმოით და ნახეთ, შორს არ ხართ... ეს ვაჟბატონი შენს მოსატყვევლად დადის მხოლოდ მზიანში... მარა ჯერ ეს თხოვნა უნდა შეუსრულოთ...  
 — სახლ-კარი ვის დავუტოვო მერე? — შეფიქრიანდა იონა.  
 — მაიკო ხო აპირებდა ბავშვებით ამოსვლას, დარჩნენ ცოტა ხანს, რა უჭირს! — უცებ მოაგვარა ეს საკითხიც ნანამ.  
 ამ ამბიდან დაახლოებით წლის თავზე ბიჭი შეეძინათ ნანასა და იონას. ცას ეწია სიხარულით ალექსა, ბიძა გავხდით. ხარობდნენ ნანა და იონა.  
 ერთხელ ნანა ბავშვთან ერთად სტუმრად იყო მშობლებთან მზიანში ალექსას დაბადების დღეზე. დილიდან ახველებდა იონას. სიცხე გაუზომეს, ანუელი ჰქონდა. ვირუსი არ იყოს, პატარას არ გადასდოსო — შეშინდა ნანა და დატოვეს სახლში იონა...  
 ბნელოდა, „უცხოხს“ ძახილი რომ მოესმა ჭიშკრიდან.  
 — იონა, გამოდი გარეთ!  
 გავიდა იონა და სიბნელეს შეაშტერდა.  
 — რომელი ხარ!  
 — არ მიცნობ შენ, მარა მე გიცნობ, შენი ცოლისძმა ალექსა შემომაკვდა ჩხუბში, ვიცოდი, რა მოყვრობა გქონდათ და მინდა, პატიება გთხოვო, სანამ ფირალად გავვარდები!  
 — რაიო, — იონამ დაიღრიალა, სახლში შევარდა და მალევე გაბრუნდა უკან სანადირო თოფით, — დამენახე ერთი, სად ხარ, — დაიყვირა.  
 მაშინ გაიცინა „უცხოხმა“, არ მომკლა, შე უპატრონო, ალექსა ვარ, წამალი მოგიტანე აგერ, გრიპის ელექსირი, ბუზის ოტკაო...  
 ...დილამდე იქიფეს სიძე-ცოლისძმამ, კრიმინალური შეხედნენ მზეს და ნანაც დაბრუნდა. მარტო იყო. ბავშვი მშობლებთან დაეტოვებინა. ჯერ ძმას დაუწყო ჩხუბი — რას გამოიპარე ან სტუმრები რაფერ დატოვე? გადირია ნენე, გეთქვა მინც, აქ თუ მოდიოდით. მერე იონას ჯერ შუბლზე დააო ხელი, თან თერმომეტრი ძალის-ძალად ჩასჩარა ილიაში, თან აბებს უმზადებდა, დავალევიოო. გამჭყიპავს ახლა რაცხებითო — ალექსას შესწიოდა იონა, მაგრამ გადარჩა, არ ჰქონდა სიცხე. მივალბინე მაგას მე უკვე წამალიო — იცინოდა ალექსა...



ზღვა კი ჩვენ შიგნით  
გუგუნებდა —  
მთელი თავისი ამღვრეულობით...  
სადღაც უკვე ხდება სიზმარი,  
რომელშიც ჩვენ  
ომში ვიყავით...  
ჩემი სხეულის ნაფლეთები  
ზღვის შხეფებით გაცვივა ტანზე  
და გაკანკალებს,  
ოღონდ ვერ ხვდები —  
სიგრილვა  
თუ შუალამის ციებ-ციხელევა,  
როცა მძინარი  
ჩუმად მიხმობ  
მონყურებული ბაგეებით  
და მე აღარ ვარ...  
შენს სიზმარში კი მაინც  
ვჩნდები...

**აპოლონი შაბრუნიანი**

ეს ქალაქი, ჩემო ტკბილო, ჭორების ქალაქია,  
ნლობით ნაგროვები ბოლმისა და შურის.  
თან ეს ბოლმიანები სულ გენებებია,  
ვერაფრით მოიწყვეტ,  
შენ წინ რომ პირზე ია-ვარდს დაიფენენ,  
ნავლენ და  
სხვებთან  
იმ ია-ვარდს სულ გესლით შენამლავენ.  
თუ გინდა გაიგო,  
ასეთ მოყვასს შენზე რა აზრი აქვს,  
და მიხვდე,  
შენ ზურგს უკან, რასაც ლაპარაკობს,  
უნდა მიხვიდე და  
ხალხში რომ იქნება,  
გულთადად უნდა გადაკოცნო.  
პირზე ისევ  
ლიმილის ია-ვარდს გადაიშლის,  
მაგრამ იმ ყვავილებიდან  
ნამით  
შეცუბუნების ეკალი რომ გამოკრთება,  
ისაა ნამდვილი...  
დიახ!  
ეს კოცნაც იუდას ამბორია,  
ოღონდ მეტრუნებით....

**დავნი**

ქარი აწყდება სუყველა ნარგავს,  
სამყარო ცვდება ქვემოთ და დაბლა,  
როცა ერთმანეთს თანდათან ვკარგავთ  
და თითებიდან გვეზრდება დაფნა...

შეგუბებული ცრემლივით მწარე  
მე სიყვარულის აიაზმა ვარ,  
ქარს მიმეც, ოღონდ არ დამამტვრიო  
ბორძის და სუპის შესაკაზმავად.

**ვილაც — სიმარტოვე**

უძირო ორმოსაც რომ ჩავძახხო,  
მიყვარხარ-მეთქი,  
ასეთ გაურკვეველ პასუხს  
ისიც კი დამიბრუნებს:  
როცა ვერ ხვდები,  
შენივე სიტყვები გესმის,  
თუ ვილაც  
მართლა ზის  
იმ სიბნელეში,  
ვინც შენ გელოდება...

ვილაც — სიმარტოვე...

ერთმანეთთან მსხდომ შეყვარებულებს  
ჰგონიათ — ერთად ყოფნა სულ არი,  
მე კი ვშიშობ, რომ თვითონ წარსულიც  
უცებ არ გახდეს ნანარსულარი.  
სანამ უეცრად გადაბრუნდება,  
ჭრიალებს გზაზე ძველი ურემი,  
შეხორცებული ჭრიალობებით  
წარსულზეც რჩება ნაწიბურები.  
და განაკანრიც თუ არ ატყვია,  
თქვი, რა ტანია, აბა, ის ტანი?  
აღარ თრთის ჩემი წარსულის გული —  
ნაწიბურებით ნაგვირისტალი.

**დაკარგვა**

აცახცახებულ მაჯებით ბევრჯერ  
მეც ვმდგარვარ ყინვის იმ ბასრ მინებთან,  
როცა მეგონა, ვიპოვე ვინმე,  
სიხარული თავს მაკარგვინებდა...

**შთაბონება**  
*ნიკას*

პოეტი და რეჟისორი  
მიფრინავენ KFC-ის ფრთებით —  
თანამედროვე თბილისელი იკაროსები.  
ისინი დგამენ სპექტაკლს  
სიმაძღრის გადარჩენაზე.  
და რესტორნის ხელოვნურ საკვებს  
უხვედრებენ  
თავის ბუნებრივ კუჭსა და  
გულ-ღვიძლს.

არცერთი სიტყვა მარტოობაზე.  
რეჟისორი თავის ჩანთიდან  
აძვრენს წიგნს...  
და წიგნს  
„უკაცური თეატრი“ ჰქვია.

პოეტმა...  
ყბაში...  
ფრთა მოიქნია...

KFC-ის ფრთები  
ვერ აგაფრენს,  
მაგრამ გაგაძღობს...

ასეთია დღეს სინამდვილე  
ხელოვნების და  
ხელოვნურობის...

და მზესავით კაშკაშაა ეს სინამდვილე,  
რომელიც ოდნავ შეხებაზეც  
აღნობს ცხოვრებას,  
იკაროსის ცვილის ფრთებით...

მერე იწყება უფრთებოდ ფრენა...  
ხანმოკლე,  
მაგრამ უნამდვილეში...

**ინდოეთი**

*„ვარ როგორც სპილო... თავს დამადე ჭრიალობის დალი,  
რომ ველარ ენახო ინდოეთი სიზმრად და ბალი“...  
ჯალალ ედ-დინ რუმი*

არ მახსოვს, როდის დაგვეკარგა სულის სამშობლო,  
როდის ვიქცით ამ ნაღვლიან მიწის ხიზნებად,  
იმ სპილოსავით, უდაბნოში რომ მიაბიჯებს  
და მღვიძარსაც კი ინდოეთი რომ ესიზმრება.  
სიყვარულია ინდოეთი... რა დამავინებს!  
აქ კარგიც ხდება... მითუმეტეს, ყველა ავიც ხომ  
იმას გვიქადის, ის — ნამდვილი, დიდი, ფერადი,  
სურნელოვანი ინდოეთი გადაგვაგვიწყოს...  
რამდენჯერ მხოლოდ ეს სურნელი თუ მომწვედენია  
და ღონემიხდომ სპილოსავით შლეგს და ფეთიანს  
მთელი უდაბნო სიხარულით გამიბრუნია,  
და მგონება: ამ გზის იქით ინდოეთია!  
მაგრამ აქ ნამდვილს რას მიაგნებ? ისიც საქმეა,  
თუ რამეს ნამდვილს მიაგნავს მხოლოდ იერით,  
თორემ ინდოეთს აქ რა უნდა? რის ინდოეთი?  
ვინ ავთანდილი? ვინ ნესტანი და ტარიელი?  
და დიდხანს ცოცხლობს სპილო, ფიქრობს:  
ამ გზას რა გავა?

შეუდარებლად მცირე არის მასთან კაცის დრო,  
და მაინც ვიდრე ხიზანი ვარ, ვიდრე აქა ვარ,  
გემუდარები — ინდოეთი არ დამასიზმრო!

\*\*\*

დაძინებისას  
უსაშველოდ მტკიოდა კბილი.  
ტკივილისაგან გავითიშე  
და სიზმარში მეგობრის მხარს მივაყრდენ მხარი.  
მოვიტენთე,  
გავყურდი და  
ნამილო ძილმა.  
სიხარული ისე მშენიდა  
მთელ სხეულში,  
როგორც ერთხელ, ბავშვობაში,  
თევზებით სავსე ტბორში ჩავარდნილს  
ამ თევზების და ლიფსიტების ტანზე შეხება...  
მადლობა, ჩემო მეგობარო,  
სიზმრის მხრისათვის.  
სიხარულის თევზებო,  
გმადლობთ,  
ოქროს თევზები თუ არ ყოფილხართ,  
ცოცხლად გამიშვით:  
არ აღმოჩნდით  
პირანიებიც...

**ბრძამი**

მძიმედ ტრიალებს ძველი ფირფიტა:  
„განშორებაა სიკვდილი მცირე“,  
კავთისხევიდან ანდა დირბიდან  
გაეკიდება ირემი ირემს.  
აღარც ჟამია მყვირალობისა,  
არც სიმარტოვის წყლულები ბზარავს,  
მივა და პირით ჩუმად გაუნვდის  
ძველ ჭრიალობებზე დასაფენ ბალახს.  
ირემმა იცის და მაინც გარბის  
ქართლის ველებზე შეშლილი ღამით:  
არის ჭრიალობა, რომელსაც ქვეყნად  
ვერ გაამთელებს ვერცერთი ბრძამი.  
რა განშორება? სიქას გაგაცლის  
ყველა ნამდვილი ლექსი, პოეტო,  
ძველი ფირფიტის ერთი ნაკანრი  
ფირსაკრავის ნემსს თუ გამოედო.

\*\*\*

უსიერ ტყეში  
ვარ და ვყვირი:  
მე აღარა ვარ!  
ტყე  
სიგრილედ  
მიბრუნებს სიტყვებს,  
სიჩუმედ  
შენი არყოფნისა  
ჩემს არყოფნაში.  
სიყვარულის  
ჩამქრალ კოცონთან  
თბებიან ჩვენი  
მოგონებები.  
ტყის ყველაზე მაღალ ხეზე  
მიცოცავს გველი.  
ისე მაღლაა,  
თითქმის აღარც გაირჩევა:  
ჭია მგონია —  
ულამაზესად მოხატული,  
იმ ბალიშისპირივით, ერთ დროს  
ორივეს რომ გვედო თავქვემ  
და ერთმანეთის სხეულებზე,  
როგორც მღელვარე ზღვის ზედაპირზე,  
დავსრიალებდით.

მაგრამ მინებში არაფერ ჩანდა, როგორ მეძებნა გონი ან გული, სად მხოლოდ ჩემი ლანდი ცურავდა — ფერნასული და თავდაკარგული. და როგორც მინის მჭრელი იარა, ეს ლანდი მუდამ ისე მუქია, რომ იმას ვინმეს პოვნა კი არა, ჩემი დაკარგვაც არ გაუგია..

**\*\*\***  
შორსმხედველი ვარ.  
ამ ასაკში,  
რაც უფრო ახლოს მოვა რამე,  
მით უფრო ბუნდოვანდება.  
მხოლოდ სიკვდილი ჩანს მკაფიოდ,  
როგორც ბნელში  
კვერნის თვალები...  
სად ჩამოვჯდუ, მეგობარო?  
სად დავისვენო?  
ბალი ვერსად გავაშენე,  
უდაბნომ მძლია,  
ძნელია ვარდი შეამჩნიო ეკალში  
მაშინ,  
როცა გტოვებენ,  
თან გეძახიან:  
გეხვეწები, ხელს ნუ გამიშვებ.  
არ იჩხვლიტება  
ეკლის ქერქში ვარდის კოკორი?  
უხვი ბალიდან  
განა უდაბნო არ ისუსხება?

**გოდიალისა**

სანთელი მეგონა —  
ნათურა აღმოჩნდა და...  
გადაიწვა...  
ცხოვრებამ —  
ხელმწიფემ —  
მწირის სამოსელი  
გადაიცვალა...  
ქუჩაში,  
ჩემგან  
გარეთ გამოვიდა.  
და  
მათხოვრობს.  
დაეძებს თავის  
სარჩენსა და  
შესაყოფს...  
დღეიდან,  
ძვირფასო,  
ოთხკუთხივ  
სულ ჯვარი გესახოს...  
თუ შენი დაკარგვის აღარ მეშინია,  
არც რას ვუფრთხი.  
შეხედე:  
სახიდან  
ისე მოგინმინდე,  
როგორც ფურთხი,  
სხვას რომ ტყორცნეს და  
შემთხვევით,  
მე მომხვდა სახეზე.  
შეხედე:  
ხელმწიფეს მწირივით მაცვია და  
დაგეძებ.  
აქეთ მდინარეა —  
უტირიფონო და  
უფონო,  
იქითა ნაპირზე  
ბალახობს  
ცხენი  
თუ იპონი.  
მდინარეს გადავალ  
და თუ სიცოცხლე ხარ ნამდვილად,  
მოვკვდები  
და მჯერა,  
სიკვდილით ხელახლა გიპოვი.  
....  
შემოვალ შენს სულში  
და ძალით არ დაიყვებო:  
შენ მაინც  
ნუ შეგაცდენს  
ეს გლახის ტანსაცმელი...  
მეფე ვარ!

**ასე, უბრალოდ...**

მე რომ მინდოდა ფანტელები და უხვი თოვლი, ხელთ მუდამ შემრჩა ჭუჭყიანი ლელმა და ჭყაპი. ჩემს არსებაში დაკარგული მეტევეზის ცოლი, მესამე დღეა, ვერ შორდება საყვარელ ნაპირს. იქ, საიდანაც მისი ქმარი ზღვაში გავიდა, და საიდანაც არ დაბრუნდა, მეცხრე წელია... იქნებ იმიტომ, რომ ჰგონია, (ცხრა წლის დაკარგულს არცერთ ნაპირზე სიყვარულით აღარ ელიან.

მაგრამ დგას ცოლი და უაზროდ შეჰყურებს ტალღებს, შინ კი მშვიდი ელოდება თხუთმეტი ლლაპი... მე ხომ ბარდნა და მშვენიერი თოვა მინდოდა ხელთ რატომ შემრჩა მხოლოდ ჭუჭყი, ლელმა და ჭყაპი?

**სიბიჟე**

ეს პეიზაჟი შარშანდელია:  
გამხმარ ყვავილთა ლურჯი კალათა  
მაშინ დავხატე, ჩემმავე გულმა  
საკუთარ თავთან რომ მიღალატა.  
შევეყურებ კალათს და თვალებს ვმალავ.  
ვერ გამოვიგია — ხერხემლის მალა  
როდის გამოიტყდა, ან ეს კალათი  
რამ დაამსგავსა ჩემს თავის ქალას.  
შევეყურებ კალათს, როგორც ჩემს თვალებს —  
ხმელი ბალახის ცრემლით ანატირს —  
ასე სასტიკი და ასე მწარე  
არ განმიცდია დღემდე ლალატი.

**სალალოზო — 4**

ღმერთო, შენთვის ვახარებდი  
ვარდებსა და იებს,  
შენ კი სულ არ გაგახსენდი,  
სულ არ შემეწიე.  
მდინარე სულ მიდიოდა  
ბრაზიანი, მღვრიე,  
ვერ გავტოპე მე ეს წყალი,  
ველარ გავარდვიე.  
სიზმარი რომ მომიგზავნე,  
ცისკიდემდე ვდიე,  
რაც ამ ქვეყნად არ ყოფილა,  
ქვეყნის დასალიერს  
ვით იქნება? ვით ითქმება?  
ვით შეიცვლის იერს,  
ის, რაც ერთხელ შევიყვარე,  
სამუდამოდ ძლიერ.  
რაკი ასე დავითრგუნე  
ჯოჯოხეთის მიერ,  
მოდი, ღმერთო, თუ ღმერთი ხარ,  
ბარემ... შემეწიე!

**სალალოზო — 3**

ვინც კი გულით მყვარებია,  
ყველა მაშინ დარჩა სახტად,  
როს — ამ ტრფობას მინდობილმა —  
ჩათვალა, რომ გამინაღდა.  
რა ვუთხარი იმ სიყვარულს,  
ყრუანტელი თუ არ ახლდა,  
ჩემი ერთი მიკარებით  
თუ არ გინყებს ტანი თახთახს.  
არა მჯერა შორით კვდომის,  
შორით კვდომის დედაც წახდა,  
შორით კვდები? — დამელოდე  
სამოთხეში... მე კი ბალთან  
სულ სხვა ქალი მელოდება —  
ხორციელი, მკვირცხლი, კობტა...  
რა ვუთხარი იმ სიყვარულს,  
მოსახდენი თუ არ მოხდა?

**ელეზია — 4**

ისმის საყვირი ნაპირზევე ჩაძირულ გემის,  
რომელიც ველარ მოადგება მშობლიურ ნაპირს,  
სიყვარული ხომ ერთი მყიფე ძარღვის ძაფია,  
ჩაიძირება, თუ გაგვიწყდა ის ერთი ძაფი.  
გეგულეობდე, მინდა, მუდამ სანდო ნაპირად.  
მე ხომ ჩემივე მოჭედელი ნდობის ხატი ვარ...  
სისხლი ათროლებს თეთრ კისერზე ვინრო კაპილარს...  
წვიმს და  
შენ მაინც არა მკითხო —  
რამ ამატირა...

**როდესაც კატა მებონა ღმერთი ძველევკიპტური მითოლოგიიდან**

გააფხვიერეთ გულის ყამირი  
და ნაყოფს მოგცემთ გაისად ასმაგს,  
დაგპირდი, მაგრამ ვერ მოვახერხე  
ვერც უსიტყვოდ, ვერც უცრემლოდ წასვლა.  
უნაყოფოა, თუმცა ხნულივით  
მენვის გახნილი ყველა იარა,  
შენ იანვარშიც იყავ ზაფხული,  
ჩვენ შორის ღმერთმა რომ გაიარა.  
და რაც დრო გადის, ვერ გამოვიგია,  
ვცდილობ კი მივხვდე, თავს ძალას ვატან:  
ჩვენ შორის ღმერთმა გაიარა თუ  
გადაგვირბინა ელამმა კატამ.  
თუმცა როგორ არ მოგენდობოდი  
ულალატო და გულწრფელ მეგობარს,  
მე ხომ ისეთი ბრიყვი ვიყავი,  
რომ თვით კატაც კი ღმერთი მეგონა.

**სალალოზო**

რადგან გაქცევა გადარჩენაა,  
როცა საქმეზე მიდგება საქმე,  
რაკი რალაცას უნდა მოახტე;  
ნუ მოახტები აქლემზე ნაკლებს.  
ერიდე ქალებს... ბევრი მამაცი  
სულ ასო-ასო გლიჯეს და აქნეს...  
და, თუკი მაინც უნდა დაეცე,  
გვერდს ნუ მოინვენ ლამაზზე ნაკლებს!  
თუ ამბობ რამეს, მხოლოდ ის სიტყვა  
თქვი, სადაც გრძობა თავისთავს აგნებს,  
თუ არა ჩუმად! და ნურასოდეს  
ნუ იტყვი სიტყვას გრძობაზე ნაკლებს!  
თუკი სიცოცხლე ჯერ კიდევ გიშლის  
ვინება-სურვილთა უცხო საღერღელს,  
ნუ იტყვი: „ვკვდები!“ — რადგანაც ყველა  
კვდება და... კვდება, როგორც ახერხებს.

**სალალოზო — 2**

თუკი შრომობ და მაინც გშია შინ,  
უნდა გაიქცე ირლანდიაში.  
ირლანდიაში რა დაგრჩენია?  
ან ვის უნახავს ვარდი იაში?  
ეს ქალი რალას გადამეკიდა? —  
ასი წლის მერე უკვირს იაშილს.  
როგორ გარიეს ჩემი სტრიქონი  
ამის უნიჭო ნია-ნიაში? —  
ზის სამოთხეში, სკროლავს ფეისბუქს  
და ვინც არ მოსწონს, იქვე მიაშლის.

**გამოვცდით...**

იმ ღამით ქართლის გზებზე ვიარეთ...  
ჯაყომ მკითხა გამოსვლისას:  
„პრავაი გააქ შენა, ჯიგარო?“  
— არა. და მე რად მინდა პრავა?  
მძლოლი მე ხომ არა ვარ?  
— ჰო, რა ვიცი. ფრთხილათ იყავით მაინცა.  
მცხეთასთან აჩერებენ.  
უკუნი ღამე იწვა ქართლის გორაკებზე,  
თითქოს რიყეზე კამეჩების ჯოგი დასაყრულაო, და  
ქარიც ულონოდ ქროდა სიბნელეში  
მათი შემადრწუნებელი ფშვინვასავით —  
ზანტი და მხურვალე,  
ორთქლიანი და ოხშივარიანი.  
„მე ვარ სერაფიტა, ასული ზევახისა“  
(თუ ჯავახისა?),  
რატომ წარმომედგინა სერაფიტა  
მუდამ თეთრი და საღლუქი,  
მკვრივი ძუძუებითა და ზედაც ვარდისფერი,  
თორთქალა დვრილებით?  
არადა, ალბათ შავტუხა იქნებოდა,  
ქართლის გორაკებზე ჩამოწოლილი  
ღამესავით მოგიზგიზე შავი თვალებით.

მცხეთასაც გამოვცდით...

**აქილევისის გული**

მხოლოდ შენ გვერდით ვარ აქილევისი,  
ვერაფერი ვერ მომერევა...  
შენ რომ არ მყავდე,  
საყვარელო,  
ცოდო მერე ვარ...

ეგ სინაზეა ჩემი სიმტკიცე  
და მყარად დგომა,  
მე არაფერი ვიქნებოდი,  
ქვეყნად,  
შენ რომ არ...

ჩემს შიგნით შენ რომ არ ფეთქავდე,  
რალად მინდა ან მინა, ან ცა...  
რას ვუშველიდი  
შემოდგომის უსაშველოდ ნაღვლიან ხანძარს.

გული იმით ძგერს,  
რომ მაგ თვალთა  
ვარსკვლავების ცვიცხლი უნთია,  
თორემ სხვაგვარად  
მხოლოდ ერთი სუსტი კუნთია,

ათასი ცვიცხლით მოზურბურე  
ვინრო საკირე...  
და რა ქუსლები,  
საით წავა?  
რას გაექცევა...  
როცა შენ უცემ გულად  
მამაც,  
გულად  
აქილევისს...

მეცხრე დღეა, კოვიდი მაქვს. რა თქმა უნდა, უკეთ ვარ, მაგრამ ვაჭყობ, საბოლოო გამოჯანმრთელებამდე შორია. არადა, ახალგაზრდებმა 3 დღეში მოამთავრეს: დაბალი სიცხე, ცოტა ყელის ტკივილი, ცოტა სურდო... მე მე-9 დღეა, ვიბრძვი: მაღალი სიცხეები აღარ მაქვს, მაგრამ ყელი ისევ მტკიავს, სურდოც ძველებურად მომჩქეფს, ძალა გამომაცალა და გული დამიღალა, ადგილს ვერ ვპოულობ, ნოლა აღარ შემოდის, საქმეს ვერ ვაკეთებ, ვერც ვკითხულობ... ჰოდა, ნავედი მოგონებებში: ეს დღეები სულ წარსულში ვმოგზაურობ, იქ ძირითადად ბევრი ახლობლის დაღუპვამ წამიყვანა, გულის წყევტამ და გულის ტკივილმა. მოგონებების კრიალოსანმა კი ბევრი კარგი ემოცია გამიღვიძა და უცებ, შინაპატიმრობის მე-9 დღეს, ამ ემოციების ქალაქად გადავქცა. მომინდა — იქნებ ჩემსავით სხვასაც ესამოგონოს-მეთქი (ძირითადად ჩემი დები ვიგულისხმებ). ჰოდა, ასე:

დავიბადე ლანჩხუთში — გურიის პატარა, ლამაზ ქალაქში, 1958 წლის 12 ნოემბერს ინტელიგენტების ოჯახში (საბჭოთა პერიოდში უმაღლესი განათლების მქონე პირებს ინტელიგენტის ფენას მიაკუთვნებდნენ). მამაჩემი ქიმიკ-ბიოლოგის სპეციალისტი გახლდათ. სხვადასხვა დროს სხვადასხვა სკოლაში მუშაობდა: ზოგან დირექტორად, ზოგან სასწავლო ნაწილის გამგედ ან რიგით მასწავლებლად. ბოლოს პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილედ დანიშნეს. პროფტექნიკუმები მაშინ ძალიან მნიშვნელოვან საგანმანათლებლო ორგანიზაციებად ითვლებოდა და ლანჩხუთის პროფტექნიკუმის გახსნაც 70-იანი წლების ბოლოს გურიის რეგიონში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად აღინიშნა. მამინდელი პროფტექნიკური სასწავლებლის ოქროს მედალი კარგ ფაქტორზე უგამოცდოდ დასმის გარანტია იყო და ამ სისტემაში მალე ამუშავდა კორუფციული სქემა: დირექტორებმა დაიწყეს მედლებით ვაჭრობა და ფულის კეთება. ქვეყნის მასშტაბით ბევრი პროფტექნიკუმის დირექტორი აღმოჩნდა ციხეში. წლების შემდეგ ლანჩხუთის პროფტექნიკუმის დირექტორი და მისი ერთ-ერთი მოადგილეც გაასამართლეს. მამაჩემს საყვედური გამოუცხადეს, რატომ არ ამხილე კორუმპორული თანამშრომლები. ამ ფაქტზე მამაჩემმა იმდენი ინერვიულა, კინაღამ საავადმყოფოში მოხვდა. მას ბოლომდე სჯეროდა, რომ მისი დირექტორი პატიოსანი კაცი იყო და გაუგებრობის მსხვერპლი აღმოჩნდა. აი, ასეთი საყვარელი მამა მყავდა — უზომოდ წესიერი და კეთილშობილი. ჩემს პატარა ქალაქში დღესაც ბევრს ახსოვს გოგი სადრადე — გოგი მასწავლებელი ან უბრალოდ გოგი ბიძი, რომელიც ძალიან უყვარდათ. მისი ყოფილი მოსწავლეები ხშირად ჰყვებოდნენ, რომ ყველაზე საშინელი გაბრაზების დროსაც კი მისი გამოხატვა ასეთი იყო: „ბიძია, თავი არ გამალანდლო, იცოდეთ“. არც მისი გალანდული უნახავთ ვინმე.

ოჯახში მეორე გოგოდ დავიბადე. მამაჩემს ძალიან უნდოდა ბიჭი, მაგრამ არ გამოვიდა და რას იზამდა. იმ საღამოს ღვინისთვის ასულა ნალიაში, ბავშვს დავლოცავო, ნალიის ჭერში ჩამოკიდებულ გოგირდმუავას ხსნარიან კოლბას ნამოსვლებზე და ხსნარი თავზე გადაუსხამს. ქიმიკოსი იყო, წესები იცოდა და დანვას გადაურჩა, მაგრამ ყურზე გოგირდმუავას ნაკვალევი მთელი ცხოვრება ატარა. გურულეს მტეჩა რა უნდოდა და პატარა ქალაქში ხმა დარხეული: გოგის მეორე კოლა შესძინა და გოგირდმუავა გადაუსხამს თავზეო.

ჰოდა, ვიზრდებოდით ორი ცისფერთვალა გოგო ჩვენს ლამაზ კარ-მიდამოში. მშობლები თან გვეყვებოდნენ, რაც შეეძლო, გვანებიერებდნენ. იმ პერიოდის კულტურული აქტივობებიდან მახსენდება კინო და ქალაქის თეატრი. თეატრში ცოტა მოგვიანებით დავინყეთ სიარული, კინოში კი სკოლამდელ ასაკშიც დავდიოდით. მახსოვს, ჩემი მშობლები ლამაზად გამოგვანყობდნენ, თვითონაც გამოიპრანჭებოდნენ და მთელი ოჯახი მივდიოდით კინოში. იმ პერიოდში ძირითადად ინდურ ფილმებს უჩვენებდნენ: „ავარა“, „ზიტა და გიტა“... (რა ეპოქის ვარ).

ტკბილად მახსენდება აგრეთვე პირველი მაისისა და 7 ნოემბრის დღესასწაულები. ჩვენ, რა თქმა უნდა, დიდხანს არ ვიცოდით, რას ვზეიმობდით, მაგრამ ზეიმი მო-

გვწონდა. ტრიბუნის წინ ჩავლა „დუხავოს“ თანხლებით უდიდეს სიხარულს გვანიჭებდა. ჩემს პატარა ქალაქში საოცარი მუხტი არსებობდა. ხალხს ერთმანეთი უყვარდა. ხშირად იმართებოდა დიდი ქორწილები, „ხურეები“ (სახლის გადახურვა), რომელიც ერთ-ერთი მიზეზი იყო დღესასწაულის მოსაწყობად. ქელეხებიც ხალხმრავალი იმართებოდა. ზოგი ხარბი ადამიანი ქორწილსაც და ქელეხსაც შემოსავლის წყაროდ აქცევდა ხოლმე, და ეს, რა თქმა უნდა, იყო ძალიან მახინჯი ტრადიცია, რომელმაც მთელი ჩემი ბავშვობა და კიდევ დიდხანს გასტანა. თუმცა ბავშვებს ეს გადაჭარბებული ტრადიციები არ გვანუხებდა და ქორწილებში ძალიან ვხალისობდით.

დედაჩემი ჩაის ფაბრიკაში მუშაობდა მთავარ ტიტესტერად. ფაბრიკა ლანჩხუ-



თის ცენტრში მდებარეობდა, ნოე ჟორდანიას ყოფილ ფუძეზე. ის ქალაქისთვის და მთლიანად ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი საწარმო იყო. როგორც ვიცო, გურიის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ფაბრიკაში ძალიან ბევრი ხალხი იყო დასაქმებული. დროდადრო რუსეთიდანაც ჩამოჰყავდათ მუშები. დედასთან მეგობრობდა ერთი რუსის ქალი — ვერა ლებედევა, რომელიც ლენინგრადის ბლოკადის მონაწილე ყოფილა. ბლოკადის დროს მცირეწლოვანი შვილები დახსოვია შიმშილისგან. ოჯახიდან მარტო ის გადარჩენილა. ვერას მკაცრი სახე და კეთილი გული მქონდა — სახეზე აღპბჭქლოდა გადატანილი უბედურება.

ხანდახან დედაჩემს სამსახურში მიყავდი. იქ სხვა თანამშრომელს პატარა ლამაზი ბიჭი მოჰყავდა, რომელიც სოსო ერქვა. მე და სოსოს ნედილი ჩაით სავსე ტრანსპორტიორზე შემოგვსვამდნენ ხოლმე და გვასეირნებდნენ. ტრანსპორტიორი და სოსო ჩემი ბავშვობის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი მოგონებაა. შემდგომში მე და სოსო ბოლქვაძე ერთ კლასში აღმოვჩნდით და დავმეგობრდით.

ბებიჩემი რომ გარდაიცვალა სიმსივნით, ჩემი უფროსი და 6 წლისა იყო, მე — 4-ის. სასწრაფოდ მოგვწავიდა. ნათლობის ცერემონიალი სახლში ჩატარდა, რადგან მაშინდელი ჩვენს ქალაქში არც ერთი ეკლესია აღარ არსებობდა. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მინასთან გაუსწორებიათ გურულ ბოლქვაძეებს ეკლესიები. ნათლობის რიტუალს ბუნდოვნად ვისხენებ: სპილენძის მრგვალ ტაშტში ჩავსვავს ბავშვები, ბევრი სანთელი მახსოვს და მღვდლის ტკბილი პუტუნი. მღვდლობა მაშინ არაპრივილეგიურულ პროფესიად ითვლებოდა (ალბათ მაშინდელი მღვდლები იყვნენ ღვთის ჭეშმარიტი მსახურნი). იმ დროის ჩვენი ქალაქის ქუჩებში არავის უნახავს ანაფორიანი ღვთის მსახური. იგი გარეთ ჩვეულებრივ სამოქალაქო ფორმაში გამოდიოდა და რელიგიური ნების აღსრულების დროს ადგილზე გადაიცვამდა ხოლმე ანაფორას. შემდგომში მამაჩემისგან გავიგე, რომ მღვდელი, რომელმაც ჩვენ მოგვანათლა, მე-2 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის — დათიკო გოგუაძის — მამა ყოფილა. დათიკო კომუნისტური

პარტიის წევრი იქნებოდა აუცილებლად, სხვანაირად იმ თანამდებობაზე არავინ დანიშნავდა, მამამისი კიდევ — მღვდელი. როგორც ჩანს, მაშინდელ საზოგადოებაში, სადაც ყველამ ყველაფერი იცოდა, არსებობდა რალაცებზე თვალის დახუჭვის ჩუმი შეთანხმება, რომელიც კარგად მუშაობდა და ცხოვრებას აადვილებდა. ჩუმი შეთანხმების კიდევ ერთი მაგალითი მახსენდება: დედაჩემი ჩაის ფაბრიკის პარტკომის მდივანი გახლდათ წლების განმავლობაში. მამაჩემი — ათეისტი, დედაჩემი კი შინაგანად რელიგიური ადამიანი იყო. ჩვენს ოჯახში აღდგომას და შობას ყოველთვის ქრისტიანური წესების დაცვით აღვნიშნავდით. დედაჩემის მსგავსი მორწმუნე ადამიანი იმ უღმერთობის ეპოქაშიც ბევრი იყო. მოკლედ, მრევლი მაშინაც არსებო-

ბდა, ოღონდ განსხვავებული წესებით ცხოვრობდა. კარგად მახსოვს ლანჩხუთის მორწმუნე საზოგადოების რელიგიური აქტივობის ადგილი — სოფელ ჯიხეთში შემორჩენილი დედათა მონასტერი. ყოველ 21 სექტემბერს, „ღვთიშობლობა დღეს“, მორწმუნე გურული მრევლი ღამისთევით მიდიოდა ჯიხეთში და მასთან ერთად ჩემი პარტკომი დედაც. წინა დღეს დედა ჩვენს სივრცე სანთლებს ჩამოქნიდა, საგულდაგულოდ დაკეცავდა და მეზობლის ქალებთან ერთად ჯიხეთის გზას დაადგებოდა. მონასტერი ტრასიდან რამდენიმე კილომეტრზე მდებარეობდა. ჩვენი მორწმუნეები ტრასამდე მანქანით მიდიოდნენ, ჯიხეთის გადასახვევიდან კი ფეხით მიუყვებოდნენ რთულად სავალ აღმართთან ბლიკებს. მიაჩნდათ, რომ წვალეთი გავლილი გზა ღვთის სამსახურში ჩათვლებოდათ. მამაჩემი ყოველ 21 სექტემბერს სიმშვიდეს კარგავდა, ნერვიულობდა: „სანამ არ დაგიჭერენ, არ მოისვენებო“ — დედას ებუზღუნებოდა. ქალაქის პარტიული სამსახურის სპეციალური განყოფილება ხშირად აწყობდა რეიდებს „ღვთიშობლობა დღეს“, მაგრამ არც ერთხელ არ მომხდარა ისე, რომ რომელიმე პარტიული მუშაკი მონასტერში დაეკავებინოთ, მით უმეტეს, დაეჭიროთ და პარტიული თანამდებობიდან გაეთავისუფლებინოთ. აქაც, როგორც ჩანს, ჩუმი შეთანხმების მექანიზმი მუშაობდა. დედამ ეს იცოდა და რეიდის დროს, რა თქმა უნდა, იმალებოდა და თვალში არავის ეჩხიერებოდა, მაგრამ მამაჩემს ვერაფერს უხერხებდა.

ჯიხეთთან დაკავშირებით კიდევ ერთი ისტორია მახსენდება: მე-8 კლასში შატალის ნავილით მთელი კლასი. ეს გადაწყვეტილება სპონტანურად მივიღეთ. ბევრი ვიხეტილეთ, არ ვიცოდით, სად წავსულიყავით. შატალის ორგანიზატორი მე არ ვიყავი, მაგრამ ჯიხეთის მონასტრის მონახულების იდეის ავტორი კი გამოვედი. ბოლოს ყველაფერი მე დამიბრუნდა: გოგის გოგო ყოფილა მოთავეო. მამაჩემი მაშინ ჩემს სკოლაში მუშაობდა. მოკლედ, დიდი უბედურება დატრიალდა: მასწავლებლის შვილმა, ხუთოსანმა ბავშვმა, აყარა მთელი კლასი და შატალის წაიყვანა. თან სად? მონასტერში... მახსოვს, როცა სკოლაში დავგაბრუნეს, ანა მასწავლებელმა, რომლ-

ის გაკვეთილიდანაც გავიპარეთ, სასტიკად მისაყვედურა: „ვისი, შენ რაღამ გადაგრიდა, ეს რატომ გამოიკეთე, მაინც სად წახვედითო?!“ მე პირდაპირ, მიკიბ-მიკიბვის გარეშე ვუპასუხე: „მონასტერში ვიყავით-მეთქი“. „რატომ არ დაგაშვავდათ თავზეო“ — მომახალა გაღიზიანებულმა. ამ პასუხში კარგად ჩანს, როგორი უპატიველო დამოკიდებულება არსებობდა ეკლესიის მიმართ მაშინდელ საზოგადოებაში.

მამინ სკოლაში 7 წლისებს გვიღებდნენ. მე რაკი ნოემბერში ვარ დაბადებული, კლასში თითქმის ყველაზე პატარა ვიყავი და თავიდან სწავლა გამიჭირდა. პირველი დეოთხედის ბოლოს რომ სამები გამომეყვა, მამაჩემმა დამისვა და კარგად ამიხსნა სწავლის მნიშვნელობა. გავაცნობიერე, რომ დედაჩემის და მამაჩემის მხრიდან ყველანი ნასწავლები იყვნენ და მეც უნდა მესწავლა და მიწინაშე „ინტელიგენტი“ მაინც უნდა გამოვსულიყავი. სწავლას მივხედე და პირველი კლასის ბოლოს უკვე ხუთოსანი ვიყავი. ეს ხუთოსნობა ბოლომდე გაგრძელდა. ყველა საგანს კარგად ვსწავლობდი, თუმცა, უფრო ჰუმანიტარი ვიყავი. მიყვარდა ქართული, უცხო ენა, ისტორია. მედლის კანდიდატიც ვიყავი. ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ მედლას ვიღებდი, მაგრამ ასე არ მოხდა. ეს იყო პირველი დიდი უსამართლობა, რომელიც ცხოვრებამ მომიშადა. ძალიან განვიცადე. განათლების სამინისტროში ნიშანი დამაკლეს ქართულის თემაში, რომელიც ბრწყინვალედ დავწერე.

ჩემს დროს ჩანყობები და ბევრი უსამართლობა ხდებოდა მისაღებ გამოცდებზეც, მაგრამ ისიც იყო, რომ ჭეშმარიტ ცოდნას არავინ დაგიკარგავდა. მე სკოლის ცოდნით, მხოლოდ ჩემი ძვირფასი მასწავლებლების გაკვეთილებზე მიღებული ცოდნით, პირველსავე წელს მოხვდი სახელმწიფო უნივერსიტეტში მაღალი ქულებით. ასევე ჩემი დები, ყოველგვარი ჩანყობის გარეშე მოხვდნენ სამედიცინო ინსტიტუტში, სადაც განსაკუთრებით ყვაოდა კორუფცია. აქვე გავისწავლე იმასაც, რომ ჩემი ქართულისა და ისტორიის მასწავლებლები, იმის მერე, რაც გაიგეს, რომ დასავლეთ ევროპის ფაკულტეტზე ვაბარებდი და მათი საგნები დამჭირდებოდა, სახლიდან მიზიდვდნენ წიგნებს და დამატებით მასალებს, რომ ცოდნა დამეგროვებინა. დეზემონა მასწავლებელმა ნამაკითხა ჟუკოვის „მოგონებები“, სადაც გავეცანი სამამულო ომის დეტალებს. გამოცდაზე კურსკის ბრძოლა შეხვდა და ეს წიგნი ძალიან გამომადგა.

ჩემი პროფესიული არჩევანი ჩემს მამიდაშვილს — დონარას — უკავშირდება. დონარა ბათუმელი იყო, უცხო ენათა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ლანჩხუთში გამოანაწილეს სამუშაოდ. ჩვენთან ცხოვრობდა და ორ სკოლაში მუშაობდა: მე-3 საშუალო სკოლაში და მანჩვარეთის რეანლიანში. მამინ მე-8 კლასში ვიყავი. ზუსტად ვიცოდი, რომ ექიმობა არ მინდოდა (სისხლის დანახვაზე გული მიმდიოდა და იმიტომ). დონარას ძალიან უყვარდა თავისი ფრანგული, მეც მიყვარდა და მან კიდევ უფრო შემეყვარა: ჩვენ ერთად ვკითხულობდით ფრანგულ ზღაპრებს და სხვა ადაპტირებულ ტექსტებს, მე-10 კლასში კი უკვე პროსპერ მერიმეს ნოველებსაც შევეჩვიე. ჩემი დონარა იყო დღემდე ძალიან კმაყოფილია, რომ მისი პროფესია ავირჩიე.

90-იან წლებში, ზაფხულში (ზუსტად წელი არ მახსოვს), ჩემმა კლასელებმა მინიშხვედრის ორგანიზება მოახერხეს. ალბათ 10-ოდე შევიკრიბეთ ჩვენი კლასელების — დათო სირაძის — სახლში. ძალიან გავიხარეთ და ვიზიარებდით. პედაგოგებიდან მარტო ეშანა მასწავლებელი გვყავდა, იქვე, დათოს მეზობლად ცხოვრობდა და გადმოვიყვანეთ. სკოლის მერე მამინ პირველად ვნახე ჩემი ქართულის მასწავლებელი. მედლის გამო დიდი გულისტკივილით მომიბოდიშა, ჩემს თავსაც ვადანაშაულებ, უფრო უნდა მებრძოლა, მე შენისთანა მოსწავლე თითვე ჩამოსათვლელი მყოლია, შენი ყველა საკონტროლო თემა შენახული მაქვსო. თავი უხერხულად ვიგრძენი, სულ ჩემზე ლაპარაკობდა. ბოლოს მითხრა: მე ვიცი, შენ შენს სიტყვას იტყვი, რაღაც მნიშვნელოვანს გააკეთებ მეცნიერებაში, დამლოცა და ბევრი სიკეთე მისურვა. ჩემი საყვარელი მასწავლებელი... სამუხაროდ, ვერ გავუმართლე იმედები, ისევე, როგ-

ორც მამაჩემს — ბავშვებს რომ წამოზრდით, რაღაც გავაკეთეთ, რომ გვეუბნებოდნენ და ჩემს დებს: ვერ გავაკეთეთ... მე პირადად ბევრმა ფაქტორმა შემიშალა ხელი, მაგრამ განსაკუთრებით შრომისმოყვარე რომ ვყოფილიყავი, ალბათ მეტს გავაკეთებდი...

1966 წლის 18 ოქტომბერს პატარა დაიკო შეგვეძინა. მამაჩემს კიდევ ერთხელ გაუცრუვდა იმედი, მაგრამ ბედს მალე შეეგუა და თავისი ქალიშვილებით სულ ამოყობდა. ანუკას დაბადებამ ჩვენი ცხოვრება მკვეთრად შეცვალა. ბევრი სიხარული და საზრუნავი მოემატა ოჯახს. რვა წლისა ვიყავი და ახლაც ცოცხლად მახსოვს ის ემოციები, რაც მაშინ მქონდა. დედას ყველაფერში ვეხმარებოდი. დედაჩემს რძე არ ჰყოფნიდა და რძის ქარხნიდან რძე გვეძლეოდა. ქარხანა ქალაქის ბოლოში მდებარეობდა. ჩვენ ცენტრში ვცხოვრობდით. რძეზე მე დავდიოდი — რვა წლის ბავშვი. დღეში ორჯერ ტრასას ვკვებდი და, რაც მთავარია, რძის ქარხნისკენ მიმავალ საცალფეხო ბილიკს ვავდიოდი ღელის პირში. ამ ბილიკზე ხანდახან იქვე მცხოვრები ავადყოფი ბიჭი, ვასიკო, თუ შემხვებოდა, მაშინ კი გამკრავდა შიში, მაგრამ მახსენდებოდა დედაჩემის გაფრთხილება — ვასიკო თუ შეგხვდეს, არ შეგეშინდეს, ხომ იცი, კეთილია და არავის ერჩისო. მართლაც არავის ერჩოდა ვასიკო — დადიოდა და თავისთვის ლაპარაკობდა ან მღეროდა.

ამ პერიოდში, 1967 წლის გაზაფხული იქნებოდა ალბათ, ჩემს პატარა ქალაქს გრიგალმა გადაუარა. გრიგალი მთელი კვირის განმავლობაში გაგრძელდა. მან მთელი დასავლეთ საქართველო მოიცვა, განსაკუთრებით კი სამეგრელოსა და გურიის რეგიონები დაახინა. ძველი სახლები მიწასთან გაასწორა, დაანგრია მშენებარე სახლებიც. აქა-იქ მსხვერპლიც მახსოვს. მაშინ 8 წლის ვიყავი, ჩემი უფროსი და 10-ის. ანუკა აკვანში იწვა. ბავშვები შეშინებული ვიყურებოდით ფანჯრიდან და ვხედავდით, როგორ ბოგინობდა ქარი ჩვენს ლამაზ ეზოში: ხეები ლამის ერთმანეთს ენარცებოდნენ, ჰაერში დროდადრო პატარა საგნები ტრიალებდნენ ნამქერივით: მაგალითად, ცოცხი ან მეზობლის ეზოდან მოტანილი ფეხსაცმელი ან პლასტმასის თასი... ახლაც ყურებში მიდგას ქარის განწირული ღმუილი. ჩვენმა მეზობელმა კაცებმა სამაშველო ბრიგადა შექმნეს ასე 7-8 კაცის შემადგენლობით. ჰოდა, დადიოდნენ ეს მაგარი კაცები ეზოდან ეზოში, ათვალეფებდნენ სახლებს, დიდ ხეებს აკვირდებოდნენ, დროდადრო შემოგვძახებდნენ: რამე ხომ არ გიჭირთო. ერთხელაც გავიჭირდა: უზარმაზარ მსხლის ხეს, რომელიც სახლთან ძალიან ახლოს იდგა, ქარმა ძირი გამოუთხარა, მამაჩემმა აღმოაჩინა, რომ ხე სადაცაა ნაიქცეოდა და სახლის ნაწილს დაანგრევით ეშუქებოდა. სამაშველო ბრიგადა სასწრაფოდ გაჩნდა ჩვენს ეზოში. კაცებმა ხეს მსხვილი თოკი მოაბეს, მიმართულა შეუცვალეს და „დრუშებით“ მოჭრეს. ახლაც ყურში მაქვს ნაქცეული გიგანტის ზღართანის ხმა. ძალიან დამეხანა მსხლის ხე, რომელიც თაფლივით ტკბილ ნაყოფს იხსამდა. გრიგალი არ ცხრებოდა. ჩვენს ხის სახლს აკვანივით არწევდა და აჭრიტინებდა. მეოთხე დღეს, როცა გრიგალმა კიდევ უფრო იმატა, მამაჩემის ბიძამ — ლადიკო ბაბუამ — კატეგორიულად შემოუთვალა მამაჩემს: „ახლავე მოკიდე ბავშვებს ხელი და ჩემთან გადმოდიოთ“. ლადიკო მკვიდრად ნაშენ ქვის სახლში ცხოვრობდა, ასეთ სახლებს გრიგალი ვერაფერს აკლებდა. ჰოდა, ავიბარგეთ და სამაშველო ბრიგადის თანხლებით გადავბარგდით ლადიკო ბაბუასთან. ჩვენი ესკორტი კუს ნაბიჯით დაიძრა ლადიკოს სახლისკენ: შუაში ჩვენ — ბავშვები და დედაჩემი, ანუკა პლედში გახვეულ აკვანში — ჩვენს ირგვლივ საიმედო დაცვა: მამაჩემი და ბრიგადის კუნთმაგარი კაცები. ლადიკო ბაბუას სახლში სამი დღე ვიცხოვრეთ. ახალმა გარემომ ბავშვები ძალიან გავახალისა და მეოთხე დღეს, როცა გრიგალი დაცხრა, ცოტა გულიც კი დაგვწყდა, ამ სახლს რომ ვტოვებდით.

აქვე დიდთოვლობაც მიწდა, გავიხსენო. ჩემს ბავშვობაში ზამთრობით დიდი თოვლი იცოდა. ძალიან ვერთობოდით ბავშვები. მამას თოვლი ბავშვივით უხაროდა. დიდ თოვლის ბაბუას გავიკეთებდა ხოლმე სტაფილოს ცხვირით, გვაგუნდავებდა და თვითონაც ხალისობდა. ერთხელ კაკანათი

გავიკეთა: ფანჯრიდან ვაკვირდებოდით პატარა ბელურებს საკვების ძიებაში აქეთ-იქით რომ ეხეთქებოდნენ. ბოლოს ბელურებმა მამას დაყრილი საკენკი იპოვეს, ჩვენც ხელი გამოვკარით ფანჯრის ღრიჭოში საგანგებოდ დამაგრებულ თოკს და ბელურები ჩვენს კაკანათში აღმოჩნდნენ. მამამ სახ-



ლში ამოგვიყვანა პატარა, მოზუხული ჩიტები, გავათბეთ, ვესიყვარულეთ... მერე ავიხსენა, რომ ჩიტებს თუ არ გავუშვებდით, აუცილებლად დაიღუპებოდნენ. ბევრი ვეფერეთ და ბოლოს გამოვემშვიდობეთ და ბუნებას დავუბრუნეთ პანანინა საოცრებები.

კიდევ ერთი ისტორია მახსენდება თოვლთან დაკავშირებით. იმ წელსაც დიდი თოვლი მოვიდა. ჩვენი ფისო, რომელიც ძალიან გვიყვარდა, სადაღაც გაუჩინარდა. ბევრი ვეძებეთ, ვეძახეთ, მაგრამ არსად ჩანდა. რამდენიმე დღის შემდეგ დედამ ფისო სახლის სარდაფში იპოვა მკვდარი. სარდაფის კუთხეში ქათამს ჩუმად დაუდია კვერცხები, ეტყობა, კრუხობისთვის ემზადებოდა. ჩვენმა ფისომ, საგარაუდოდ, თავი კარგად რომ ვერ იგრძნო, ქათმის ბუდეს მიაკითხა, კვერცხებს გადაანვა და სულიც განუტევა. ამის შესახებ ჩვენ რამდენიმე დღის შემდეგ გავიგეთ, როცა დედაჩემმა ბუდეში ჩანყობილი ათიოდე კვერცხი და მკვდარი კატა აღმოაჩინა. მკვდარი კატის ქვეშ ნაყოფი კვერცხების ჭამას ვერ გავრისკავდით. დედამ კვერცხები გარეთ გამოიტანა, ბავშვებს ფანჯარასთან მოგვიხმო და ჩვენს თვალწინ პერფორმანსი ჩაატარა: კვერცხებს სათითაოდ იღებდა და მსხლის ხეს ანარცებდა, ყვითელი შიგთავის ჯერ მსხლის ხეზე, შემდეგ კი ქათამს თოვლზე იღვრებოდა. მართლა ძალიან ლამაზი სანახაობა იყო. სიხარულისგან ბევრი ვიფიფივით და კარგად გავერთეთ. დედამ ეს ნომერი ალბათ იმიტომ მოიფიქრა, ფისოს დაღუპვის ამბავი რომ იოლად გადაგვეტანა.

1965 წლის ზამთარში ძალიან დიდი თოვლი მოვიდა. დაიხურა სკოლები, ორგანიზაციები. რამდენიმე დღის განმავლობაში ქალაქში გაჩერდა ყველაფერი. ჩვენი თეთრად დაბუმბულ ეზო მახსოვს: მე და ჩემი და ფანჯრიდან ვუყურებდით მამაჩემს, რომელსაც ეზოში გვირახებდი ვაკვავდა სტრატეგიულ ობიექტებზე. გვირახებდნენ მამას მხოლოდ თავი უჩანდა. ასეთი დიდი თოვლი მერე არასოდეს მინახავს.

3 თვის ასაკში ანუკას დიუნეტერია დაემართა. დედა და ანუკა დიდი ხნის განმავლობაში საავადმყოფოში აღმოჩნდნენ. საავადმყოფო ჩვენს მეზობლად იყო და

დედა ხშირად მოდიოდა სახლში და გვახმენებდა. სამინაო საქმეები ჩემი უფროსი დის ხელში აღმოჩნდა. მიმოზა მაშინ 10 წლისა იყო, მაგრამ ალბათ 14 წლისას მაინც ჰგავდა ჭკუით და სერიოზულობით. ყველაფერს შესანიშნავად უძღვებოდა, მე და მამას გვივლიდა და გვპატრონობდა. თან

ცნობილი კინომსახიობი ვალოდია ნულაძე. ბატონი ვალოდია ქალაქში გამორჩეული ადამიანი იყო. იმ წლებში ბევრ ფილმში გადაიღეს და ძალიან პოპულარული გახდა. მან ითამაშა ლუკაია ლაბაზუას როლი „მთვარის მოტაცებაში“. ბატონი ვალოდია ყველას უყვარდა, დიდ პატივს სცემდნენ. ცოლიც მსახიობი ჰყავდა — თამარ კირთაძე. იგი თეატრთან ცხოვრობდა პატარა, მყუდრო სახლში. შვილი არ ჰყავდათ. თეატრის დირექტორიც იყო და სამხატვრო დასის ხელმძღვანელიც. ქალაქს საკმაოდ ნიჭიერი თეატრალური დასი ჰყავდა და კარგ სპექტაკლებსაც სთავაზობდნენ მაყურებელს. ჩემი მშობლები ხშირად დადიოდნენ თეატრში. ჩვენც მათთან ერთად.

ჩემი სკოლის ბაზაზე ფიზკულტურის მასწავლებელმა — ამირან გოგუაძემ — დააარსა ხელბურთის ქალთა გუნდი, რომელიც წარმატებით ასპარეზობდა წლების მანძილზე სხვა დიდი ქალაქების გუნდების გვერდით. მე გუნდის კაპიტანი ვიყავი, ცენტრალური თავდამსხმელი. როგორც ამბობდნენ, განსაკუთრებული მონაცემებით გამოვიჩინე. ერთ ნაკლი კი მქონდა — ადვილად ვიღლებოდი — ამიტომ მწვრთნელი მონინა აღმდგის მოედანზე მტოვებდა. შეტევის დროს რამდენიმე დამცველის გარღვევას ვახერხებდი და გოლიც ხშირად გამეჭონდა. მერვე კლასში საქართველოს ნაკრებში შემოთავაზეს თამაში, რაზედაც მამაჩემმა კატეგორიული უარი თქვა. არც მე მხიბლავდა სპორტული კარიერა, სიმართლე რომ გითხრათ, თუმცა თამაში უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა.

მახსენდება ტანვარჯიშის სპორტული დარბაზი ქალაქის ცენტრში, მისი დამაარსებელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი — ბატონი მიშა ნილოსანი. ბატონი მიშა წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სპორტ-სკოლას, სადაც ძირითადად ტანვარჯიშის სექცია ფუნქციონირებდა. მისი სამი შვილი ტანვარჯიშის მწვრთნელებად მუშაობდა სპორტ-სკოლაში. დიდი ერთუზიასტი იყო მიშა ნილოსანი, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული კაცი. ბევრი კარგი ტანმოვარჯიშე გამოზარდა ლანჩხუთის სკოლაში. ტანვარჯიშზე მეც დავდიოდი, მხატვრული ტანვარჯიში კარგად გამომიდიოდა, დანარჩენი არც ისე კარგად: დვირის მეშინოდა ძალიან (ერთხელ გამოვეყარდი, მიში დამიჩრა და იმიტომ), ორძველიც დიდად არ მხიბლავდა. მერე ხელბურთზე დავიწყე სიარული და ტანვარჯიშს დავემშვიდობე. მაგარი ტანმოვარჯიშეები იყვნენ ჩემი კლასელები: ცუცი ურუშაძე და ნუნუკა ჯიჯიუშვილი, ერთი სომეხი გოგო იყო კიდევ — თამარი პეტროსიანი — „ლჩიკას“ ვეძახებდით. „ლჩიკა“ სასწაულ საღატოებს აკეთებდა დორზე და ორძელზე, ძალიან ყოჩაღი იყო. ტანვარჯიშზე რუსიკო ებრალიძეც დადიოდა, ჩემი კლასელი. რუსო ძალიან მოქნილი იყო და მხატვრული ტანვარჯიშის კონკურსზე ერთხელ სერიოზული პრიზი დაიმსახურა: სპორტული რეიტინგები და ჩუსტახი.

ჰოდა, ახლა რუსიკო ებრალიძე უნდა გავიხსენო — ჩემი ბავშვობის მეგობარი. პირველად სკოლიდან სახლში რომ გავყევი, გუგული დეიდამ გვასაძილა, მერე ვიმეცადინეთ, მერე თამაში რომ დავიწყეთ და აღარ დავამთავრეთ, ჩანთა მომცა ხელში და სახლში გამომიშვა — შენებს შეშინებდათო. მართლაც შემოფოთებულები დამხვდნენ ჩემები, სად არ მეძებეს თურმე. რუსო ქუჩის ერთ ბოლოში ცხოვრობდა, მე — მეორეში. რომ წამოვიზარდეთ და ერთმანეთთან დავიწყეთ სიარული, ასე ხდებოდა ხოლმე: რუსო მომაცილებდა ჩემს სახლამდე, მერე მე მივაცილებდი თავის სახლამდე და გრძელდებოდა საათების განმავლობაში. რუსო ლექსებს წერდა, ძალიან ნიჭიერი და რომანტიკული იყო. ჩემი სახლის წინ პატარა ღელე ჩამოდიოდა. წვიმის დროს ღელე მოდიდებოდა ხოლმე და მდინარეს ემსგავსებოდა. ერთხელაც, რუსოს სტუმრობის დროს, ღელე საკმაოდ მოდიდებულყოფი და პატარა ტალღებს მოაგორებდა. რუსუდამა რომანტიკულად გამალა ხელები და წარმოთქვა ფრაზა, რომელიც დღემდე უცვლელად მახსოვს: „მართლაც რომ მტკვარს ჰგავს ეს სასონარკვეთილება“. ის დრო ძალიან მიყვარს და ტკბილად მაგონდება. დღეს რუსიკო საუკეთესო ფილოლოგია. „კოჭებში ეტყობოდა“ — როგორც იტყვიან.

1972 წელს რაიონში მასშტაბურად აღნიშნეს გალაკტიონის დაბადების 80 წლისთავი. მე მერვე კლასში ვიყავი და გალაკტიონს პროგრამულად გავდიოდი. პოეზია მიყვარდა და მისი ბევრი ლექსი ვიცოდი. ანუკასაც ვასწავლე „ქებათაქება ნიკორწმინდას“. ამ პერიოდს ლანჩხუთში მოღვაწეობდა არაჩვეულებრივი ქალბატონი, ფილოლოგი დარეჯან ქინქლაძე. ქალბატონი დარეჯანი არაერთი კულტურული ღონისძიების სულისჩამდგმელი ყოფილა. გალაკტიონის იუბილეს აღნიშვნის კომისიაშიც მონაწილეობდა. მან ანუკაც ჩართო ამ დიდ ზეიმში. ახლაც მთელი სიცხადით მახსოვს ჩემი ქალაქის თეატრი — საზეიმოდ მორთული და გაჩაჩხახებული, გაბრწყინებული ჩემი მშობლები პარტერში, სცენაზე ჩემი ექვსი წლის დაიკო, რომელიც თავიდან ბოლომდე უშეცდომოდ ჩაარაკრაკა „ქებათაქება ნიკორწმინდას“. მე კულისებში ვიდექი მობილიზებული, მაგრამ კარნახი არ დასჭირდა. ამის შემდეგ ჩემს პატარა ქალაქში დიდხანს ლაპარაკობდნენ მაღალ დონეზე ორგანიზებულ საიუბილეო საღამოზე და გოგი სადრამის უნიჭიერეს ანუკაზე.

ჩვენი თეატრის დირექტორი გახლდათ

ცნობილი კინომსახიობი ვალოდია ნულაძე. ბატონი ვალოდია ქალაქში გამორჩეული ადამიანი იყო. იმ წლებში ბევრ ფილმში გადაიღეს და ძალიან პოპულარული გახდა. მან ითამაშა ლუკაია ლაბაზუას როლი „მთვარის მოტაცებაში“. ბატონი ვალოდია ყველას უყვარდა, დიდ პატივს სცემდნენ. ცოლიც მსახიობი ჰყავდა — თამარ კირთაძე. იგი თეატრთან ცხოვრობდა პატარა, მყუდრო სახლში. შვილი არ ჰყავდათ. თეატრის დირექტორიც იყო და სამხატვრო დასის ხელმძღვანელიც. ქალაქს საკმაოდ ნიჭიერი თეატრალური დასი ჰყავდა და კარგ სპექტაკლებსაც სთავაზობდნენ მაყურებელს. ჩემი მშობლები ხშირად დადიოდნენ თეატრში. ჩვენც მათთან ერთად.

ჩემი სკოლის ბაზაზე ფიზკულტურის მასწავლებელმა — ამირან გოგუაძემ — დააარსა ხელბურთის ქალთა გუნდი, რომელიც წარმატებით ასპარეზობდა წლების მანძილზე სხვა დიდი ქალაქების გუნდების გვერდით. მე გუნდის კაპიტანი ვიყავი, ცენტრალური თავდამსხმელი. როგორც ამბობდნენ, განსაკუთრებული მონაცემებით გამოვიჩინე. ერთ ნაკლი კი მქონდა — ადვილად ვიღლებოდი — ამიტომ მწვრთნელი მონინა აღმდგის მოედანზე მტოვებდა. შეტევის დროს რამდენიმე დამცველის გარღვევას ვახერხებდი და გოლიც ხშირად გამეჭონდა. მერვე კლასში საქართველოს ნაკრებში შემოთავაზეს თამაში, რაზედაც მამაჩემმა კატეგორიული უარი თქვა. არც მე მხიბლავდა სპორტული კარიერა, სიმართლე რომ გითხრათ, თუმცა თამაში უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა.

მახსენდება ტანვარჯიშის სპორტული დარბაზი ქალაქის ცენტრში, მისი დამაარსებელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი — ბატონი მიშა ნილოსანი. ბატონი მიშა წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სპორტ-სკოლას, სადაც ძირითადად ტანვარჯიშის სექცია ფუნქციონირებდა. მისი სამი შვილი ტანვარჯიშის მწვრთნელებად მუშაობდა სპორტ-სკოლაში. დიდი ერთუზიასტი იყო მიშა ნილოსანი, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული კაცი. ბევრი კარგი ტანმოვარჯიშე გამოზარდა ლანჩხუთის სკოლაში. ტანვარჯიშზე მეც დავდიოდი, მხატვრული ტანვარჯიში კარგად გამომიდიოდა, დანარჩენი არც ისე კარგად: დვირის მეშინოდა ძალიან (ერთხელ გამოვეყარდი, მიში დამიჩრა და იმიტომ), ორძველიც დიდად არ მხიბლავდა. მერე ხელბურთზე დავიწყე სიარული და ტანვარჯიშს დავემშვიდობე. მაგარი ტანმოვარჯიშეები იყვნენ ჩემი კლასელები: ცუცი ურუშაძე და ნუნუკა ჯიჯიუშვილი, ერთი სომეხი გოგო იყო კიდევ — თამარი პეტროსიანი — „ლჩიკას“ ვეძახებდით. „ლჩიკა“ სასწაულ საღატოებს აკეთებდა დორზე და ორძელზე, ძალიან ყოჩაღი იყო. ტანვარჯიშზე რუსიკო ებრალიძეც დადიოდა, ჩემი კლასელი. რუსო ძალიან მოქნილი იყო და მხატვრული ტანვარჯიშის კონკურსზე ერთხელ სერიოზული პრიზი დაიმსახურა: სპორტული რეიტინგები და ჩუსტახი.

ჰოდა, ახლა რუსიკო ებრალიძე უნდა გავიხსენო — ჩემი ბავშვობის მეგობარი. პირველად სკოლიდან სახლში რომ გავყევი, გუგული დეიდამ გვასაძილა, მერე ვიმეცადინეთ, მერე თამაში რომ დავიწყეთ და აღარ დავამთავრეთ, ჩანთა მომცა ხელში და სახლში გამომიშვა — შენებს შეშინებდათო. მართლაც შემოფოთებულები დამხვდნენ ჩემები, სად არ მეძებეს თურმე. რუსო ქუჩის ერთ ბოლოში ცხოვრობდა, მე — მეორეში. რომ წამოვიზარდეთ და ერთმანეთთან დავიწყეთ სიარული, ასე ხდებოდა ხოლმე: რუსო მომაცილებდა ჩემს სახლამდე, მერე მე მივაცილებდი თავის სახლამდე და გრძელდებოდა საათების განმავლობაში. რუსო ლექსებს წერდა, ძალიან ნიჭიერი და რომანტიკული იყო. ჩემი სახლის წინ პატარა ღელე ჩამოდიოდა. წვიმის დროს ღელე მოდიდებოდა ხოლმე და მდინარეს ემსგავსებოდა. ერთხელაც, რუსოს სტუმრობის დროს, ღელე საკმაოდ მოდიდებულყოფი და პატარა ტალღებს მოაგორებდა. რუსუდამა რომანტიკულად გამალა ხელები და წარმოთქვა ფრაზა, რომელიც დღემდე უცვლელად მახსოვს: „მართლაც რომ მტკვარს ჰგავს ეს სასონარკვეთილება“. ის დრო ძალიან მიყვარს და ტკბილად მაგონდება. დღეს რუსიკო საუკეთესო ფილოლოგია. „კოჭებში ეტყობოდა“ — როგორც იტყვიან.

გაგრძელდა მე-10 გვერდზე

გიორგი ლობჯანიძე

\*\*\*
შხამიანო, რა ხანია,
დავეხსენი ბოლმის ღვედებს:
შენ საითაც უკაკუნებ,
მე ის უკვე დავაჭედე!

ალექსანდრია. კავაფისი. ნაშუაშრაჰი.

დიდებული ქალაქია ალექსანდრია.
აი, შუქურაც,
უფრო სწორად —
ნაშუქურევი,
კაითბაის ციხე-სიმაგრეც.
ყავახანებიც
და ბერძნული ტავერნებიც
უცვლელად დგანან,
მაგრამ მათში აღარ ჩანს ბიჭი —
სიყვარულს ორ ცხვირსახოცად რომ ყიდულობდა,
მაგრამ ამაზე ძვირი იყო ის, რაც მას სურდა
და ამიტომ
ლექსებს წერდა
გონდაკარგული.
ყავახანები თუხთუხებენ:
ია, ჰაბიბი!
ანთა ვარდი! —
ეფერება არაბი არაბს.
ის ბიჭი კი, უკვე ბებერი,
თავის წიგნიდან
ეთხოვება თავის სიყვარულს,
რომელიც იყო
რბილი, როგორც ცხვირსახოცები,
და კაითბაის ციხესავით აუღებელი...

ნარნარა ნიგნა „ღელის ოთახი“

„ცხვარი ჩემია: მსურს — ავიყვან,
მსურს — მივატოვებ“ —
იოანესთან გვეუბნება ამ სიტყვებს ქრისტე,
მე ეს ნათქვამი ვერ გავიგე, თუ ვერ მივიღე
და ახლა ყურთან დიდი დიღმის ქარით მისტვენს.
ჩემი ცხოვრების გაუხარელ ნახევარგზაზე
ვარ მარტო და ამ დიღმის ქარის საფარფატო ვარ.
„ცხვარი ჩემია!“ — ეს რა გითქვამს?! მე ხომ, უფალო,
შენა გხედავდი ყველაში, ვინც არ მიმატოვა.
შენი აქ ყოფნით შინაგანად განათებული
ვუმყუდროვებდი ქარში ყველა დაუცველ ნარგავს,
მათგან კი ყველამ, როს ხეებად ამოშრილდნენ,
მე შემოდგომის ფოთლებივით გულგრილად მკარგა.
და შენც — აქმყოფი — არასოდეს არ დამენახვე,
ღელის დაფლეთილს, ნუგეშს მცემდი მუდამ ხვალეთი.
ან ის აკვანი სადღა არის?
ფსკერი ფსკერია,
გინდა ცხოვრების ყოფილა და გინდ ბაზალეთის.
დამწყდარ ფოთოლთა ამ არამყარ თანამდებობას
შეეჯახები ერთხელ თავით, როგორც ყრუ კედელს,
როგორც წარწერას ბუკინისტთან,
ერთ დროს მეგობარს
შენსავე წიგნზე სიყვარულით რომ გაუკეთე.

სიმთვრალის ლექსი

თქვა ერთმა გიჟმა ფეისბუქზე,
მაგ უხეიროს
(ჩემზე იტყოდა)
წამლად ერთი ძმაკაციც არ ჰყავს,
საეჭვო არის ეს ამბავი,
როგორც რომ სომხის
გაქართველება,
ანდა როგორც მსუნაგის მარხვა.
ბოდიშს მოგიხდით, ზაზა, ვასო, მეორე ვასო,
ვახო, ილიკო, ზურა, ალე, თაზო და როსტომ,
ყველა თქვენგანს თუ მიჯობს ერთი ყოჩალი ქალი,
რომ ფეისბუქზე მხოლოდ ჩემი ლექსები პოსტოს.
არც კაცი მინდა და არც ქალი, იმ ასაკში ვარ,
ჩემს თავს მე თვითონ ვუპატრონებ, ჩემო ირაკლი.
დღეს მარტოობა ჩემი ვრცელი სამფლობელოა,
უმეგობრობა არის ჩემი მეფური ნაკლი.
ვინ მომიოხებს ამ ცხოვრებით უგონოდ ნაცემს,
გაღმა ნაპირზე გავალ უკვე ძალიან მალე,
და უკვე ვიცი, რაც უგონოდ ალაგზნებს კაცებს,
სწორედ ის უნდათ და...
ნუ მკითხავთ: რა უნდათ ქალებს.



ნინო
სადღობელაშვილი



\*\*\*
ომში სხვა ტკივილს ყმუიან
უშვილო ქალები.
მათ ხომ ისაც ვერ გააჩინეს,
რისი მოკვლაც (არ) შეიძლება,
ვერასდროს გამოგოზეს მუცლის ქვევრები
ნაყოფის წვენით,
სისხლს რძე ვერ შეურიეს
ომის ცეცხლზე ჯადოსავით
მისასხურებლად,
ყელიდან თეთრი ბრონეულის
ასაყვავებლად,
მათი ცრემლიც სანყალია,
ტილებივით გადახილავს ღმერთი
ბავშვების თავზე,
დედების ცრემლის მარგალიტებს
ამოფარებულთ.

რა შეგიძლია ქალებს,
ცარიელ ჭურჭელს?
რა გავაყოლოთ
ცისკენ დაძრულ ჩვილთა ქარავანს?
იქნებ დედამინის ცეცხლოვან გულში
შევიკრიბოთ,
ჭურჭელი შევეართოთ,
სხეული მოვუძაბროთ
ელვარე სადინარებს და
ჩვენს გამოგრეულ ნიაღში —
ომის ნაალაფარ თასში —
სიცოცხლის თესლი შევისახლოთ,

ვიდრე ბოლო გამარჯვებამდე,
მოთმინებით გამოვკვებოთ,
სამყაროს სისხლი გადავუსხათ,
ძვლების ლიბომდე მოვუტეხოთ
ჩვენი სიმტკიცე,
სინათლის წყლებში მოვაშუშოთ,
საორსულე სული ვბეროთ
გასალვივებლად!..

რომ, როცა მოვა დიდი დედა
და აკლდამის სახევეს მოიხსნის,
ცას შესძახოს და
აბრეშუმის ჩვილი გააჩინოს —
ჩვენს ჭურჭელში დანყებულნი,
ჩვენი ბნელით გაბრწყინებული.

ნუგზარ ზაზანაშვილს

ამ გზას ბაღზე უნდა გაველო.
ბალი მარტო იყო და
თავისთავს გავდა,
უფრო სწორად, ადამიანს,
გრძელი თრობის შემდეგ
თავს რომ დაიბრუნებს,
სარკის წინ თვალს ამოიფშვინებს,
სიფხიზლის ეკლით თითებს გაიჭრის.

გზამ ჩაუარა ბალის წმინდა დეკორაციას
— ნაძვებს, ჭადრებს, სკამს და ლამპიონს,
ისე ცოცხალს, ისე ნამდვილს,
თითქოს მათი მარტოობა
დასაბამთან ერთად შეიქმნა,
თითქოს ადამიანებს შორის
მხოლოდ აჩრდილებს აღიარებენ,
რომ უფრო გასაგები გახდეს
სიცოცხლე,
რომ უფრო სასაცილო გახდეს
სიკვდილი,

— გზა, რომელმაც მყუდრო ხსოვნას ჩაუარა:
იჯდა ბაღში პოეტი და
მტრედებს აპურებდა
თან ლექსს წერდა ხმამაღლა,

მტრედმა ფრთა მოიქნია და
პოეტის სიტყვები
შემოდგომის ცისკენ ახვეტა,
დარჩა პოეტი ულექსოდ და
საკუთარი ჩრდილის ამარა,
ალარც აუხედავს
ცის ხნულეში აპნეული სიტყვებისაკენ,
არც მათი ნოყიერი ფესვები შეუნიშნავს,
ბაღში იჯდა და მტრედებს აპურებდა
ოქროსფერი ხელისგულიდან.

\*\*\*
ფრთები სიკვდილზე უნდა ალესო,
როგორც სიგიჟეს ღესავს სალოსი,
სევდავ, შვებაზე უსაყვარლესო
ლამაზ აჩრდილთა სამკერვალოსი.

\*\*\*
ზურგიდან არ მომეპარო, სიკვდილო,
წინ დამხვდი — თვალეში ჩაგხედო,
შენი თვალის ფერადებს უნდა გავყვე,
შენი თვალის ტყეები გადავლახო,
ტყეებს ექოები დასცივდება და ეკლები —
მანძილის ისრებად
ძვლებში ჩავიფინო,
ქარების ნაკორტნი ცა მომამეველე,
სიკვდილო,
ღრუბლები — ირმების საბალახო.

პირისპირ დავდგებით — დრო ბატკანივით
მთვარისკენ გახტება,
სიცოცხლის ბალებს
მოკალავს სინანული,
ტყეები იდინებენ, ტყეები იდინებენ
და ვერცხლის აფრებად ანეწილ
სიმღერებს გაჰყვებიან,
ვარსკვლავებს აუშვებენ
უფსკრულში მიმალულებს...

და როცა შენს თვალს გადავაგორებ,
სიკვდილო,
გადავწევ ორ ლოდს —
ჩრდილოეთის და სამხრეთის,
დავარდება ძირს ჩემი კანი, როგორც სუდარა
და უსხეულო მონატრებით
ჩემს შვილებს გავხედავ...

\*\*\*
სანყალი კაცის თვალეში გადავიხედე,
როგორც ნავაგსაყრელში,
გადავდებული ჩვილივით კვნესოდა შიგ
სიცოცხლის ნდობა.

ჩიტი და საათი

მუცელში საათი მედგა,
დროს უხმოდ იჩრდილებდა,
ისრებად — შიში და სიხარული
სადაფის კედელზე ცოცავდნენ,
სიზმარზე ზუსტი იყო და
წყვდიადში მალეიძებდა,
ომებიც შემახსენა,
განა ერთი, ოცამდე.

მუცლიდან საათი გამომგლიჯეს და
შიგ ჩიტი შემისახლეს,
ჩიტმა აღარ იცის რა დროა,
და მღერის თავის სახლზე
და გალობს თავის სახლზე
და მიხმობს თავის სახლში,
ცად როა.



\*\*\*

ხანდახან დღეებმა პურივით იციან დაობება. სიგრძე აქვთ იმხელა. რა გითხრა. ბაობაბის. აუტანელი ამგვარი დღეების სიმძალიე. ჯანდაბას, რაც იყო, გათავდა. მიძალდა. ჩვენ ვერ ამოვამრეთ ხსოვნის ჭაობები. თვალეები დახუჭე. იქნება წყვილიანი განათდეს. შენი მიოზია ტყუილია. გუშინ მიღებული ბარათიც, რომ ჩემი წასვლიდან მოსვლას დარაჯობდი, რომ არ დაუფეროხავთ მტვერი ყაყაჩოებს, რომელსაც ჩათვლემილ ჰიპნოსის ვპარავდი. დროა მიუტეო. იმანაც. დროა ასეთიც. მიატოვო. იყოს იანვარი. ახალი ბალი მეიღნისა. მადა თოვლის. ენა გამოუყო ფანტელეს. ცვიოდეს ფენტანისი. ილოცე. იბუტბუტე. და სამი მცირე მეტანია. ერთიც დიდი. თვალეები დახუჭე. მადათოვთან.

\*\*\*

თუ დამიჯერებ, ბოლოს ყველანი ჩვენივე თავის სიზმრად ვიქცევით, კონკეპტითა და მრუმე ნიღბებით, ათასი კოჭლი, ყრუ და ელაში. დაკარგავს გემოს ყველი. ინდიკა. თეთრი ქვრივი და ლურჯი სიზმარი. ალბათ ოდესმე გამოვიზამთრებთ და შუამთიდან ოქროშინდა კი დაკრიფე ისე რიდით და კრძალვით, თითქოს პეპელას ფრთებზე ეხები, თითქოს კლდეებზე გაჩნდა ეხები, რაღაც უცნაურ, უხილავ ძალით. თუ წაიმღერებ გულში მაყრულსაც, სანამ აგვესო უბე შინდებით. ნუ შეშინდები. ნუ შეშინდები, მაგრამ თვალ-ყური ადევნე ჯირკთან მძინარე ქოფაკს, ხანდახან, დღისით თვალეებს მილულავს. სიზმრებით ასე რომ მოხიბლულა, ძილში არ ახსოვს ძალღური ყოფა. გადავა მზე და მოსვლამდე მწუხრის ისწავლი ყველა კარნახის წერას. გაეღვიძება ქოფაკს თუ მწვეარს. ჩამოიბერტყავ იმდენხანს მუხლებს, შინისკენ წახვალ ამაყად. გზებებით. ოქროშინდებით სავესე პერანგით. თუ დამიჯერებ, ბოლოს ყველანი სიზმრებად ანდა გზებად ვიქცევით...

\*\*\*

ხანდახან სიჩრჩივით მეტადაც მიხდება. კი არ დავტყვიანდი. მგონია, დავბერდი. ახლა სულერთია ღამე. მაძახურა. მტრებიც მენატრება, რომ შემოვირიგო. სანამ გუბურაში ცა მოსჩანს. ინდიგო. სანამ მთების იქით ლავრას გადავყურებ. სანამ გადაუნვათ ოშკი და შატბერდი. ღამის მეც ჩავერთო რბოლაში ვირთხების. დაგმე სიდიადის შენთან შეფარდება, როგორც ჰერალდიკა, სამხრეთ კორეული, ანდა სინდრომები: სტოკჰოლმის. ლიმასი. დაშრი. დაინრიტე, როგორც კალაჰარი. ჩემზე ნუ იდარდებ. მინდა გაგახარო. იფიქრე სიზმრებში ვერმოსულ წვიმაზე. დროდადრო იკითხე საათი. ორუელიც. დახატე ჟირაფი. ფენმარდი გეპარდები.

\*\*\*

შეხედე, თუ როგორ ცვივიან თუთები, ნიავის უბრალო, უმნიველო შეხებით, იფიქრე იმაზე, რომ ველარ შეცხვდებით, ველარ ვიკამათებთ, არც დასაბუთება მოგვიწევს რაიმის, არადა გვიწევდა, აბეზარ ბავშვებსაც მოვგავდით ხანდახან, თუ გახსოვს იენისი და ოქროს ჩარდახი ან ჩვენი წითელი, აყალო მინები?

ახლა კი სახლები სიზმრებად გადაქცნენ, სიზმრებად გადაქცნენ შავ-შავი თუთებიც, მეზობლის ბალიდან გოგრა ბლის ქურდობა, მეზობლის ბალიდან გაქუსვლა სახლისკენ. შუადღეს მდინარე. რიყეზე ქოთქოთი. რა ფეხზე გვეკიდა ნიცზე და ფროიდი. არ გვექონდა კოდაკი ან პოლაროიდი. ბავშვობა — შემკული ფერადი ფოტოთი. არც მობილურიდან ვგზავნიდით მესიჯებს, ხშირადაც უსიტყვოდ ერთერთი გვიყვარდა, მერე ცაცხვებიდან დაფრთხობა ჭილყავათა და სეტყვის ყინულთა მარცვლების მეჯლისი. ჩვენც გამოგვადევნეს ბავშვობის ზღაპრიდან, მახსოვს, უკითხავად დიდები დაგვარქვეს, რა ძნელი ყოფილა, იმ დღეთა დაკარგვა. გაფრინდნენ...

**მეჩაპი**

ოდესღაც მიყვარდა. ამ ხელებს — უტიფართ, საჭრეთლით ჭადარზე სახელი უტიფარავთ. არ მსურდა ვინმესთვის სახელის გამხელა. ათასჯერ გავხელდი. ვინ იცის, იქნება ტიროდა ჭადარი? ვინ იცის, იქნება ჭადარსაც სტიკოდა? ტყე იყო მეჩხერი. რუები — პატარა. რუხი მიკიოტი. არ მქონდა სახელის გამხელის უფლება. დავმარხე ხსოვნაში შეხვედრა მეძავთან. და ინვენს ორსული ქალივით ღრუბლები. არავის ვეძახდი. ნაეშალე სახე და თითები. ქერა თმა. ამბორი. ტუჩები — მოთხვრილი პინოთი. დავმარხე ხსოვნაში. სახელი ვერ დავთმე. ჭადარი ტიროდა. და ინვენს ორსული ქალივით ღრუბლები. ჭადარზე დავტოვე სახელი. ტვიფარი. არ მქონდა სახელის გამხელის უფლება. ოდესღაც მიყვარდა.

\*\*\*

სხვისი თხა სხვის ბაღში მღეროდა „ოდელიას“, სხვის ბაღში კენჭებს რომ ვისროდი, საკუთარ ბავშვობას ვძეწავდი კლოდელივით, ხელში შურდულით ან ფიშტოთი. ბუხარში თუხთუხებდა ქვაბი — სამურაბე, შინდი იცლებოდა სისხლისგან, ცალ ფეხზე მეკიდა მარდუქი. ხამურაბი. თვალეებს მთელი ძალით ვისრესდი, ხოლო თვალეებიდან მოსჩანდა ნინა ღამის ჭიაკოკონა და კოცონი. მომწონდა. ვაკოცე კინალამაც გოგონას, რომელიც მორცხვობდა. ბავშვობა თვალსა და ხელს შუა ცვილის სანთელივით გაილია, მახსოვდა ბორჯომი. ბეშუმი. მახსოვს ქანაანი. გალილეა. დღეებიც უპირობოდ დავიხსომე ჩემი უდარდელი ბავშვობის. მახსოვს აერების პალინდრომიც, ახლა სიბერეა. გამოშრა ტვინი — მოგონების სისველიდან. ნაეშალე თებერვლის ნარატივი. ადრეულ გაზაფხულს მივეკედლე და ბუდის ჩამოშლა გაპატიე. მერცხლებიც უკან მოვიყოლე, დამირჩა არაფრის არაქათი. ცა კი — ვარსკვლავების პოლიგონი, ვერავის თვალეებში გადავხატე. სხვისი თხა სხვის ბაღში მღეროდა „ოდელიას“, ბუხარში თუხთუხებდა ქვაბი — სამურაბე. ცალ ფეხზე მეკიდა მარდუქი. ხამურაბი. საკუთარ ბავშვობას ვძეწავდი კლოდელივით.

\*\*\*

რა სიმშვიდეა სიტყვებს მიღმა. მარადიული ქალაქის ცენტრში სადგურია. ხალხი. ბაქანი. მატარებელიც მალე გავა — თეთრი მაქმანი და საღამომდე დღე იქცევა ნარატივებად. შემოდგომაა. ყანჩელია. სრული სიყვითლე. თბილისში. რომში. ახლა უკვე — ფროსინონემდე. და მერე უკან. რომისაკენ. მშვიდად. მომინდე. მე არსად წავალ. გამგზავრება გადავიფიქრე. გნერ და ფანჯრიდან ირხევიან მწვანე ნაძვები. თითქოს წინვებში იმაღლავენ უძარღვო ფოთლებს — ცრუ აკაციის. ხმელი არყის, ნაძვი რომ მორთო საყურებით. შეფეაკლათ ნაძვებს ღანვები. მარტო ვარ, ისევ თავს ვიმშვიდებ, ხვედრია ალბათ, გაყავდეს ათასი მეგობარი და იყო მარტო. ამოვალაგე ჩრჩილის საზრდოდ ნაგდები მანტო. მძიმე საბანი — დათბილული მსუბუქი ბამბით. ღვინობისთვიდან გადანახულ კანაფს ვენწევი. ვერ მივატოვე. არც მიცდია. ვის რას ვუშავებ? არ გამოდგება არასოდეს ჩემგან გუშავი, ვგრძნობ, აივანიც თავისთავად როგორ ირწევა.

რა სიმშვიდეა რწევის მიღმა. მარადიული ქალაქის ცენტრში სადგურია. ხალხი. ბაქანი. მატარებელიც მალე გავა — თეთრი მაქმანი და საღამომდე დღე იქცევა ნარატივებად.

**MEZZANOTTE**

შუალამეა. მეძანოტე. გნერ პალერმოდან, აივნებიდან გადმოფენილ ხალიჩებს ვითვლი, მტვერი დაედო დიდი ხნის წინ ნაყიდ ჩემოდანს, შობამდე უნდა შევიწახო გვირგვინი — ფითრის. ეს წერილებიც მოვისროლო, ბუხარში დავწვა, . (წერტილი) , (მძიმე) აბზაცები. ცრემლი.

P.S. და, როგორც უნინ, ჭიქა წყალში ჩავყარო ქაცვი და, როგორც უნინ, ვითამაშო შენთვის პიესა. და, როგორც უნინ, დაგახურო ჩუმად საბანი, და, როგორც უნინ, დაგვიკოცნო თმის ბოლოები, და, როგორც უნინ, აბანოში ტანი დაგბანო, და, როგორც უნინ, კორნეტებით, პიკოლოებით, საქსაფონებით, ტრომბონებით, ვიოლინოთი, ნიუ-იორკელი ვაჭრებივით ვესტმროთ გეტსბის, ყველა ცეკვავდეს ჩვენს დაკრულზე, ის იდიოტი დირიჟორიც კი, ჯილდა გრეის შემცვლელზე შეცბეს, ორმაბათობით გამოშქონდეთ პირამიდებად — მსახურებს ჩენჩო — ფორთოხლების, სავსე ლიმნების და სანამ ანძას თეთრი აფრა დაეკიდება, წყალმა წაიღოს გემები და ლიმონუნი... შუალამეა. მეძანოტე. გნერ პალერმოდან, შობამდე უნდა შევიწახო გვირგვინი — ფითრის.

**ლოდინი**

სანამ წითელი წიგნიდანაც გადავკაშენეს, მოგონებიდან, სიზმრებიდან, ზმნიდან, ფიცადან, სანამ ზღაპრიდან გაფრენილან უფლის შაშვებიც, ჯერ შემწვევს ძალა, საღამომდე ტბასთან გიცდიდე, თან მამშვიდებდეს ულაგამო ცხენის ფრუტუნის და ფერდებიდან აფხეკილი კანაფის მტვერი, ცოტაოდენი სასწაული, ცოტაც თუთუნი, მე შემიძლია მწვეარივით ბილიკი ვზვერო, ტბასთან უმიზნოდ გაჩხერილი მწვანე ქოხიდან, რომელსაც სუნი აღარ შერჩა ნედლი ბამბუკის და ვფიქრობ ჩემთვის, ამ საღამოს რომ არ მოხვიდე, ათასი ეჭვი გამიჩნდება, რა უბადრუკი კითხვები მოვლენ — პასუხისთვის, თუმცა ვერაფერს, მოვიმიზეზებ საქილიკოდ, ყველა მოვისვრი ტბაში — კენჭივით, აიმღვრევა ტბაში ქეძაფი — ჩამავალი მზის, შევამზადებ თვალეებს — ლოცვისთვის, ანუ დავხუჭავ, სიბნელეში უფრო მარტივად მწვევია შუქის გამოყოფა, როგორც პრიმატებს, რადგან ყოველთვის როდი მრჩება ალტერნატივა, ლოდინის ნაცვლად შენზე ლოცვის, ღმერთთან პირადად გასაუბრების, აღსარების, გულის გადაშლის, მონანიების, ბავშვად ყოფნის და ზიარების, ცრემლის, ნუგემის, მოსვენების — უფლის კალთაში, რაც მთავარია, მშვიდად ძილის, ნაიარევი გულის მცირე ხნით გამრთელება-გამომუშების, თანაბრად სუნთქვის სიხარული და პატიება — ჩემი ცხოვრების მეძავების და ჯაშუშების, მერე ღრუბელში გამოკრთება ცისკრის მთიებიც, როგორც პასუხი ჩემი ლოცვის, როგორც ნიშანი, ჯერ შემწვევს ძალა, საღამომდე ტბასთან გიცდიდე, სანამ წითელი წიგნიდანაც გადავკაშენეს, მოგონებიდან, სიზმრებიდან, ზმნიდან, ფიცადან...

\*\*\*

რას ვიფიქრებდი, მოგონების ხეს თუ მოვჭრიდი, ჩემივე ხელით, რად მინდოდა განა დიდობა? ასე მეგონა, ავაგებდი ნოეს კიდობანს, მახსოვს, გირჩებით დატვირთული ბიჭი — კოჯრიდან, მაგრამ ბავშვობა, უდარდელი, ისე გავიდა, როგორც სურნელი ნელსაცხებლის — სარკოფაგიდან. აღარც ხვლიკისთვის მიფიქრია კუდის მოძრობა, ვერც ასანთისთვის გავიმეტე ობობის ქსელი, მდინარის პირზეც აღარ ვმჯდარავარ, ცვირამდე სველი, კაკლის მაგივრად, ჯიბით დამაქვს მართვის მოწმობა და სადაცაა მოვისროლო, ისე გახუნდეს, ფოთოლს კი არ ჰგავს, ალვის ფოთოლს ანუ ვალუტას, რომელსაც ფულად მივიჩნევდით ერთ დროს ბავშვები, რა კარგი იყო ალაზანზე მთელი აგვისტო, მზად არასოდეს არ ვყოფილვართ სახლში წასვლისთვის, საკუთარ თავებს სარეცხივით მზეზე ვაშრობდით, შინ დაბრუნებას ვინ ჩიოდა, რომ არა თავსხმა, მერე ბეჭებზე საათობით მანონის წასმა... რას ვიფიქრებდი, მოგონების ხეს თუ მოვჭრიდი, ჩემივე ხელით, რად მინდოდა განა დიდობა?

გაგრძელება

მერე სხვა სკოლაში გადავედი. იმ დროის მეგობრებიდან მათა მასხენდებ, მათა ჩხაიძე — ჩემი უახლოესი მეგობარი. ეს ის პერიოდი იყო, როცა ჩვენს ცხოვრებაში თავყვანისმცემლები ჩნდებოდნენ და მათა ჩემი მესაიდუმლე იყო, მე — მისი. მათა დღესაც ჩვენს პატარა ქალაქში ცხოვრობს, ექიმია. მასთან ბევრი ლამაზი მოგონება მაკავშირებს. ერთად დავდიოდით კინოში და კონცერტებზე, რომლებიც ზაფხულობით ჩვენს თეატრში იმართებოდა. იმ წლებში გასტროლოზე ჩამოდოდნენ ცნობილი საესტროლო ანსამბლები: „ივერია“, „75“, „ცისფერი ტრიო“... ძალიან ხალისიანი ზაფხულები გვქონდა. ხშირად დავდიოდით ზღვაზე. ერთხელ მათა თავყვანისმცემელმა ნაგვიყვანა გრიგოლეთში თავისი მამის „გაზ-24“-ით. ამ მანქანით მგზავრობა იმ დროში დიდი პატივი იყო. თან ნავიყვანეთ ჩვენი უმცროსი დები: ია და ანუკა. ნანვიმარი იყო და ბავშვები კინალამ დაგვეხრჩინა ალელვებულ ზღვაში, ბენეზე გადავრჩით. მათს კიდევ ერთი და ჰყავდა — ციცი. ციციც ანუკას მსგავსად ბიჭის ხათრით იყო გაჩენილი. მათსთანაც სამი გოგო იყო ოჯახში. ციცი ჩვენზე 13 წლით უმცროსი იყო, თოჯინასავით ლამაზი და ძალიან საყვარელი ბავშვი. რამდენიმე წლის წინათ უდიდესი ტრაგედია დატრიალდა — ციცის 22 წლის ერთადერთი ბიჭი დაელუპა — არაჩვეულებრივი სერგი. ეს ამბავი გაუნელელად მტკივა. მენანება ჩემს თვალწინ გაზრდილი ლამაზი, ლალი გოგო ამ უზარმაზარი ტკივილისთვის.

ტკბილად მახსენდება ლალისთან მეგობრობა. ერთმანეთთან ლამისთვეით დავდიოდით და მთელი ღამე ვჭორობდით. ლალის დიდი, ლამაზი ეზო ჰქონდა, საოცრად მოვლილი, ბოტანიკურ ბაღს ჰგავდა. მიყვარდა მასთან სტუმრობა და დარჩენა. ლალიც და მათაც ბავშვობის სიყვარულზე დაქორწინდნენ და დღემდე ბედნიერად არიან, მე სხვანაირად ამეწყო, უფრო სწორად ვერ ამეწყო...

ლალი და მათა ჩემი ბავშვობის უახლოესი მეგობრები იყვნენ და მათთან ურთიერთობა ჩემი ბავშვობის ულამაზესი მოგონებაა. ტკბილად მახსენდება სხვა კლასელების სტუმრობებიც. ხანდახან ლალის მთელი კლასი შეგვროვებოდა. ჩემს სახლში ბაბუაჩემის დროინდელი ძვირფასი ავსტრიული ავეჯი იდგა — მოწვული სკამებით და არაჩვეულებრივი „კაჩალკით“. ჩემთან სტუმრად მოსული ბავშვები სათითაოდ ჯდებოდნენ „კაჩალკაში“ და ხალისობდნენ. იგივე ხდებოდა ჩემი დების შემთხვევაში. წლების განმავლობაში „კაჩალკა“ დიდ აგრესიას განიცდიდა მხიარული, თავზეხელაღებული ბავშვების მხრიდან. მამაჩემი ნერვიულობდა — ერთიც იქნება და და ეს „კაჩალკა“ დაიმტკრევა და დაისვენებთ, ხომ იცით, მე მასეთი ავეჯის მყიდველი არ ვარ, დარჩენილი ცარიელები. მაშინ არ მესმოდა მამის შფოთვის მიზეზი, ახლა კარგად მესმის და ვერ „კაჩალკას“ მეც თავგამოდებით ვუფრთხილდები. ხარისხის მაღალი სტანდარტი, რომელიც იმ დროში არსებობდა, სულ მათს ცხვს და მათს — საუკუნის მიტანებული ვენური ნივთი, რომელმაც ჩემს თბილისურ სახლში დაიდო ბინა, დღესაც არაჩვეულებრივად გამოიყურება. საოცარია, თაობები აღარ არიან, „კაჩალკა“ კი, რომელიც უამრავ ინფორმაციას და სასიამოვნო მოგონებას ინახავს, განაგრძობს არსებობას და ახალ ისტორიას წერს. საოცარი სიტუაცია მეღვრება სულში, როცა პატარა სანდრო მეტყვის: „ბებო, ახლა შენი ბაბუის სარწმუნოებაში ჩავჯდეთ“....

როგორი სიყვარული იცოდნენ იმ დროის ჩემს პატარა ქალაქში? მაშინ ბიჭები აქტიურობდნენ ძირითადად. ბიჭს მოეწონებოდა გოგო და შეუთვლიდა. შუამავალი გოგოს ეტყოდა — შემოგივალაო. ეს ნიშნავდა — მოსწონხარო. თუ გოგო თანახმა იქნებოდა, ითვლებოდა, რომ ისინი ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ, ანუ უყვარდათ ერთმანეთი. უფრო თამაში ნყვილები ქალაქში ერთად სეირნობდნენ, ერთად დადიოდნენ კინოში და სხვა ადგილებში. მორიდებული ნყვილი კი სატელეფონო ურთიერთობებით შემოიფარგლებოდა.

მე ძალიან პურიტანულად გამზარდეს მშობლებმა. სულ ვიცოდი, რომ კლასელი ბიჭი ჩემი ძმა იყო. მე-6 კლასში ერთ კლასელს შევუყვარდი. იმ ბიჭს დავემღიე და

რამდენიმე წელი არ ველაპარაკებოდი. მე მგონი, მე-10 კლასში შევერიგდი. ძალიან კარგი ბიჭი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი პირადი ცხოვრებაც ვერ აეწყო.

ამ დროის ჩემი პატარა ქალაქი ფეხბურთით იყო ცნობილი. ლანჩხუთის „გურია“ მაშინ პირველ ლიგაში თამაშობდა, მოგვიანებით კი უმაღლეს ლიგაშიც გადავიდა. ჩვენი ქალაქის სტადიონზე უმაღლესი დონის საფეხბურთო მატჩები იმართებოდა. ქალაქი ფეხბურთით სუნთქავდა და ჩვენი გუნდის წარმატებებით ხარობდა წლების განმავლობაში. სტადიონზე წასვლა გოგონებისთვისაც დიდ სიამოვნებად ითვლებოდა.



ვისი სადრადე  
**ჩემი პატარა ქალაქი**  
ავტობიოგრაფიული მოთხრობა

აუცილებლად უნდა გავიხსენო მამაჩემის ბიოლოგები: სარა და ქეთო. ბებიაჩემისთვის თავის მამას დიდი მიწის ნაკვეთი უჩუქებია მზითვეში. ბაბუაჩემი ოზურგეთელი ყოფილა, მაგრამ ცოლის ნებას დაჰყოლია და სიმამრის მახლობლად დასახლებულა. მდიდარი კაცი ყოფილა და ნაჩუქარ მიწის ნაკვეთში იმ დროისთვის ერთ-ერთი საუკეთესო სახლი ჩაუდგამს 1923 წელს. მოკლედ, ჩვენს მეზობლად მამას ბიძაშვილები ცხოვრობდნენ — ვადაჭკორიები. მამას ბიძები — კლიმენტი და ლადიკო ადრე გარდაიცვალნენ, ცოლებმა — სარამ და ქეთომ — დიდხანს იცოცხლეს. აი, მაგათი ურთიერთობა იყო, თუ იყო, ორი გურული ქალი, თავისი სიკაპასიტა და სიკეთით (იმ დროის გურული ქალები მართლა ძალიან კაპასები იყვნენ). რაც თავი მახსოვს, სარა და ქეთო სულ ემდუროდნენ ერთმანეთს. მიზეზი ყოველთვის აბსურდული იყო. ჩვენს სახლში ირჩეოდა მათი კინკლაობის დეტალები: უფრო ზუსტად სარა ან ქეთო გულამოგლეჯილი ამტკიცებდა თავის სიმართლეს, დედაჩემი კი უსმენდა (ბებიაჩემი ცოცხალი აღარ იყო და დედაჩემს უნებდა მათი დაშორებება). ხანდახან მამაჩემიც ჩააგდებდა ორ სიტყვას — „კაი, ბიოლოგა, არ ღირს მაგაზე ნერვების აშლაო“.

ბიოლოგები ჩვენთან ვიზიტები ჩემი ბავშვობის განუყრელი ნაწილი იყო. მათი სტუმრობა მიყვარდა, ამბის მოყოლის მათი მანერა სამინლად მომწონდა, ის სიტყვები მიყვარდა, ისინი რომ იყენებდნენ და დღე-

ვანდელ გურიაში ალბათ უკვე აღარ ისმის: მაგალითად სარა ხშირად გეკითხებოდა: „დასურ ჩივი ცა მაგასო?“ ანუ მართლა ამბობო? „იმდღეთი“ (იმდენი) და „ამდღეთი“ (ამდენი) იცოდნენ კიდევ ჩემმა ბებიებმა, რასაც დღევანდელ გურიაში აღარავინ ამბობს.

ხშირად ისე ხდებოდა, რომ ბიოლოგების ვიზიტი ერთმანეთს ემთხვეოდა. ასე მაგალითად, ჩვენთან იჯდა სარა და თუხთუხებდა. უცებ ძალი დაიყვებდა და ეზოში ქეთო გამოჩნდებოდა. მის დანახვაზე სარა წამოხტებოდა და ადგილს გაათავისუფლებდა, თან შემოსწრებულ ქეთოს მიაწყევლიდა: „ტყვია მოგხთა ყორყშიო“, მერე ქე-

თო შემოვიდოდა, „რა უნდოდა, მაგ შეჩვენებულსო“, ჩაბურღლუნებდა და მერე სასუთარ პროგრამას ჩართავდა. ჩვენ, ბავშვებს, ორივე ძალიან გვიყვარდა, მათგან ბევრი სიტბო გვახსოვდა და დღესაც სიყვარულით გვახსენდებიან.

სარასთან დაკავშირებით ერთი ძალიან ლამაზი მოგონება მაქვს. იმ ზაფხულს რეზიკო შემეძინა. რეზი პირველი ბიჭი გახლდათ მამაჩემის ოჯახში, ხუთი გოგოს მერე დაბადებული კაცი. მამაჩემი ძალიან ბედნიერი იყო. სარა უკვე ოთხმოცდაათს უკაკუნებდა, მაგრამ გონება ძველებურად უჭრიდა და ჩვენთან გადმოსვლასაც ახერხებდა.

იმ ზაფხულს დედაჩემი და მამაჩემი დიდ მილოცვებს იღებდნენ მეზობლებისგან, ახლობლებისგან. დიდი სიხარული იდგა ოჯახში. სამი ქალიშვილისა და ორი გოგო შეილიშვილის შემდეგ, როგორც იქნა, ბიჭი დაიბადა. სარას განსაკუთრებით გახარებია ეს ამბავი, ელოდა თურმე ჩემს ჩასვლას. ავეისტოს ბოლოს 2 თვის რეზისთან ერთად ჩემს პატარა ქალაქში ჩავედი. სარა ბებია მერე დღესვე გვესტუმრა: ხელში საგულდაგულად გახვეული საჩუქარი ეჭირა, სახეზე ბედნიერი ღიმილი ეფინა. დაგვლოცა გულით და დიდი სიყვარულით (ალბათ ჩემი საკუთარი ბებო რომ დავგლოცავდა, ისე, ცოცხალი რომ ყოფილიყო): „ნამეტანი კმაყოფილი ვარ, გოგოჩქაის ოჯახში ბიჭი რომ გაჩნდაო, ბედნიერი ვარ, ამას რომ მევეწნარიო“. მერე უცებ მითხრა: „გამიხსენი ნენა მაი ბალანაიო“. გავუსხე-



ნი და ახლა დედიშობილას ეფერა... ასეთი რამ არც ადრე და არც მერე არსად არ მიხახავს. ეს იყო ფერებაც, დალოცვაც და ერთგვარი თავყვანისცემის რიტუალიც. როგორც ჩანს, ეს იყო იმ თაობის გურული ქალების განსაკუთრებული სიხარულის დემონსტრირება ბიჭის გაჩენის გამო. მამრის კულტის გამოხატვა იყო.

სარას სამი ბიჭი ჰყავდა. უფროსი — მიშა ვადაჭკორია ექიმი-პოლკოვნიკი გახლდათ, სამხედრო ექიმი, ძალიან დაფასებული კაცი. მიშა წლების განმავლობაში ცხოვრობდა და მუშაობდა უნგრეთში, პოლონეთში... უმცროსი — ბუხუტი, როგორც სარა ბებია ეძახდა, ლანჩხუთში ცხოვრობდა, ხშირად ამბობდა: „აია ჩემი პატრონიო“. ბუხუტი მხიარული და ენაკვიმატი კაცი იყო, უყვარდა ნადირობა და ქეფი. მასთან დაკავშირებით ერთი სასაცილო ამბავი მახსენდება: მონადირე ძაღლის ლეკვი აჩუქეს თურმე ბუხუტის, ლეკვი უკან მიუცია: „გამიგონია, პირველი ლეკვობა არ ვარგაო და თუ ჩემი პატივისცემა გინდა, მეორე ლეკვობაზე მარჯუქო“. მჩუქებელს ბევრი არ უფიქრია და ბუხუტისთვის ასეთი პასუხი დაუბრუნებია: „შენ მესამე ხარ და მიშა პირველი, შოდა, მითხარი ერთი, რომელი ჯობიხართო“.

სარა ბებიას მერე შვილი — კუკური — მერე მსოფლიო ომიდან შერყეული ჯანმრთელობით დაბრუნებულია. რამდენიმე წელი უცოცხლია და ახალგაზრდა ასაკში გარდაცვლილა. კუკური სარას მოუშუშებელი ტკივილი იყო. ომიდან ციმბირელი ქალი — კატია — ჩამოუყვანია. კატიას და კუკურის ძალიან ლამაზი გოგო ჰყავდათ. ლიანას მამაჩემი რუსქართველს ეძახდა — მართლაც ორივე ერის სილამაზეს ატარებდა ჩვენი ლიანა. ლანჩხუთში წ წლიანი რუსული სკოლა ფუნქციონირებდა, ამ სკოლის დამთავრების შემდეგ ლიანა ურეკის რუსულ საშუალო სკოლაში გადაიყვანეს სასწავლებლად, სადაც თავისი კლასელი — ურეკელი ალექო თოდრია შეუყვარდა დიდი სიყვარულით. სკოლის დამთავრების შემდეგ კატია მოკია ხელი თავის ერთადერთ ლიანას და ციმბირში გადავიდა საცხოვრებლად თავის მშობლებთან. კატიას კატეგორიულად არ უნდოდა ქართველი სიძე, ფიქრობდა, რომ ლიანა მალე დაივიწყებდა თავის სიყვარულს, მაგრამ ასე არ მოხდა. განშორებისას შეყვარებულებს ერთმანეთისთვის ერთგულების ფიცი მიუციათ. განშორების სევდას სასიყვარულო წერილებით იქარვებდნენ თურმე. მერე კატიას წერილების დამალვა დაუწყია, ლიანამ ძალიან იდარდა თურმე ალექოს გაუჩინარება, გამხდარა, ლამის ლოგინად ჩაგარდნილა. ამის შემყურე რუს ბებიას ვერ მოუთმენია და გადაამალული წერილები გამოუტანია ლიანასთვის კატიას უჩუმრად. და ერთ მშვენიერ დღეს ლიანა სარა ბებიას დაადგა თავზე მოულოდნელად. სარას სიხარულს საზღვარი არ ჰქონია: „ჩემი კუკურიე გამიცოცხლდაო“ — იძახდა. ლიანას და ალექოს სასიყვარულო ამბობდა ასე ლამაზად დაგვირგვინდა: ბუხუტი ბიძიამ დიდი ქორწილი გადაუხადა ობოლ ძმისშვილს და ლამაზად გაისტუმრა. ლიანა და ალექო დღეს ბათუმში ცხოვრობენ თავის მონაგართან ერთად.

ჩემი ნათელა მამიდა ოჯახი მახსენდება. ნათელა მამას დედაშვილი იყო. ჩვენთან ახლოს ცხოვრობდა. ხშირი მიმოსვლა გვქონდა ერთმანეთთან. დღეს ნათელა და კუკური აღარ არიან, მათ ფუძეზე უფროსი ვაჟი — ლადო გვარჯალაძე — ცხოვრობს. მერე შვილი კი — ლევანი — სამწუხაროდ, 26 წლის ასაკში დაიღუპა ავტოავარიაში. კუკური ბიძია კარგი მეურნე კაცი იყო და მამას სულ ხეხილის ნერგებს ჩუქნიდა ხოლმე. ვაშლატამა მაშინ ახალი კულტურა იყო გურიაში კუკური ბიძიამ რომ გვარჯალაძე ნერგა. მახსოვს მამა დიდის ამბით ელოდა ნაყოფს, რომელიც როგორც მახსოვს 3 წლის შემდეგ გამოჩნდა. გამოჩნდა, მაგრამ ვინ დაგიტოვა? ჩვენი მეზობელი ბადრია ლამის ჭიპში ანადგურებდა ვაშლატამას წლების განმავლობაში. ერთხელ მამამ ხუმრობით უთხრა ბადრის მამა ნოდარს: „თუ კაცი ხარ, ცოტა მოწყვეე ბალანაი, ვაშლატამას გემო ვერ გოვეგეო“. მერე ბადრია ცულლუტიც წამოიზარდა, ვაშლატამაც დამსხვილდა და უფრო პროდუქტიული გახდა და, როგორც იქნა ჩავატანეთ გემო.

„ამ ბრძოლაში იუნკრების რაინდობისა და მისი დიადი სილაშხის სამარადისო სიმბოლოურ სურათად დარჩება ტყვეობაში მყოფი მწიფი, განგებულნი მალევე ერისთავი“.

„სახლიდან სკოლაში ფორთოხლის კენწვლით მივდიოდი...“ დიეგო მარადონა, „მე ვარ დიეგო“.

1921 წლის თებერვალში საქართველოში ნიითელი არმიის შემოჭრით საოკუპაციო რეჟიმის პერიოდი დაიწყო. საბჭოთა ჯარების მიზანს საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლების დამხობა და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ბოლშევიკური წესების გავრცელება წარმოადგენდა. ისინი გეგმავდნენ, რომ შემოსულიყვნენ არა როგორც დამპყრობლები, არამედ მშრომელთა და გლეხთა უფლებების დამცველნი. ამ პროცესს წინ ორმოცი ათასამდე ქართველი ჯარისკაცი ალუდგა, განსაკუთრებით კი სამხედრო სწავლების კურსანტები, იუნკრები, გამოირჩნენ, მათ სისხლის ბოლო ნვეთამდე იბრძოლეს ქვეყნის დასაცავად და თავიც გასწირეს საქართველოს ერთგულების სახელით ნიითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მათ მთავარი მოტივები, ალექსანდრე ახვლედიანთან, ჰაველი იაკობაშვილთან და სხვა დაღუპულ გმირებთან ერთად ამ ბრძოლას შეენირა მალევე ერისთავიც, რომლის ისტორია საფუძვლად უდევს ზაალ სამადაშვილის ნოველებისა და ჩანაწერების კრებულის ერთ-ერთ მოთხრობას — „იუნკერ ერისთავის ბუცები“.

2015 წელს გამოცემილი „ინტელექტმა“ „იუნკერ ერისთავის ბუცები“ გამოსცა. როგორც აღვნიშნე, ეს გახლავთ ჩანაწერებისა და ნოველების კრებული, რომელშიც მკითხველმა მწერლის განცდების, აღქმებისა და ემოციათა ფონზე ეპოქა უნდა დაინახოს და მიხვდეს, თუ რა პრობლემები და მანკიერი მხარეები ჰქონდა საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდში, როგორ იყო საბჭოთა მკითხველი, რატომ ხვდებოდა ამერიკული საღებავი რეზინი შავ ბაზარზე, როგორ აპატიმრებდნენ უდანაშაულო ადამიანებს, რა იყო აგვისტოს ომის მთავარი საშიშლეობა და სხვა. აღნიშნული დეტალების აღმოჩენა მკითხველში გააღვიძებს იმ განცდებს, რომლებიც შეიძლება თავადაც აქვს, მაგრამ დიდი ხანია, მესხიერებაში აღარ ამოტივტივებია. კრებულის ერთ გამოირჩეულ ასპექტს საგმირო, რაინდული, რომანტიკული პათოსის რეფრენად გადავხედავ წარმოადგენს, ყოველივე ამას კი ნიგნის მთავარ სათქმელად მივიყვარო — თავისუფლების მოპოვება ერის უმთავრესი ამოცანაა და მასზე ძვირფასი ქვეყნად არაფერი არსებობს.

კრებულის დასაწყისში ძალიან საინტერესო ნოველას ვხვდებით — „მამა“. ეს არის ისტორია უსამართლო დაკავებული ადამიანისა. ზაალ სამადაშვილი ახერხებს ზუსტად ამოიცნოს უსამართლობის მსხვერპლი კაცის ტკივილები, განცდები, ფიქრები ბავშვებზე, მეგობრებსა თუ სახლზე... ოჯახზე, რომლის წევრებიც ერთადერთი აღმოჩნდნენ, ვინც მთავარი გმირის დაპატიმრებას არ ელოდებოდა. ნოველაში ძალიან მოკლეა და აღწერილი პატიმრის მეორე ცხოვრების დასაწყისი — მან, როგორც ვკითხულობთ, ერთი ცხოვრება უკვე გაიარა, სანამ თავისუფალი იყო, ციხეში კი ახალი ეტაპი იწყება, ახალი და ყველაგან გამორჩეული. ავტორი ბრწყინვალედ აღწერს საკანს და მკითხველს მთელი სიცხადით წარმოუდგენს, როგორც ციხის საშინელებებს, ისე უსამართლობის მსხვერპლი ადამიანის ფიქრებსა და ემოციებს.

ზაალ სამადაშვილმა მთავარი სათქმელის წარმოსაჩენად რთული ხერხი აირჩია. მან ეპოქიდან ეპოქაში მკითხველის მოგზაურობა დაგეგმა. თუ ნოველაში „მამა“, უახლესი ისტორიის თავისებურებებს ვეცნობით, მომდევნო ნაწარმოებებში საბჭოთა სისტემის მანკიერ მხარეებს აღმოვაჩენთ. „თვრამეტი წლის რომ ხარ“ ერთ-ერთი ცენტრალური ნოველაა ამ კრებულისა. ტექსტი ავტობიოგრაფიულია და მწერლისა და მისი თანაკლასელის ახალგაზრდობაში გვაბრუნებს, შეგვახსენებს დროს, როცა შიმშილი ჩვეულებრივ მოვლენად იყო ქვეყლი, როცა ფული არავის ჰქონდა, როცა ავტორისა და მისი სამეგობროს პარალელურად „ძალით დაბოხებუ-

ლი ხმით კრეტილობების“ მოსაუბრე საზოგადოება არსებობდა და, როცა გრძელი თმა, ჭრელი სამოსი და ფერადოვანება ადამიანებს ისე აღიზიანებდათ, რომ მასწავლებელი მოსწავლეს ემუქრებოდა: „ომის დროს შენისთანას ტრიბუნალს გადავცემდი...“ ამ ძალიან მოკლე ნაწარმოების მიღმა მთელი ეპოქა ჩანს. მასწავლებელი, რომელიც დაფასთან გაყვანილ მოსწავლეს უშვერი სიტყვებით ლანძღავს, საბჭოეთს, გაღიზიანებულ, ნაცრისფერ და უსამართლო ეპოქას განასახიერებს, მოსწავლე კი საზოგადოების ცივილიზებული, მაგრამ მშვიდი, დამცირებული და განადგურებული ნაწილის სიმბოლოდ შეგვიძლია მივიჩნიოთ. ქართველი მკითხველისთვის სიახლე ნამდვილად არაა ზაალ სამადაშვილის გამოჩნეულად თბილი და სასიამოვნო თხრობის სტილი, რის დასტურადაც აღნიშნული ნოველის იმ ეპიზოდის გახსენება შეგვიძლია, რომელშიც პერსონაჟი

მათე ნიკლაური

როცა ემოცია ყველაზე ცხადი სინამდვილეა

გოგოებს მოსათაფლად დითირამებით სავესწერებლად უფაზის და ძალიან კეთილ, ლაღ და სასაცილო შეთავაზებას უყებოდა: „თითოთელი წერილი ორი ნაწილისგან შედგებოდა, პირველი გახლდათ სონეტი ადრესატის სილამაზისა და გონიერების შესახებ, ხოლო მეორე — შეთავაზება, რომლის თანახმადაც, თუკი წერილს დაიტოვებდნენ, რათა წლების შემდეგ ხელახლა ენახათ და გაეხსენებინათ, როგორ აღიქვამდნენ მათ ბიჭები, ცრემლები მოსდგომოდათ თვალეზე გაფერმკრთალებული სტრიქონების კითხვისას — გაელოთ გასამრჯელო, სულ რამდენიმე გროში...“

კრებულზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლი ნოველას „არდნის ქუჩის პური“, რომელიც, ვფიქრობ, მთელი რიგი მახასიათებლებით გამოირჩევა სხვა ნოველები-სა თუ ჩანაწერებისაგან. ერთი მხრივ, ზაალ სამადაშვილმა არც აქ გადაუხვია კრებულში შემავალი ნაშუქების გამაერთიანებელ ხაზს, მან კვლავ განაგრძო დროში მკითხველთან ერთად მოგზაურობა და არ დაუვიწყრებია ეპოქის რეალური სახის წარმოჩენა, მაგრამ აღნიშნულ ნაწარმოებში ეს ყველაფერი კიდევ უფრო მკაფიოდ უსვამს ხაზს მწერლის ოსტატობას. სულ რამდენიმე გვერდში მკითხველი ავტორის ბავშვობიდან 2008 წლის პავსიონში გადაინაცვლებს. აღნიშნული აბსაჟი კი, დამეთანხმებით, ძალიან მოულოდნელია და განცვიფრებას იწვევს. ეს არის ტექსტი იმის შესახებ, რომ, გარდა ზოგადი ტრაგედიისა, ომისაგან განცდილი საშიშლეობა და, საერთოდ ყველაწარმო ტკივილი, ყველა ადამიანისთვის ინდივიდუალურ წერილმანზე გადის. მწერლისთვის ეს პურის რიგში დანახული ბავშვია, რომლის ისტორიასაც ნოველაში მოკლედ და ამომწურავად ვიკებთ.

ავტორი მწერალი, თომას ბერნარდი, რომანში „დაღმამავალი“ ვირტუოზ პიანისტზე მოგვითხრობს. კანადელი მუსიკოსი, გლენ გულდი, იგებს, რომ მისმა მეგობარმა თავი მოიკლა. გულდი, ვერთაპირ-



მერი და მათი მეგობარი ერთად სწავლობდნენ მუსიკალურ სასწავლებელში, შემდეგ კი გულდის ზებუნებრივმა შესაძლებლობებმა მისი მეგობრების ბედი მნიშვნელოვნად განსაზღვრა. რომანი ბევრ ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ ნიუანსთან ერთად ერთი ადამიანის მიერ სხვათა ბედისწერის ჩამოყალიბებაზე და დროისა თუ სივრცის ძირფესვიან ცვლილებაზეა. რასხან დროში ავტორთან ერთად მოგზაურობა ვახსენეთ, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, გავიხსენოთ ზაალ სამადაშვილის მოთხრობა „რასაჟე“. ავტორი მოგვითხრობს მის ახალ თანაკლასელზე, რომელთან ერთადაც ბავშვობის დიდი ნაწილი გაატარა, მაგრამ საბოლოოდ მათი გზები გაიყო და სრულიად სხვადასხვა ასპექტით განვითარდა. ავტორმა და მისმა მეგობარმა „ტექნიკუმებში ნონიალი“, „დიდა მცირე მშენებლობებზე ბეტონის ზეფა და საზიდრების თრევა“ გადაწყვიტეს, ხოლო რასაჟემ კი ჯერ ჟურნალისტობა სცადა, ბოლოს — კი რომანი დაწერა და მწერალი გახდა. აღნიშნული სიუჟეტი ძალიან ჰგავს ავსტრიელი მწერლის რომანში განვითარებულ ამბავს, იმ განსხვავებით, რომ აქ ავტორის პროტოტიპი მეგობართან ერთად ცვლის რასაჟეს ბედს და, როგორც ვხედავთ, მის ცხოვრებას სრულიად ახალ ფორმასა და შინაარსს აძლევს. ნაწარმოებში მოთხრობელი რასაჟეს ნიგნის საყიდლად მიდის და უკან დაბრუნებული ფიქრობს: „კითხვისას ის ინტერვალი რომ ამოივსო თითქოს, რომელიც წარსულსა და აწმყოს შორის არსეცხობდა, თითქოს ამ ინტერვალის გარეშე გავაგრძელო ყოფილი კლასელის ყურისგდება“ — აი, სწორედ ამ ინტერვალის ამოვსების მცდელობაა „იუნკერ ერისთავის ბუცებში“ შემავალი სხვადასხვა პერიოდზე დაწერილი ნოველები. ზაალ სამადაშვილი წარსულს, აწმყოსა თუ მომავალს აქრობს და იმ შთაბეჭდილებებზე გვესაუბრება, რომლებიც მასში არსოდეს ჩამქრალა.



როგორც არაერთხელ აღვნიშნე, „იუნკერ ერისთავის ბუცები“ ურთულესი ლიტერატურული ხერხებით დაწერილი ნოველების კრებულისა და მისი მთავარი ღირსებაც ისაა, რომ დასაწერად რთული ტექსტი ძალიან მარტივად იკითხება. ზაალ სამადაშვილმა ერთ-ერთ ნოველაში თავის მეგობარ, მხატვარ ვახო რურუაზე გვიამბო, რომელთან საუბრების და რომელზე ფიქრების ფონზეც ჩვენს თვალწინ კიდევ ერთხელ გადაშალა ძველი დროება — როცა ფერადი და შავ-თეთრი კინო ერთმანეთს დაუპირისპირდა და უდიდესი კონტრასტი წარმოშვა. აქ საუბარია ვახო რურუას მიერ შესრულებული ილუსტრაციებზე სხვადასხვა რომანებისათვის და იმ სვედაზე, რომელიც ავტორს მეგობრის გარდაცვალებამ დაუტოვა. ამ ყოველივემ კი ვფიქრობ, მკითხველი გულგრილი არ უნდა დატოვოს და, შესაბამისად, არც სირთულედ უნდა ექცეს, როგორც მთავარი სათქმელის, ისე მწერლის განცდების გათავისება.

ბუნებრივად ჩატარებული ლექციების კვირულის უკანასკნელი შეხვედრა ბორხესმა მკითხველთან სიბრძნეზე სასაუბროდ გამართა. არგენტინელმა გენიოსმა ლექცია შემდეგნაირად დაიწყო: „ჩემი მრავალი ცდილი კითხვისას შევნიშნე, რომ მსმენელები უპირატესობას ანიჭებენ პირადულს საზოგადოებრივ შედარებით, კონკრეტულს — აბსტრაქტულს შედარებით.“ ეს, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი, კარგი დაკვირვება რეალურად არის გასაღები კარგი ნიგნის დაწერის თუ კარგი ლექციის ჩატარებისა. ფაქტია, სინამდვილე ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენია კრებულის მთავარი აზრის გაგების გზაზე. ზაალ სამადაშვილი მკითხველზე მზრუნველი ავტორია. ის პირდაპირ მიყვება ბორხესის შემოთავაზებულ ფორმულას და კონკრეტულ, პირად განცდებზე აკებულ, წარსულში თავს გადახდენილ ისტორიებს გვიამბობს, რითაც, თითქოს პირადად ესაუბრება მკითხველს და ხან ნიგნის მნიშვნელობაზე, ხანაც კი კარგი ლიტერატურული ნაწარმოების გაგებაზე უამბობს: „...რა თქმა უნდა, ძალიან კარგი ნიგნი, გარკვეულ, არცთუ უმნიშვნელო ცვლილებებს იწვევს მოვლენების ჩვენეულ, უკვე ჩამოყალიბებულ აქტებსა და მათ გაანალიზებაში.“ ამ კრებულში გამონაგონ ამბავს ვერ ნახავთ. ეს არის ნაკრები იმ ყველაზე გულწრფელი ემოციებისა, რომელიც მწერალმა სხვადასხვა დროს სხვადასხვა მოვლენათა მიმართ განიცადა. მართლაც, თუ კარგად დავაკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ ტექსტში ყველაფერი ძალიან ნათელია. „კლასამ მიდევნებით დაწერილებს“ ავტორი შემდეგი ფრაზით იწყებს: „ცხოვრებაში გაცილებით საინტერესოდ ვითარდება ყველაფერი, ვიდრე გამოგონილ ამბებში.“ რეალურად ამ ნინადადების მიღმა მწერლის მოტივაცია უნდა დავინახოთ. მას უნდა, რომ მკითხველმა ზუსტად ის გზა გაიაროს, რასაც თავად ავტორი გადიოდა ნიგნზე მუშაობისას და, რა თქმა უნდა, რომ ამ მიზნის მიღწევა სწორედ ნამდვილი ამბებისა და უაღრესად ადამიანური თავისებურებების გადმოცემის ფონზეა მხოლოდ შესაძლებელი.

ვფიქრობ, საკამათო სულაც არაა, რომ ადამიანში გაჩენილი ემოციები ყველაზე წრფელი და სპონტანური რამაა, რასაც კი შეიძლება ეს ეპითეტები მივუსადაგოთ. ტექსტს კი გენიალურად დიდნილად სწორედ სიბრძნე აქცევს, ეს უკანასკნელი იმდენად ძლიერია, რომ „იუნკერ ერისთავის ბუცების“ ნაკითხვის შემდეგ მალევე ერისთავიტი გმირობა გინდება და რაინდული პათოსით ივსები. მხატვრულ ლიტერატურაში სიბრძნის მნიშვნელობაზე საუბარს თუ გავაგრძელებთ, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი იქნება, გავიხსენოთ 2011 წელს ვუდი ალენის მიერ გადაღებული ფილმი „მუალამე პარიზში“. მთავარი გმირი, სცენარისტი გილ პენდერი, დროში მოგზაურობს და უამრავ ცნობილ სახესთან ერთად, ერნესტ ჰემინგუეის ხვდება. ამერიკელი კლასიკოსი კი უხსნის გილს, თუ რატომაა მისი ნიგნები საუკეთესო: „იმ-იტომ, რომ მართალია!“ ფილმში ჰემინგუეის ნათქვამი ეს განმარტება თავისი ნაწარმოებების გენიალურობისა, კიდევ ერთხელ მიგვითითებს პერსონაჟების, ამბებისა და განცდების სინამდვილის უზარმაზარ მნიშვნელობაზე.

ზოია ცხადაია

# ტრაგიკული ქრონიკები XIX საუკუნის სვანეთის ისტორიიდან

თქმურ ამჟღადის ნიგნი „დადემქელიანების ამბავი“, ფაქტობრივად, XIX საუკუნის საქართველოს ტრაგიკული ისტორიის მხატვრულად ხორცშესხმული ქრონიკაა. თხრობის არეალი ძირითადად ამ საუკუნეს მოიცავს, მაგრამ, როგორც ისტორიულ ნარატივს სწევია, მწერალი აქ კიდევ უფრო შორს წარსულის მნიშვნელოვან (ისტორიული თვალაზრისით) და მკითხველისათვის მიმზიდველ ვიზიონებს გადაშლის. მის თავდაპირველ მიზანსაც, რომ საარქივო მასალების მოძიებით, მცირე ესე თუ ქრონიკები დაენერა, უნებურად გეზი უცვლია: „იმდენი დოკუმენტი დაგროვდა, გამოუქვეყნებელიც, მიუკვლეველიც, ზოგი — დაბეჭდილი, ოღონდ იშვიათი, ან ხელახლა გასააზრებელი, რომ სიტყვა სიტყვას მოჰყვა, ვრცელი ნიგნი გამოვიდა“ — გვეუბნება ავტორი, მიზანსაც გამოკეთეს: რომ ასეთი საქმით პატივი უნდა ვცეთ ჩვენს წარსულს, ვიცოდეთ იგი, წინა რამდენიმე თაობის ნაკეთები მაინც (კარგიც და ავიც), ოღონდ არა მხოლოდ საწერად, სალაპარაკოდ, არამედ იმისათვის, რომ ამ გამოცდილებით ვისარგებლოთ. გულნატკენი იმასაც იტყვის: საქმე საქმეზე რომ მიდგეს, უარესს ჩავიდნეთ, თითქოს ის ცოდნა სხვისთვისაა, ჩვენთვის არა... რომ „ქართლის ჭირი“ მხოლოდ ქართლში არ გვჭირდა ქართველებს. გვჭირდა იმერეთშიც, გურიაშიც, სამეგრელოშიც, სვანეთშიც.


დოკუმენტური თხრობის სტილიდან გამომდინარე, რთულია ნიგნის არქიტექტონიკა — ათი ნაწილისგან შედგება, რომელთა ქვეთავები ცალკეული ისტორიკოსების ზომიერად თავისუფალი მანერა, ასევე — საკმაოდ ემოციური დასკვნები (რომელიც სრულიად ბუნებრივია და თანხმებული „სამწუხარო ქრონიკებისათვის“) მკითხველს უადვილებს, გააცნობიეროს ნიგნი ასახული სამყარო, თავისი გეოგრაფიული არეალით, ტოპონიმებით, უამრავი გვარ-სახელით, ისტორიული პერსონალიტებით, ან უკვე ისტორიულად ცნობილი რიგითი ადამიანებით... ავტორი სავარაუდოდ მინიშნებით იყენებს თითოეული პიროვნების შესახებ მოპოვებულ მასალას: საარქივო ფონდებიდან, მემუარისტების მონათხრობებიდან, მოგონებებიდან, ზეპირგამოცემებიდან... არც მხატვრულ ეფექტსაა მოკლებული თხრობა და მეტი დამაჯერებლობისათვის ხშირად მინიშნებულია, რა რომელი მასალიდანაა გამოტანილი, საუბრების ტექსტებიც კი... ავტორი მოიხმობს და იზიარებს სხვა მკვლევრების, ისტორიკოსების შეხედულებებს, ამასთან, ხშირად კრიტიკულად უდგება ამა თუ იმ ისტორიულ ფაქტს, ერთი შეხედვით, უმნიშვნელოსაც კი, მაგრამ კვლევისთვის მაინც ყველაფერი მნიშვნელოვანია, თუ უზუსტობაში გვეპარება ეჭვი. ასეთ შემთხვევაში იგი უკომპრომისოა, მაგრამ — კორექტული. იმონებს სათანადო დოკუმენტურ მასალას. ამის ბევრი ნიმუშია ნიგნი. თუმცა, იმასაც აღნიშნავს, რომ, შესაძლოა, მომავალმა კვლევამ კიდევ ახალ უზუსტობას გადაგვაროს და რაღაც ისევ შეგვაცვლევინოსო...

შეიძლება ითქვას, ნიგნი აქვს პროლოგიც და ეპილოგიც, მაგრამ არა კლასიკური, ტრადიციული ნორმატებით... „ვხედავ“ — ჰქვია შესავალ ნაწილს და მართლაც ვხედავთ მთელ წარსულს, წარმოსახვებით აღძრულ იმპრესიებს, რომლებიც ხუთთოდე გვერდზეა თავმოყრილი, სულმოუთქმელად წასაკითხი... განწყობისათვის — ცალკეული ფრაგმენტები, ცნობილი და უცნობი სახეები, ტკივილი და ტანჯვა, სამართალი და უსამართლობა, ღალატი და გაუტანლობა... ვხედავთ ეკატერინე ჭავჭავაძის უმწიბრობას, ცოცხალი თავით რომ არ ტოვებდა სამთავროს, ახლა კი, ხვალ თუ ზევ, სამშობლო უნდა დატოვოს (ატოვებინებენ)... ვხედავთ გრიგოლ ორბელიანს, იმჟამინდელი მეფისნაცვლის მოადგილეს, ვხედავთ და გვესმის მისი ხმა: როგორ გაბედავს და გენერალ გაგარინის მკვლელობასა და დასაჯვარებას... „ვხედავ, მწყინს და უცხოტომელის — ნიკოლოზ კოლუბიაკინის ნებისა და თავგამოდებისა მშურს“, — გულისტკივილით წერს ავტორი; იქნებ, გრიგოლ ორბელიანს სწორედ ქართველობა უშლიდა ხელს, გულმონყალე ყოფილიყო დახვრეტილი თანამემამულის მიმართ, ქვეშევრდომის კომპლექსი ან გაცნობიერებული მოვალეობა ათქმევინებდა

ერთს და, ვინ იცის, გულში რას ფიქრობდა, რას განიცდიდა?... პასუხი რთულია, მაგრამ მწერლის ნუხილიც გასაგებია. ვერაფერს ვიტყვი.

...ხედავს და გვანახებებს „მროკავ გოლიათს“, ჯანსუღ დადემქელიანს, შიშველ სატყვერებს შორის რომ დაფრინავს და ამ ამბიდან ხუთთოდე თვეში საკუთარი სისხლხორცის, ციოყის ძეთა, ისლამ და თენგიზ დადემქელიანების ტყვეის წერა რომ უნდა გახდეს... სისხლის წვიმები, შური და მტრობა, სიმდიდრის მომხვეჭელობა... ლირიკაც გაივლებს: ვხედავთ გორდს, გორდის ღამეს, ზემოთ მთვარეს, ძირს კოცონის ირგვლივ, ფიჭვის კვარის ჩირაღდნებს, მინაში ტარით ჩარჭობილ სატყვერებს — თუმცა, ამ ლირიკის მიღმა ვხედავთ ეკატერინე ჭავჭავაძის ბედისწერას, გორდიდან რომ უნდა გაამგზავრონ პეტერბურგს. როგორც შემდგომ გაირკვევა, ის სიძის, გაგარინის დაკრძალვასაც ვერ დაესწრება, რადგან წასვლის (თუ გაძევების) დღე დანიშნულია და გარდაუვალია.

ვიდრე ნიგნის ერთ-ერთ მთავარ ნაწილს, კონსტანტინე დადემქელიანის დრამატულ ცხოვრებასა და ტრაგიკულ ფინალს გავეცნობოდეთ, ავტორი გადავივლით XIX საუკუნის 20-50-იანი წლების სვანეთის ყოფას, პოლიტიკურ სიტუაციას. „რუსის კალთა“ — ასეა დასათავსებული მონაკვეთი, რომელიც წარმოაჩენს დიდგვაროვანთა ერთი ძლიერი ოჯახის სამწუხარო და სამარცხვინო ისტორიას, როგორც დასაწყისში აღნიშნავს ავტორი, „ქართლის ჭირის“ ტიპური ნაწილი. თუმცა, ისიც უნდა შევნიშნოთ: ერთმანეთის გამეტებით — სისხლის აღების ტრადიციით რომ მართლდებოდა, ყველას გადააჭარბეს და ამით მტრის ნისქვილზე ასხამდნენ წყალს. ცნობილია, რომ ყველაზე შეუვალი ბასტიონი რუსეთის იმპერიისათვის სვანეთი აღმოჩნდა — თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, თუ ძნელად მოსახელთებელი, შეუპოვარი ხალხის ბუნების გამო... მაგრამ გურამიშვილს სასხვათაშორისოდ არ ახსენებს მწერალი. ძმთა შორის სიმუხთლის, დაუნდობლობის და სიძულვილის ნიმუშია დიდი ბაბა-ციოყის მემკვიდრეთა ანგარიშსწორება ერთმანეთისადმი; და თუ ძმას ძმა სძლევდა, დამარცხებულისთვის აქვე „რუსის კალთა“ გაემზადებინათ. უბედურება ის იყო, რომ მფარველი, „ძლიერი მემწე“ ერთმანეთისგან „იკავდა“ ძმებს, გამშველებლის ფუნქცია ეკისრა. მუნათსაც სდებდა მათ განუვლილ გარჯისთვის; სანაცვლოდ, როგორც მწერალი აღნიშნავს,



მათგან უფლების ნაწილის დათმობას ითხოვდა. ეს ჯერჯერობით, მერე კი „მთლად დაამხოვენ“ თავზე ყოველგვარ უფლებებს; სამართლიანია საყვედური და გულისტკივილი ავტორისა, როცა ისტორიულ წიანსვლებს აკეთებს: „ერეკლესაც არ ეგონა, რუსები თუ შეთანხმებებს არ დასჯერდებოდნენ, არამედ გვარსაც — გრუზინსკებად გადანათლავდნენ და სამშობლოდან განიწვედნენ, სინამდვილეში — გაასახლებდნენ“.

ნიგნის ვრცელი მონაკვეთი მოგვითხრობს დადიანების ისტორიას. განსაკუთრებით გრიგოლ და ლევან დადიანების მცდარ დამოკიდებულებას რუსებისადმი. ამ მხრივ, რუსული პოლიტიკისადმი უფრო დაქვემდებარებული და დიანს გვიჩვენებს. ძალზე საინტერესოდ მიგვაჩნია ამ მონაკვეთშიც და შემდეგაც ეპიზოდურად ჩართული სახე სამეგრელოს უკანასკნელი დედოფლის, ფაქტობრივი მმართველის, ეკატერინე ჭავჭავაძისა. ვხედავთ, ერთი მხრივ, თავდაჯერებულ, ამბიციურ, საჭირო შემთხვევაში, პირადი და საკვებო ღირსების დასაცავად ფიზიკურადაც თავგამეტებულ დედოფალს (მთავრინას...), მეორე მხრივ, საერთო მტრობასა და შუღლით ჩართულს. ამჯერად, ამ მონაკვეთში, საუბარია იმაზე, რომ ეკატერინე ბოლოს ამჟამად გრძნობდა საფრთხეს (დაანახესო), თუმცა დადემქელიანების მტრობა მაინც არ

მოიშალაო. მათთან პირადი შუღლი ჰქონდა, ვალსაც პრინციპულად არ უხდოდა მათ (საუბარია საბალახობით სარგებლობის ვალზე); ავტორი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ასე ერთმანეთთან მტრობაში ერთიანობის აუცილებლობას ივნიყებდნენ განათლებულებიც და გაუნათლებლებიც. ეკატერინე ჭავჭავაძის მიმართ გამოთქმული მოსაზრება არ უნდა იყოს უსაფუძვლო. როგორც ნიგნი ვკითხულობთ, ამ ჭკვიან, მაგრამ ზოგჯერ ჯიუტ ქალბატონს არა მხოლოდ რომანტიკული ჭრილიდან უნდა შეეხებოდა, არამედ სიმაღლეს თვალს გაეფხრონო და სათქმელიც ითქვას; ამ ნიგნი ასახული ისტორიული ქრონიკებიდან, სურათებიდან ცხადია, რომ დიდგვაროვნები, ქონებას დახარბებული და კარგ ცხოვრებაზე ორიენტირებული ადამიანები წყვეტენ თავიანთი ქვეყნის, სამთავროების ბედს. ძმას ძმისგან სიკვდილს რუსთა კალთის ქვეშ ყოფნა ერჩია. „დიგორხანმა და ციოყმაც (დედა-შვილი — ზ.ც.) დაასკვნეს, თუ რუსს მფარველობას არ სთხოვდნენ, თათარყანი არ მოისვენებდა“ (საუბარია ერთი დიდი ოჯახის წევრებზე, — ზ.ც.)... ავტორის აზრით, თათარყანისაგან მოსალოდნელი საფრთხე იმდენად დიდი იყო, იქნებ არ გაგვემტყუნებინა, სიკვდილს რომ რუსის მფარველობა არჩიეს... ვერ განჭვრეტდნენ, ვერ წარმოიდგენდნენ, რაც ოცდახუთთოდე წლის შემდეგ დაატყდებოდათ თავს რუსთაგანო და იგულისხმება ის, რომ შემდეგ ყოველგვარი უფლებების აყრის დაუპირებენ, თანახმად სვანეთში გასატარებელი რუსული პოლიტიკისა.

ბაბა-ციოყის შთამომავლების — ვაჟების, რძლის, შვილშვილების ისტორია, მათი რთული, ჩახლართული თავგადასავლები აღწერილია კორნელი ბოროზინის ნიგნის მიხედვით. რამდენიმე ფაქტთან დაკავშირებით ავტორი შენიშნავს და მოაქვს მტკიცებულებები. სწორედ მტკიცებულებებით, საბუთებით, თანაც საკმაოდ უტყუარი საბუთებითაა ნაჩვენები ციოყის (ბაბა-ციოყის შვილიშვილი) და დედაძმის — დიგორხანის ნებაყოფლობითი მორჩილება რუსებისადმი — მოტანილია ტექსტი იმ წერილიდან, რომელიც ბატონ როზენისგან მიუღია ციოყ დადემქელიანს. როზენი მას ატყობინებს, რომ დიგორხანმა, თბილისში ჩამოსულმა, პირადად გამაგებინა „თხოვნა თავისი და სურვილი იქვენი“... „ჩემი დიდი ხელმწიფის ქვეშევრდომობაში შემოსვლის შესახებ“. როზენი მზადყოფნას გამოთქვამს იმისათვის, რომ თავისი ხელმწიფის სახელით დააკმაყოფილოს დედა-შვილის თხოვნა. ასე, თავიანთი ნებით, ერთმანეთის გაუტანლობით კარგავენ პირად თავისუფლებას და ქვეყნის თვითმყოფადობას სწორედ ისინი, ერის თავკაცები და წინამძღოლები რომ უნდა ყოფილიყვნენ. ეს არის არა მხოლოდ ამ მონაკვეთის, არამედ ბევრი მსგავსი ეპიზოდის მთავარი სათქმელი. ნიგნის ამ ნაწილს „დაფიცება“ ჰქვია. ეს არის ფიცის დადება რუსეთის ქვეშევრდომობაზე. 1833 წელს ციოყმა აპრილში და თათარყანმა მოგვიანებით ფიცით დაამტკიცეს თავიანთი ქვეშევრდომობა და იმპერატორისგან საბოძვარიც მიიღეს. როზენი 1833 წლის 23 ნოემბრით დათარიღებულ წერილში ითხოვს თათარყანის დაჯილდოებას ციოყის თანაბრად, ანუ ციოყი უკვე დაჯილდოებულია უხვად და თათარყანმაც ასევე უნდა მიიღოს. ჩანს, შემწეები ზრუნავენ ქვეშევრდომებზე თავიანთი დასახული მიზნის მისაღწევად; თუ შესაძლებლობა მიეცათ, ლოიალურ პოლიტიკას ამჯობინებენ. ასე, ნელ-ნელა, ქართველთა ხელით კეთდებოდა იმპერიის საქმე, ისე გაუნებრებით ქართველი მთავრები (ამჯერად დადიანები), რომ ზუგდიდს ერთხანს გრიგოლიპოლს ეძახდნენო გრიგოლ დადიანის პატივსაცემად.

ნიგნი, სამეგრელოსთან დაკავშირებით, ჩართულია ისტორიული ფაქტები დოკუმენტური წყაროებიდან, რომ რუსეთისთვის სამეგრელო განსაკუთრებით იმით იყო საინტერესო, ის აფხაზეთსა და იმერეთს შორის არა მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობით იქცეოდა ყურადღებას, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობით: აფხაზეთი სამეგრელოს უცქერენ, როგორც ნიმუშს, მისაბაძს. იმერლები კი — პირიქით — მეგრელებს მტრებს ხედავენ, რადგან მათ გამო გახდნენ იძულებულები, რუსეთის დამორჩილებოდნენო... რაც შეეხ-



„ძიადი“ დიდი პოლონელი პოეტის, ადამ მიცკევიჩის, ცნობილი პოემაა, რომელიც პოლონური რომანტიზმის ყველაზე მნიშვნელოვან ძეგლად ითვლება. პოემის მეორე თავი, რომელსაც არასრულად შემოვთავაზებთ ამ პუბლიკაციაში, ტექსტის დამოუკიდებელი ნაწილია და ყველაზე ხშირად იდგება პოლონური თეატრების სცენაზე. პროექტი დაფინანსდა ადამ მიცკევიჩის ინსტიტუტის პროგრამის „4xMiciewicz“ მიერ, ვარშავის ზიგნეე რაჟევსკის თეატრალურ ინსტიტუტთან განხორციელებული ერთობლივი პროექტის — „ძიადი თბილისში“ — ფარგლებში.

მთარგმნელები

ადამ მიცკევიჩი

ძიადი

ფრაგმენტი პოემიდან

ძიადი დღესასწაულის სახელწოდებაა, რომელსაც დღემდე ზეიმობს უბრალო ხალხი ლიტვის, პრუსიისა და კურლანდიის ბევრ პოვიატში მამა-პაპათა, ანუ გარდაცვლილ წინაპართა, მოსახსენიებლად. დღესასწაულს ფესვები წარმართულ ხანაში აქვს და ოდესღაც „უჩტა კოზლას“ — თხის დღესასწაულს — ეძახდნენ, რომელზეც რიგრიგობით კოჟლაჟი და გუსლარი გამრიგებდნენ, თითოეული მათგანი ერთდროულად კაპელანიც (მღვდელმსახური) იყო და პოეტიც (გენმლაჟი).

წმინდა სამღვდლოება და ბატონები ცდილობდნენ, ხალხში ეს წეს-ჩვეულება როგორმე ამოეძიკვათ, რადგან მას თან ცრურწმენები და ხანდახან გასაკიცხი რიტუალებიც კი ახლავს. ამის გამოა, რომ ჩვენს დროში გლეხობა ძიადის სალოცავებში ან სასაფლაოების სიახლოვეს არსებულ უკაცრიელ სახლებში საიდუმლოდ აღნიშნავს. იქვე გაშლიან ხოლმე სუფრას სასმელ-საჭმელითა და ხილით და გარდაცვლილთა სულელებს უხმობენ. უნდა აღინიშნოს, რომ მიცვალებულთა ამგვარი გამასპინძლების ჩვეულება ყველა წარმართი ხალხისათვის ოდესღაც საერთო უნდა ყოფილიყო ჰომეროსისდროინდელ ძველ საბერძნეთში, სკანდინავიასა თუ აღმოსავლეთში და ახალი სამყაროს კუნძულებზე დღემდე აღინიშნება. ჩვენს „ძიადის“ მათგან ის განასხვავებს, რომ წარმართული რიტუალები ქრისტიანული სარწმუნოების ცნება-წარმოდგენებს შერევა, მით უფრო, რომ გარდაცვლილთა საეკლესიო მოხსენიების დღეც ამ დღესასწაულის აღნიშვნის დროს ემთხვევა. ხალხი მიიჩნევს, რომ ამგვარი გამასპინძლებითა და მუსიკობით მიცვალებულებს ხვედრს უმსუბუქებს.

ამ დღესასწაულის ეს საღვთო მიზანი, უკაცრიელი ადგილები, ღამის საათები, ფანტასმაგორიული რიტუალები ოდესღაც ძლიერ მიფორიაქებდა წარმოსახვას; ვუსმენდი ზღაპრებს, ამბებსა და სიმღერებს მკვდრებზე, რომლებიც გასაფრთხილებლად თუ სათხოვრით ბრუნდებოდნენ სააქაოს; და ყველა ამ საოცარ გამონაგონში ხალხური მგრძობილებობით შემოსილი ესა თუ ის ზნეობრივი მისწრაფება, ესა თუ ის შეგონება იკითხებოდა.

ეს პოემაც სწორედ ამგვარად წარმოგადგენთ სახეებს; რაც შეეხება რიტუალურ მღერას, შელოცვებსა და ჯადოსნობას, ესენი მეტწილად დიდი სიზუსტით, ხანდახან კი პირდაპირაა გადმოტანილი ხალხური პოეზიიდან.

მეორე ნაწილი

გუსლარი/(გუმლაჟი) — პირველი ბერიკაცი ქორიდან — გლეხკაცებისა და ქალების ქორი — სამლოცველო, საღამო

There are more things in Heaven and Earth, Than are dreamt of in your philosophy. William Shakespeare

„ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ზეცად და ქვეყნად, რაც ფილოსოფოსთ სიზმრად არც კი მოლანდებიათ.“ უილიამ შექსპირი

ქორო

ყველგან სიბნელე, ყველგან გოდება, რა გველოდება? რა გველოდება?

ბუსლარი

ჩარახეთ მაგრად მონასტრის კარი, შემოეჯარეთ ირგვლივ საფლავებს, ჩააქრეთ ლამპა, ჩააქრეთ კვარი, ფანჯრებზე რამე ჩამოაფარეთ.

რომ მთვარის შუქის მკრთალი პარპალიც არ გამოუსხლტეს ღრიჭო-ნაპრალეხს. ოღონდაც ცოცხლად, ოღონდაც მარდად.

ბერიკაცი

როგორც გვიბრძანე, ისე მოგვარდა.

ქორო

ყველგან სიბნელე, ყველგან გოდება, რა გველოდება? რა გველოდება?

ბუსლარი

მინდა, თქვენივე თავი მომგვაროთ, განსაწმენდელის კარგო სულელო, მდინარის ფსკერზე გალურსულელო თუ ცხელი კუპრის ქვაბში მბორგავნო,

თქვენც, სხვებზე მეტად შემცოდებო, ვინც ნედლი შემის კოცონზე იწვით, ვისაც გეენის ცეცხლი გედებათ, ვინც ტრიალებთ და ღრიალებთ სიმწრით. ხალხის წინაშე გამოიზიანდით! ხალხო, თქვენც ერთად გამოიზიანდით! შეეუდგეთ ყველა ერთად ძიადის! შემოაბიჯეთ სამლოცველოში, აქ გვაქვს ლოცვები, აქ გვაქვს საკლავიც, საჭმელიცა და გადასაკრავიც.

ქორო

ყველგან სიბნელე, ყველგან გოდება, რა გველოდება, რა გველოდება?

ბუსლარი

მომეცით ერთი მუჭა საკმევლის, დაეანთებ, თქვენ კი ცეცხლი უბერეთ,

როგორც კი ალი აიკლანება, დაუღალავად სული უბერეთ. ჰო, ასე, მთელი ღონით და ძალით, დე, ჰაერშივე ჩაინვას ალი.

ქორო

ყველგან სიბნელე, ყველგან გოდება, რა გველოდება, რა გველოდება?

ბუსლარი

ჯერ თქვენ, მსუბუქი ცოდვის სულელო, რომ შერჩენიხართ ამ შუა მინდორს, ნანამებო და გაბასრულელო, ვისაც არც ტანჯვა, არც ურვა გინდობთ, აელვარდით და აიფაკუნით, როგორც ის ერთი პეშვი საკმევლის. ვინც საიქიოს ბჭეებს ეხლებით, ვინც მტვრიან გზებზე ცვითეთ ხამლები, ხელის მსუბუქი, მკვეთრი შერხევით გეპატიჟებით, გეხმინებით.

ქორო

მითხარით, ვის რა მადლი გაპკუროთ? ვინ დაგარწყულოთ? ვინ დაგაპუროთ?

ბუსლარი

ახედეთ, აი, ახედეთ მაღლა, თაღქვეშ მსუბუქი ბზრიალ-ტრიალით, ბავშვების წყვილი ფარფატებს ლალად, ბავშვების წყვილი — ოქროსფრთიანი. ფრთხილებს ერთი მეორის გვერდით, ვით მდებოს ვარდთან — ვარდი მდებოსი; ქათქათა მტრედთან — ქათქათა მტრედი, ცის ანგელოზთან — ცის ანგელოზი.

ბუსლარი და ბერიკაცი

ფრთხილებს ერთი მეორის გვერდით, ვით მდებოს ვარდთან — ვარდი მდებოსი; ქათქათა მტრედთან — ქათქათა მტრედი, ცის ანგელოზთან — ცის ანგელოზი.

პატარა ანგელოზი

(ერთ-ერთ გლეხის ქალს) დედას დაეძებოთ ორივე, დედას. ეს მე ვარ, დედი, მე, იუზია. შენი შვილი ვარ, ნუთუ ვერ მხედავ? გვერდით ჩემი და მიდგას — როზია. სამოთხის მწვანე მდებო გვაქვს ხედავ, უკეთ გვივლიან, ვიდრე შენ, დედა. ნათლის სხივები შუბლს გვიფარავენ, დილის რიჟრაჟის სამოსით ვთბებით, მხრებქვეშ კი, როგორც ღამაზ ფარვანებს, გამოგვეზარდა მსუბუქი ფრთები. ყოველდღე ვუცქერთ ახალ სანახებს, ცუდს სამოთხეზე ვერაფერს ვიტყვით, სადაც ფეხს ვადგამთ, ხარობს ბალახი, სადაც ხელს ვავლებთ, იშლება კვირტი. მაგრამ ცხელ ცრემლებს მაინც ვერ ვიშრობთ, ჩვენთვის ბოროტად მოჩანს კეთილიც,



რადგან, დედი, შენს ორივე პირმშოს სასუფეველის გზა გვაქვს ჩაკეტილი!

ქორო

მაგრამ ცხელ ცრემლებს მაინც ვერ ვიშრობთ, ჩვენთვის ბოროტად მოჩანს კეთილიც, რადგან, დედი, შენს ორივე პირმშოს სასუფეველის გზა გვაქვს ჩაკეტილი!

ბუსლარი

რით მოგეშველოთ, პატარა სულო, რომ მიაღწიო სანატრელ ცამდე? გინდა, მხურვალე ლოცვები ვცადოთ, გინდა ნუგბარი, აღმძვრელი მადის. ყველაფერს მოგცემთ, ოღონდ ისურვე: ხილსა და კენკრას, ნამცხვრებს და ქადებს. რით მოგეშველოთ, პატარა სულო, რომ მიაღწიო სანატრელ ცამდე?

პატარა ანგელოზი

არაფერი გვსურს, სულ არაფერი, იმდენი ვჭამეთ ამქვეყნად ტკბილი, სალხინებელშიც მოგვეკეთა კბილი. ვერც მოვასწარით ქვეყნად, კარგებმა, მწუხარებისთვის გემოს გაგება. უდარდებობა, ნუგბარი, კოცნა, სულ ცელქობაში ჩადგმული ფეფო, სირბილი, მღერა, სილაღე, მოცლა ქუდბედად დაგვყვა დედის მუცლიდან მე დაიკოსთვის ყვავილებს ვკრეფდი, ის კი თოჯინებს კაბებს უცვლიდა. ახლა ძიადის შესახებ გვესმა, ვერც ტკბილი ქადა, ვერც ტკბილი მესა ჩვენს ტანჯვას შევბას ვერ ანაცვალეს. არა ღვეზელი, რძე ან ნამცხვარი, გვჭირდება მდოგვის ორი მარცვალი. ო, ეს ნობათი ისე მარტივად გაგვიყურებდა ყველა სატიკვარს. რადგან ესაა ღმერთის სასჯელი, გახსოვდეთ და ნუ გეუცხოვებათ: თუ სააქაოს არ იტანჯები, ნურც საიქიოს ელი ცხონებას.

ქორო

რადგან ესაა ღმერთის სასჯელი, გახსოვდეთ და ნუ გეუცხოვებათ: თუ სააქაოს არ იტანჯები, ნურც საიქიოს ელი ცხონებას.

ბუსლარი

ანგელოზებო, თქვენ გენაცვალეთ, უარი როგორ გითხრათ პანიებს. აი, მარცვალი, ორი მარცვალი, გამოგვართვით და ღვთისაკენ გასწიეთ. ნულარ ყოვნდებით, იჩქარეთ, მიდით, სახელით მამის, ძის, სულიწმინდის. თორემ ხომ ხედავთ ჯვარს მამალმერთის? თუ საჭმელ-სასმელს არ ეკარებით, მამ, გაიხურეთ დროზე კარები! განვედ! განვედით!

ქორო

ნულარ ყოვნდებით, იჩქარეთ, მიდით, სახელით მამის, ძის, სულიწმინდის. თორემ ხომ ხედავთ ჯვარს მამალმერთის? თუ საჭმელ-სასმელს არ ეკარებით, მამ, გაიხურეთ დროზე კარები! განვედ! განვედით!

ბუსლარი

ორმაგი კლიტე დაადეთ კარებს, ახლოა შუა ღამე საშიში, ფისით გაპოხეთ ყოველი კვარი, არაყი დადგით შუაგულ ნიშში. როგორც კი ამ ჩემს კვერთხს გამოვიქნევ, არაყი უნდა ააღდეს იქვე! ოღონდაც ცოცხლად, ოღონდაც მარდად...

ბერიკატი  
მე უკვე მზად ვარ.

ბუსლარი  
ჰა, გაძლევ ნიშანს.

ბერიკატი  
იფეთქა ალმა  
და მიინავლა.

ქორო  
ყველგან სიბნელე, ყველგან გოდება,  
რა გველოდება? რა გველოდება?

ბუსლარი  
ახლა თქვენ, მძიმე ცოდვის სულელებო,  
ვისაც გულ-გვამში გიდულთ ქაოსი,  
დანაშაულით მილურსმულელებო  
მინდორ-ველებთან სააქაოსი.  
ვისაც სატანის გესმით ხორბოცი  
და ბელზებელი გიკავებთ მაჯას,  
ვისაც წლებია, აღარ გაქვთ ხორცი  
და მაინც ხორცის ტკივილი გტანჯავთ.  
თუკი ჩვენს ლოცვას ადამიანურს,  
ძალუძს ტკივილი რომ დაგიაშობთ,  
თუკი ჩვენს სურვილს, ასე გულითადს,  
ძალუძს, რომ დაგხსნათ მარნუხს მავნებლის,  
მაგ ქვესკნელიდან, მაგ ალმურიდან  
გეპატიუებით, გეხმინებით!

ქორო  
მითხარით, ვის რა მადლი გაპკუროთ?  
ვინ დაგარწყულოთ? ვინ დაგაპკუროთ?

ხმა  
(სარკმლის მიღმა)  
ჰეი, ყორნებო, ჭკებო, სვავებო,  
სატანის ახლო ნათესავებო!  
გადამაცილებთ საყდრის ლატანებს,  
ორი ნაბიჯით გადამატარეთ.

ბუსლარი  
ღმერთო მაღალო! დაგვეცა ზაფრა!  
ხედავთ სარკმელთან სულს მიუსაფარს?  
შეხედეთ, როგორ მიუგავს სახე  
კამათელს, მინდვრად ნაგებებს, გაცრეცილს,  
პირიდან ბოლი ამოსდის! ნახეთ,  
ამღვრულ თვალებს როგორ აცეცებს,  
აელვებს, როგორ ფერფლში მუგუზაღს.  
შუბლზე მიჰკერია ქორი გრუზა.  
და როგორც ხმელი ტკაცუნებს ფიჩხი  
ღადრის გარშემო შემოზუჩქული,  
ისე აფრქვევს და აკვესებს ჩინჩხლებს  
ალმოდებული თავი ურჩხულის.

ბუსლარი და ბერიკატი  
და როგორც ხმელი ტკაცუნებს ფიჩხი  
ღადრის გარშემო შემოზუჩქული,  
ისე აფრქვევს და აკვესებს ჩინჩხლებს  
ალმოდებული თავი ურჩხულის.

მორჩენება  
(ფანჯრის მიღმა)  
ბავშვებო, ვერ მცნობთ, ჩემო ბავშვებო?  
კარგად შემხედეთ, ოღონდ ახლოდან,  
ოღონდ მიცანით, ოღონდ მიცანით  
მკედარი პატრონი თქვენი, ბავშვებო!  
განგება როგორ გვეთამაშება!  
მე მეკუთვნოდა, ვინც აქ სახლობდა.  
რაც შემეჩედეთ ოთხი ფიცარი,  
მას მერე სამი წელი გახობდა.  
მონა-მორჩილი ვარ ბელზებელის,  
საშინელ ტანჯვას განვიცდი მიწყვი,  
და სადაც ღამე აშავებს მინას,  
იქით მივიწვევ ბნელის მძებნელი.  
მზის ელვარების დამჩემდა შიში,  
მიუსაფარი გზა-გზა ვყროლდები,  
სულ ამერია თვლა-ანგარიში  
ამქვეყნიური ჩემი ცოდვების.  
როგორ გაფუძლო წყურვილს და შიმშილს?  
მძიძგნიან ღამის მიკიოტები;  
ან რა აზრი აქვს მოთქმას და ვიშვიშს,  
ტანჯვით მოკვდები, თუ ტანჯვით იშვი.

ქორო  
როგორ გაუძლოს წყურვილს და შიმშილს?  
ძიძგნიან ღამის მიკიოტები;  
ან რა აზრი აქვს მოთქმას და ვიშვიშს,  
ტანჯვით მოკვდები, თუ ტანჯვით იშვი.

ბუსლარი  
გვითხარი, შენს სულს რა ეამება,  
რომ დააღწიოს თავი ნამებას?  
ეგებ მხურვალე ლოცვები გნადდეს?  
ეგებ გიშველოს ზარების რეკამ?  
არ დავიშურებთ რძესა და წანდილს,  
არ დავიშურებთ ხილსა და კენკრას.

გვითხარი, შენს სულს რა ეამება,  
რომ მიღწიოს სანატრელ ცამდე?

მორჩენება  
ცამდე? მკრეხელობ ზღვარგადასული,  
არა, ზეცაში რა დამკარგვია?!  
უნვალებლად თუ ამომხდა სული,  
ჩემნაირისთვის ესეც კარგია.  
სამოთხე სულაც არად მარგია,  
ჯოჯოხეთს ვნატრობ ბედდანავსული.  
ღმერთს ჯოჯოხეთის ფსკერზე დასულიც  
დავუშვებდი, რომ არ მანამებს,  
ისევე მინაზე არ მანანალებს.  
მოგონებებში დღეებს გავლევდი,  
წარსულ ცოდვებს თვალს გადავავლებდი,  
აღმოსავლეთით დასავლეთამდე,  
დასავლეთიდან დასავლეთამდე.  
თუნდ შიმშილისგან ძლივს ვფეთქავდე,  
ჩემს ხორცს თავადვე ვაჭმევდი ჩიტებს.  
მაგრამ ღმერთს უნდა ამგვარად მსჯიდეს —  
ვიდრე სხეულის მშოსავს სამოსი.  
მიჯნას ვერ გავცდებ სააქაოსი.  
ქვეშევრდომებო, ვაჟნო, ქალწულნო.  
არ გსურთ, მაჭამოთ ან დამარწყულოთ?  
ოი, წყურვილით ყელი მიშრება,  
ოი, შიმშილით ვარ ფერნაცვალი.  
ორიოდ ყლუპი წყალიც მიშველის,  
მეყოფა ხორბლის ორი მარცვალისც.

ქორო  
ჰოი, წყურვილით ყელი უშრება,  
ჰოი, შიმშილით არს ფერნაცვალი.  
ორიოდ ყლუპი წყალიც უშველის,  
მეყოფა ხორბლის ორი მარცვალისც.

ღამის ფრინველთა ქორო  
ტყუილად ითხოვ, ტყუილად შვრები,  
ყველა, ვინც ღამის ფერხულში ვროკავთ,  
ყორნები, ჭკები, ზარნაშობები,  
ბატონო, შენი ყმები, ვიყავით,  
ყველა ჩვენგანი შიმშილმა მოკლა,  
არც პური, არც რძე არ გავციყავი.  
მოდით, ყორნები, ჭოტები, ჭკები,  
უცხად მოგროვდით, ეცით უცხადვე  
მაგ ნისკარტებით, ბასრი კლანჭებით  
ლუკმა პირიდან ამოაცვალეთ,  
არ ჩააყლაპოთ ერთი მარცვალისც,  
თუ საჭიროა, ჩასწვდით მუცლამდე.  
რადგან თავადაც არ გვიბრალედა,  
ჰეი, ყორნებო, ჭკები, ჭოტები,  
არც ჩვენ ავივსოთ ცრემლით თვალები.  
ჯერ შევუჭამოთ მთელი საჭმელი,  
მთელი სასმელი ხარბად დავხაპოთ,  
მერე დავფლითოთ ბასრი კლანჭებით,  
შიშველი ძვლები ავულაპლაპოთ.

ყორანი  
თურმე შიმშილი გაძრწუნებს, ვხედავ!  
გახსოვს? სთველომა იყო, სისხამი,  
როცა შენს ბაღში შესვლა გავბედე,  
ელავდა ვაშლი, მნიფობდა მსხალი.  
მე კი სამი დღის ვიყავ მშიერი,  
ძლივს ჩამოგვკრიფე ორიოდ ვაშლი,  
როცა მებაღემ, მგლის ნაშიერმა,  
ატეხა ერთი ვაი და ვიში,  
შემომისია ძაღლები. გავშრი,  
ნაბიჯიც ვეღარ გადავდგი შიშით;  
მერე გამშოლტეთ იქვე, საჯაროდ,  
მერე მომიწყვეთ მკაცრი სამჯავრო,  
რის გამო? ხეზე გაზრდილი ვაშლის,  
რომელიც მოგვეც ყველას საერთო,  
როგორც წყალი ან ჰაერი, ღმერთო!  
მაგრამ ბატონმა ჰყარა ცოფები:  
„დროა, დავსაჯოთ სოფლის გამხრწნელი“,  
შემოიკრიბა მთელი სოფელი,  
მიმაბეს გუთანს ელდანაცემი  
და ათი შეკვრა ტირიფის წნელით,  
როგორც პარკიდან — მუხუდო ძველი,  
ან თავთავიდან — ხორბლის მარცვლები,  
გამაყრევენეს ხორციდან ძვლები.  
რარეგ სასტიკი იყავ, ბატონო!

ღამის ფრინველთა ქორო  
ჰეი, ყორნებო, ჭკები, ჭოტები,  
არც ჩვენ ავივსოთ ცრემლით თვალები.  
ჯერ შევუჭამოთ მთელი საჭმელი,  
მთელი სასმელი ხარბად დავხაპოთ,  
მერე დავფლითოთ ბასრი კლანჭებით,  
შიშველი ძვლები ავულაპლაპოთ.

ჭოტი  
აჰა, გაძრწუნებს თურმე შიმშილი!

შობას, ყველაზე ყინვიან ღამეს,  
შენი ჭიმკრის წინ ვითვლიდი ნამებს,  
მხრებანურული და გათოშლილი.  
გთხოვდი: „ისმინე, კარგო ბატონო,  
ჩემი ობლები არ მიატოვო.“

მინა ჭამს ჩემი ქმრის სხეულს, დალილს,  
გოგონა შენთან პირისფარეშობს,  
დედას სიკვდილი უცქერს თვალებში,  
დამიუძღურდა ძუძუთა ბალიც.  
ცოტა წყალობა გამოიმეტე,  
გადავიწყებდე ვიდრე იმედებს“.  
მაგრამ შენ როდის გესმის ჩაგრულის!  
სმამი გართულმა მთვრალ თვისტომებთან  
ჰაიდუკს მიეც ოქროს მონეტა  
და უჩურჩულე: „გაინძერ, ადე,  
ვინც გაუნყალა ჩემს სტუმრებს გული,  
გააკვალვინე გზა ჯანდაბამდე“.  
და ჰაიდუკმაც, კახის ნაშობმა,  
შენს კარ-მიდამოს გამაგდო თოვლში  
ჩვილბავშვიანად გამაგდო თოვლში  
ნაცემ-ნაგვემი და გაბასრული.  
ვერ ავიტანეთ ყინვა და თოში,  
შუა მინდორში დავლიეთ სული.  
რარეგ სასტიკი იყავ, ბატონო!

ღამის ფრინველთა ქორო  
ჰეი, ყორნებო, ჭკები, ჭოტები,  
არც ჩვენ ავივსოთ ცრემლით თვალები.  
ჯერ შევუჭამოთ მთელი საჭმელი,  
მთელი სასმელი ხარბად დავხაპოთ,  
მერე დავფლითოთ ბასრი კლანჭებით,  
შიშველი ძვლები ავულაპლაპოთ.

აჩრდილი  
არა, ამაოდ მიწვდით ხმადებს,  
რასაც კი მაძლევთ, დაუყოვნებლივ  
მგლეჯენ ხელიდან ეს სვავ-ყორნები.  
არა, არ არის ჩემთვის ძიადი!  
ასეთი არის ღვთის ნება მკაცრი,  
ვერ დავეხსნები მუდმივ გოდებას,  
ის, ვინც არასდროს ყოფილა კაცი,  
კაცისგან შველას ნუ ელოდება.


ქორო  
ასეთი არის ღვთის ნება მკაცრი,  
ვერ დავეხსნები მუდმივ გოდებას,  
ის, ვინც არასდროს ყოფილა კაცი,  
კაცისგან შველას ნუ ელოდება.

ბუსლარი  
თუკი ვერავინ დაგეხმარება,  
მამ, გაქრი ჩვენი არემარედან,  
ნულარ ყოვნდები, იჩქარე, მიდი,  
სახელით მამის, ძის, სულიწმინდის,  
თორემ ხომ ხედავ ჯვარს მამალმერთის?  
თუ სასმელ-საჭმელს არ ეკარები,  
მამ, გაიხურე მშვიდად კარები.  
განვედ, განვედი!

ქორო  
ნულარ ყოვნდები, იჩქარე, მიდი,  
სახელით მამის, ძის, სულიწმინდის,  
თორემ ხომ ხედავ ჯვარს მამალმერთის?  
თუ სასმელ-საჭმელს არ ეკარები,  
მამ, გაიხურე მშვიდად კარები.  
განვედ, განვედი!

(აჩრდილი ქრება)

თარგმნის  
ანი კოპალიანსა და ქეთი ქანთარიანი



დებიუტი

ალექსანდრე მიქელაძე  
რა ფერია ცა?



დღის გუშინდელზე მეტად ცივა, მაგრამ გუშინდელს ისევ გუშინდელი ამინდი სჯობდა. ნოემბრის სიკვდილივით ცივი ქარი ძვლებში ატანს — დღითიდღე უფრო და უფრო. მაგიდაზე მდგარ ხის დანხულ საპურეში არაფერი მოიძებნება ჩემთვის, არც ჩემი და-ძმებისთვის. შვიდნი ვართ, ადრე დედა და მამა გვზრდიდნენ ბებიასთან ერთად. მამა, ორი წელია, რაც აღარ არის, ბებიაც ლოგინიდან ვეღარ დგება და ისიც დედას მოსავლელი გახდა. ბავშვებს უკვე ღვიძავთ, სანოლში ერთად წვანან. შეიძლება, არც სძინებიათ მთელი ღამე შიმშილისაგან, ალიონზე რომ ავდექი, ორს კი მოესწრო თვალის გახელა.

დედა შემოდის სახლში, ბავშვებისთვის თბილი ტანსაცმლის ჩაცმას იწყებს, რომლებიც ჩვენი მეზობლის თბილისელმა ნათესავმა გვარჩუქა. ცოტაა, მაგრამ ესეც საკმეა. დღეს აღდგომის დილაა. დედამ საიდანლაც დამალული, წითლად შეღებილი ხუთი კვერცი გამოიტანა ნახევარ პურთან ერთად, ალბათ არ უნდოდა, სასაფლაოზე გასვლამდე ვინმეს შეეჭამა. პატარა დათომ პარკში თავმოკრული კვერცხები დაინახა. შენც როგორ გინდა, მშიერ ძმას უყურებდე, რომელსაც წინ საჭმელი უდევს, მაგრამ ჭამა არ შეუძლია. გაინია პარკისკენ. დედამ მიუსწრო, ბაკესთან დაკულულებული ოქროსფერი თმა მწარედ აუნია. ატირებული დათო ნორასთან გავარდა, ჩემს უფროს დასთან. ნორამ დააწყნარა, მოეფერა, ლოყაზე აკოცა. დედაჩემიც ჩემთან ერთად უყურებდა მათ, გაყინული და გაშეშებული თვლებიდან ცრემლის ერთი გორგალი გადმოუვარდა. მერე თვითონაც მივიდა დათოსთან და ნორას საკმე თავად განაგრძო. უყვარდა დათოს დედა, ამიტომ წყენა მალევე დაავიწყდა, როგორც კი დედის მკლავებში გაეხვია. მე დამავიწყდა, როგორია ეს გრძნობა, არადა, სულ რაღაც ცხრა წლის ვარ. ჩვენთან ყველაზე პატარა დათოა, ამიტომ დედა მხოლოდ დათოს იკრავს გულში, ისიც მაშინ, როცა ტირის.

ყველა რომ მოვემზადდეთ, სასაფლაოს გზას დავადექით. ბებია ისევ ეძინა, მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ აქვს, ლოგინიდან მაინც ვეღარ დგება. ცა ისეთი მოღრუბლულია, რომ თითქოს უნდა იწვიოს, მაგრამ ასე არ მოხდება. ჩვენთან ცა ყოველთვის ამ ფერებშია შეღებილი და უკვე მივეჩვიე. საერთოდაც, რა ფერია ცა? რას ნიშნავს სიტყვა „ციფერი“? შარშან ერთი ჩემხელა, თბილისელი, გოგო გავიცანი. იმან მითხრა, მე ვარდისფერი ცაც მაქვს ნანახი, იასამნისფერიც, წითელიც და ტელევიზორში ერთხელ ყვითელიც კი ვნახე — შემახარბა. მე კიდევ, რაც თავი მახსოვს, სულ ასეთი ფერის ცას ვუყურებ — ნაცრისფერს, ცისფერი ცაც კი არ მინახავს არასდროს. ჩემი აზრით, შენ საყვარელ ადამიანებს, რომლებიც მოკვდნენ და ახლა ცაში არიან, რა ფერებიც უყვარდათ, შენც იმ

ფერებში ხედავ ცას. ფერებიც იმიტომ იცვლება, რომ ახედავ, საკუთარი თავი ხან ერთმა გაგახსენოს, ხან მეორემ, ხან მესამემ. მე ყველაზე მეტად მამა მიყვარდა, მამას კი — მწვანე ფერი. მწვანედ შეღებილი ცა მე კი არა, მგონი, არავის უნახავს.

სასაფლაოზე ყველა ერთად მივედით. პატარა რკინის მაგიდაზე, რომელიც წლების წინ ჟანგმა შეჭამა, დედამ კვერცი, ნახევარი პური და ნახევარი ბოთლი ღვინო დადგა. ცოტახანს ყველა ჩუმად ვისხედით, ზოგი ჟანგიან სკამზე, ზოგიც ჟანგიან მაკუთულზე, რომელსაც სასაფლაოს ღობედ ვიყენებდით. დედას დათო მუხლზე ესვა, დათოს თვალი მაგიდისკენ ეჭირა, დედას ხან ქმრისკენ და ხან — ძმისკენ. მერე დათო გადმოსვა და თავისი ძმის საფლავთან მივიდა, ქვას მოეფერა და თვლებიც აუცრემლიანდა. ჩვენ ყველა გაშეშებული ვუყურებდით. დათო პარკს თვალს არ აცილებდა, მაგრამ განძრევას ვერ ბედავდა, ახსენებოდა დილას მომხდარი. სიცვიდან განითლებული პატარა ხელებით მაგიდის კიდევს ჩაბლაუჭებოდა.



მერე გოგი წამოდგა ფეხზე, ჩემი უფროსი ძმა, ღვინო ჭიქაში გადმოსახა და ლოცვის შემდეგ ორივე საფლავს დაასხა ზემოდან, ბოლომდე ვერ გაბედა, ნახევარი ჭიქაში დაიტოვა — დასალევად. ჩემმა და-ძმებმა პარკს თავი მოუხსნეს და კვერცი გააგორეს, ორი — ჩვენს, სამიც ჩვენს გვერდით, ნათესავების საფლავზე. დათო თვალეზბდაცეცებული ხელებში უყურებდა კვერცხს, როგორ ეცემოდა მიწაზე. „ქრისტე აღდგას“ თქმას, რატომღაც უკვე ორი წელია, აღარავინ აპირებს, მას შემდეგ, რაც მამა მოკვდა. მხოლოდ მე ვიძახი, ისიც გულში, როცა მისი საფლავის ქვას ვუყურებ.


ყველა რიტუალს და სასაფლაოს დალაგებას რომ მოვრჩით, ცოტახანს ისევ ჩამოვსხედით ადგილებზე. დათო უკვე ვეღარ ითმენს, ვგრძნობ, სადაცაა დაუსხლტება დედას ხელებიდან და კვერცხებთან მივარდება. დედაც ხედება ამას, ამიტომ აღარ იჭერს დათოს ისე ძლიერად. გავარდა. ვერ ჩვენი საფლავებიდან აღებული ორი კვერცი დალენა და ამოჭამა, პურიც თან მიატანა. ის რომ არ ეყო, ნათესავების საფლავზე გადაძვრა და კვერცხები მოიტანა. დედა შეწუხებული თვლებით უყურებდა, არა იმიტომ, რომ დათომ იქიდან აიღო წითელი კვერცხები, ხვდებოდა, რამხელა ტანჯვის მონანილე იყო და იმიტომ. ცხადია, საკუთარ თავს ადანაშაულებდა, დათო ამ მდგომარეობაში რომ იყო მისული და არამარტო დათო. მესამე კვერცი რომ შეჭამა, დანარჩენ ორს დახედა, მერე ჩვენ გადავკვლო თვალი. ჩემთან მოვიდა და ერთი მე გამომიწოდა, მერე მეორე დედას მიუტანა.

— ჭამე, დედა! — უთხრა თავისი წვრილი ხმით.

დედა ისევ აქვითინდა, ახლა უფრო მწარედ. დათო ვერ მიხვდა, რა ხდებოდა, ალბათ ეგონა, რომ დედას აწყენინა. მუხლზე ააბობლდა და, რაც შეეძლო, ძლიერად მოხვია ხელები. მე კი ისევ ცას ვაკვირდებოდი, ხელში წითელი კვერცხით.

ვცდილობ, ნაცრისფერ ცას ჩემს თვალში ტონალობა ისე შევუცვალო, რომ მწვანედ დავინახო. არც ამ ჯერზე გამომივიდა. იქნებ მამა საერთოდაც არაა ცაში. ან იქნებ მე ვცდილობ ზედმეტად და უბრალოდ იმ განსაკუთრებულ მომენტს უნდა დაველო...

მათე ნიკლაური  
როცა  
ემოცია  
ყველაზე  
ცხადი  
სინამდვილეა



დასასრული

ისევ „რასპეს“ რომ დავუბრუნდეთ, ტყუილ-მართლისა და ლიტერატურის კავშირზე ბრწყინვალე მონაკვეთს წავანყდებოთ: „ბავშვობაში დაუფერებელ ამბებს თუ თხზავ, მატყუარას გეტყვინებ, ხოლო დიდობაშიც იგივე საქმით თუ ხარ დაკავებული, მწერალს.“ ზაალ სამადაშვილი კი გამონაკონს არ წერს, მისი მთავარი ლიტერატურული ღირსება ძალიან თბილ, სასიამოვნო თხრობის სტილთან შეხვედრული გულწრფელობა და სიმართლეა, რომელთათვისაც არასოდეს გადაუხვევია.

ცნობილ ირლანდიელ მწერალს, უილიამ ტრევერს მოთხრობა თვალის მოკერის ხელოვნებად მიაჩნდა. სწორედ ამ მსჯელობის დასტურია „იუნკერ ერისთავის ბუცებ“-ში შემავალი ყველა მოთხრობა. მწერალი ძალიან პატარა და კონკრეტული დეტალების მიღმა წარმოაჩენს საკუთარ ტიკვილებს და შლის ძალიან დიდ სივრცეს, რომელშიც სხვადასხვა ეპოქა ჩნდება. ეს არის ძალიან შეკავშირებული, ერთმანეთთან უწყვეტი ჯაჭვით გადაბმული ტექსტების ერთობა, რომლებსაც საერთო ამოსავალი წერტილი აქვს და ეს შალვა ერისთავის და იმ პატარა ბიჭის ისტორიაა, არცერთ მატჩს რომ არ აკლდებოდა და შალვას ყველა ცრუმოდრობა თუ სხვა საფეხბურთო ფანდი ბრწყინვალედ ჰქონდა დამახსოვრებული. მოთხრობაში ისეა აღწერილია იუნკერების ომში ნასვლის პროცესი, რომ მკითხველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. სულისშემძვრელია იმის წარმოდგენა, თუ როგორ ყოფთ ქუჩა შუაზე ახალგაზრდა მებრძოლებსა და მათ გამცილებლებს, როგორ ისვრის ვიღაცა აივნებიდან ყვავილებს და როგორ არ წყდება ქვითინი. „კვლავ ისმოდა ქვითინი...“ — წერს ზაალ სამადაშვილი და, თითქოს საკუთარი თავი შეჰყავს ნაწარმოებში. ეს მისი ემოციაა, რომელიც მთელ კრებულს რეფრენად გასდევს. მოთხრობაში შალვა ერისთავი ბიჭს ბუცებს უტოვებს და საჩუქრის ნახვამდე კვლავ ვხვდებით საოცარი მწერლური ოსტატობით გაჯერებულ აღწერას — ბავშვი ნებისმიერ საჩუქარზე თანახმაა, მას უნდა, რომ სიამაყით მოჰყვეს ყველგან, რა დაუტოვა საუკეთესო ფეხბურთელმა. ეჭვგარეშეა, რომ კითხვის პროცესში შენც ის პატარა ბიჭი ხდები, რომელიც თავისი კერპისგან საჩუქარს მიიღებს და ალტაცებას ვერ მალავს. ამ ბიჭისთვის ახალი ცხოვრება დაიწყო, ახალი ცხოვრება დაიწყო შალვასთვისაც და, თუ მართლაც, ადამიანს ბევრი სიცოცხლე აქვს, შალვა ერისთავმა სიკვდილით მიაღწია ახალ, სიცოცხლის უკანასკნელ, მაგრამ მარადიულ ფაზას და სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ჩვენს მესხიერებაში, რის დასტურადაც ეს ნაწარმოები და ნოველათა კრებული გვევლინება.

ლიტერატურული გაზეთი  
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო  
საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი  
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
ჟურნალისტი თამარ ჟურული  
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com  
ISSN 2346-7940  
9 1 7 7 2 3 4 6 1 7 9 4 0 0 4